პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერთ ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

გათავდა საკავშირო კომპარტიის ყრილობა

ოპოზიციამ დაჰყარა იარაღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 20 დეკემბერი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 288 (2033)

დაიხურა საკავშირო კომპარტიის მე-XV ყრილობა

ტროცკისტების გამორიცხვა პარტიიდან

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება.--ყრილობის რეზოლიუცია

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 18 დეკემბრის დილის სხდომაზე ამხ. მოლოტოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია პრაქტიკულ წინადადებათა გამოსამუშავებლად ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო. შემდეგ ყრილობამ მოისმინა მოხსენება კომისიისა ოპოზიციის შესახებ.

ამხ. ორჯონიკიძე აცხადებს, რომ ყრილობის მიერ არჩეულმა კომისიამ ყურადღებით შეისწავლა ყველა დოკუმენტები, რომლებიც ეხება ოპოზიციის მუშაობას. კომისიამ სრულიად უდავოდ გამოარკვია, რომ ოპოზიციას აქვს თავისი ცეკა, საოლქო, საგუბერნიო, საქალაქო და სარაიონო ცენტრები, ტეხნიკური აპარატი, ბეჭდვითი ორგანოები და სხვ. საზღვარგარეთ ოპოზიცია დაუკავშირდა არა მარტო ანტი - ლენინური მიმართულების ფრაქციულ ჯგუფებს, რომლებიც არსებობენ კომინტერნის შიგნით, არამედ ისეთ ორგანიზაციებსა და ცალკე პირებსაც, რომლებიც არასოდეს არ ეკუთვნოდენ კომინტერნს, და აგრეთვე კომინტერნიდან გამორიცხულებსაც, მაგალითად: მასლოვის, რუტ ფიშერის, კორშის, სუვარინის და სხვ. ჯგუფებს. ოპოზიციის ასეთმა საორგანიზაციო პრაქტიკამ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირის შიგნით ოპოზიცია დაუკავშირდა უპარტიო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს (შჩერბაკოვი და სხვ.), რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებული არიან აშკარა კონტრ - რევოლიუციონერებთან, საბჭოთა კავშირის გარეთ კი ოპოზიცია გახდა ფართო დახმარების ობიექტად ყველა ქვეყნების ბურჟუაზიის მხრივ.

უკანასკნელ ხანებში, უკვე ყრილობის მუშაობის დროს, ოპოზიციისაგან შემოვიდა სამი დოკუმენტი. პირველი დოკუმენტი შემოვიდა 3 დეკემბერს ოპოზიციის 121 აქტიურ მუშაკის ხელმოწერით. ამ დოკუმენტში ოპოზიცია არა თუ ხელს არ იღებდა თავის შეცდომებზე, არამედ პირიქით, მოითხოვდა, რომ მას მისცემოდა თავის მენშევიკურ შეხედულებათა პროპაგანდის უფლება. მას შემდეგ, რაც ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია ცეკას საანგარიშო მოხსენების გამო, რომელშიაც ოპოზიციის მომხრეობა გამოცხადებული იყო პარტიაში ყოფნასთან შეუთავსებლად, კომისიაში კიდევ შემოვიდა ოპოზიციისაგან ორი დოკუმენტი: ერთი ამხ. რაკოვსკის, მურალოვის და რადეკის ხელმოწერით და მეორე ამხ. კამენევის, ბაკაევის, ევდოკიმოვის და ავდეევის ხელმოწერით. ჯგუფი, რომელმაც ხელი მოაწერა პირველ დოკუმენტს რჩება თავისი შეხედულებათა ნიადაგზე და მოითხოვს ამ შეხედულებათა პროპაგანდის უფლებას. მეორე ჯგუფი, თავის განცხადებაში რჩება მენშევიკურ შეხედულებათა ნიადაგზე და, მხოლოდ ხელს იღებს მათ პროპაგანდაზე. კომისიამ, იქონია რა დაწვრილებით მსჯელობა ამ ორი დოკუმენტის შინაარსის შესახებ, სცნო ისინი სრულიად არადამაკმაყოფილებლად და იმ რეზოლიუციის საწინააღმდეგოდ, რომელიც მიიღო ყრილობამ ცეკას მოხსენების გამო. კომისია ფიქრობს, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვს დავუშვათ მენშევიკურ შეხედულებათა პროპაგანდა ჩვენი პარტიის შიგნით. ამ შეხედულებათა პროპაგანდაზე უარის თქმა და ამავე დროს იმის მტკიცება, რომ ეს შეხედულებები სწორია, როგორც ამას ადგილი აქვს ამხ. კამენევის, ბაკაევის, ევდოკიმოვის და ავდეევის მიერ ხელმოწერილ განცხადებაში, აგრეთვე გვარწმუნებს ჩვენ იმაში, რომ ამ ჯგუფს საჭიროდ არ მიაჩნია განიარაღდეს იდეურად. კომისია წინადადებას აძლევს ყრილობას გამორიცხულ იქნენ პარტიიდან ტროცკისტულ ოპოზიციის მუშაკები, რიცხვით 75 კაცი, და აგრეთვე გამორიცხულ იქნას პარტიიდან საპრონოვის ჯგუფი, როგორც აშკარა ანტი - რევოლიუციონური, რიცხვით 23 კაცი. აქტიურ ოპოზიციონერების გამორიცხვასთან ერთად პარტიამ ყოველი ზომა უნდა მიიღოს, რომ პარტიის ყველა პატიოსანი წევრი—მუშები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზების გამო მოექცენ ოპოზიციის გავლენის ქვეშ, განთავისუფლებულ იქნენ ამ გავლენიდან და დარჩენ პარტიის რიგებში.

ამხ. ორჯონიკიძე კითხულობს იმ რეზოლიუციის ტექსტს, რომელიც მიიღო ყრილობის კომისიამ ოპოზიციის შესახებ და წინადადებას აძლევს ყრილობას მიღებულ იქნას ეს რეზოლიუცია.

ამხ. ორჯონიკიძის გამოსვლის შემდეგ გამოვიდა **ამხ. სმილგა**, რომელმაც გამოაქვეყნა თავის სახელით და აგრეთვე ამხ. მურალოვის, რაკოვსკის და რადეკის სახელით განცხადება, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი, არ იღებენ რა ხელს თავის შეხედულებებსა და რწმენაზე, ძველებურად „განაგრძობენ ბრძოლას პარტიის მთლიანობისათვის". ამხ. სმილგამ თავისი განცხადება დაამთავრა წინადადებით რომ უარყოფილ იქნას რეზოლიუციის პროექტი, რომელიც შემოიტანა ოპოზიციის საქმეების გარშემო არჩეულმა კომისიამ. ამხ. სმილგას გამოსვლის საპასუხოდ ილაპარაკა **ამხ. კალინინმა**, რომელსაც ყრილობა შეხვდა ტაშით და მქუხარე ოვაციით. (ამხ. კალინინის სიტყვა დამატებით იქნება გადმოცემული).

ამხ. კალინინის შემდეგ გამოვიდა **ამხ. უგაროვი**, (ლენინგრადი), რომელმაც ხაზი გაუსვა კომისიის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას და აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა მისი მიღება. ამხ. ორჯონიკიძემ გამოსთქვა რწმენა, რომ საუკეთესო პასუხი ამხ სმილგას გამოსვლაზე, იქნება ის, რომ ყრილობა ერთხმად მიიღებს კომისიის მიერ შემოტანილ რეზოლიუციას.

ყრილობა ერთხმად იღებს რეზოლიუციას, რომელიც შემოიტანა კომისიამ ოპოზიციის საქმეების შესახებ. რეზოლიუციის შემდეგ ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს".

რეზოლიუცია ოპოზიციის შესახებ

საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ოპოზიციის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

მე-15 ყრილობა, მოისმინა რა მან მოხსენება კომისიისა, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ყველა მასალები ოპოზიციის შესახებ, აღნიშნავს შემდეგს:

1). იდეოლოგიის დარგში ოპოზიცია ტაქტიკურ ხასიათის უთანხმოებებიდან გადავიდა საპროგრამო ხასიათის უთანხმოებებზე,, მან დაიწყო ლენინის შეხედულებათა რევიზია და დაქანდა მენშევიზმის პოზიციებისაკენ. ოპოზიციამ უარყო საბჭოთა კავშირის ძლევამოსილი აღმშენებლობის შესაძლებლობანი და, მაშასადამე, უარყო ჩვენი რევოლიუციის სოციალისტური ხასიათი. უარყო სახელმწიფო მრეწველობის სოციალისტური ხასიათი, უარყო სოფლის განვითარების სოციალისტური გზები პროლეტარიატის დიქტატურისა და პროლეტარიატისა და გლეხობის ძირითად მასების კავშირის პირობებში სოციალისტურ აღმშენებლობის ბაზისზე, დასასრულ, ოპოზიციამ ფაქტიურად უარყო პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა კავშირში (ტერმიდორი) და ამასთან დაკავშირებით ქადაგებს კაპიტულიანტობას და პორაჟენცობას. — მთელმა ამ იდეურმა გეზმა ტროცკისტული ოპოზიცია გახადა წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატიის იარაღად საბჭოთა კავშირის შიგნით და საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის დამხმარე რაზმად მის გარედ.

2). ტაქტიკის დარგში ოპოზიციამ გააძლიერა და გაამწვავა თავისი მუშაობა პარტიის წინააღმდეგ, მან გადალახა არა მარტო პარტიის წესდების ფარგლები, არამედ საბჭოთა ლეგალობის ფარგლებიც (არალეგალური კრებები, არალეგალური სტამბები, არალეგალური ბეჭდვითი ორგანოები, ბინების ხელში ჩაგდება ძალადობით და სხვ.). ანტი - საბჭოთა ტაქტიკის დაგვირგვინებას წარმოადგენს აშკარა ბრძოლაზე გადასვლა პროლეტარიატის დიქტატურის რეჟიმის წინააღმდეგ, ქუჩაზე დემონსტრაციების მოწყობა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. 1927 წლის 7 ნოემბერს. ოპოზიციის ანტი - საბჭოთა ტაქტიკამ, რომელსაც იგი აწარმოებს საზღვარგარეთ, და რომელიც დაკავშირებულია, ცილისწამებათა პროპაგანდასთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ფაქტიურად დააყენა ოპოზიცია პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნის აშკარა მტრების გვერდით.

3). საორგანიზაციო საკითხების დარგში ოპოზიცია დაეყრდნო ლენინის შეხედულებათა რევიზიას და ფრაქციულ მუშაობიდან გადავიდა საკუთარ ტროცკისტულ პარტიის შექმნაზე. კომისიამ სრულიად უდავოდ გამოარკვია, რომ ოპოზიციას აქვს თავისი ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საგუბერნიო, საქალაქო და სარაიონო ცენტრები, ტეხნიკური აპარატი, საწევრო გადასახადები, ბეჭდვითი ორგანოები და სხვ. საზღვარგარეთ ტროცკისტული პარტია დაუკავშირდა არა მარტო ანტი - ლენინურ მიმდინარეობის ფრაქციულ ჯგუფებს, რომლებიც არსებობენ პარტიისა და კომინტერნის შიგნით, არამედ ისეთ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა, და ცალკე პირებსაც, რომლებიც არასოდეს არ ეკუთვნოდენ კომინტერნს, და აგრეთვე კომინტერნიდან გამორიცხულებს, კომუნისტურ მოძრაობის მტრებსა და მოღალატეებს (მასლოვი, რუტ ფიშერი, კორში, სუვარინი, როსმერი, როლანდ ჰოლსტი, ლიბერსი და სხვ.). ოპოზიციის ასეთმა ორგანიზაციულმა ტაქტიკამ გამოიწვია ის, რომ საბჭოთა კავშირის შიგნით ოპოზიცია დაუკავშირდა უპარტიო ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს (შჩერბაკოვი და კამპანია), რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებული არიან აშკარა კონტრ-რევოლიუციონერებთან; საბჭოთა კავშირის გარეთ კი ოპოზიცია გახდა ფართო დახმარების ობიექტად ყველა ქვეყნების ბურჟუაზიის მხრივ.

გამოდის რა ყველა ზემოთქმულიდან, პარტიის მე-15 ყრილობას მიაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია, სწორად მოიქცენ, როდესაც 1927 წლის 14 ნოემბერს საკავშირო კომპარტიის (ბ) რიგებიდან გამორიცხეს ტროცკი და ზინოვიევი, ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის შემადგენლობიდან კი—ამ ორგანოების სხვა ოპოზიციონერი წევრები, და ოპოზიციის საკითხი მთლიანად დასვეს ყრილობაზე. თავის რეზოლიუციაში ცეკას ანგარიშის გამო ყრილობამ განაცხადა, რომ ტროცკისტულ ოპოზიციის მომხრეობა და მის შეხედულებათა პროპაგანდა შეუთავსებელია საკავშირო კომპარტიაში (ბ) ყოფნასთან. ამასთან დაკავშირებით ყრილობას მიაჩნია, რომ ოპოზიცია უნდა განიარაღდეს იდეურად და ორგანიზაციულად, გადაჭრით დაგმოს ზემოთჩამოთვლილი მისი შეხედულებები, როგორც ანტი - ლენინური და როგორც მენშევიკური და იკისროს ვალდებულება დაიცვას პარტიის, მის ყრილობის, მის კონფერენციების და მის ცეკას შეხედულებები და გადაწყვეტილებები.

მაგრამ ოპოზიციამ უარყო პარტიის ეს მოთხოვნილებები. ოპოზიციის დოკუმენტში 1927 წლის 3 დეკემბრის თარიღით, რომელსაც ხელს აწერს ოპოზიციის აქტიური 121 მუშაკი, ოპოზიცია არა თუ ხელს არ იღებს თავის მენშევიკურ შეხედულებებზე, არამედ, პირიქით, მოითხოვს მათი პროპაგანდის უფლებას. მას შემდეგ, რაც ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია ცეკას ანგარიშის გამო, კომისიაში ოპოზიციისაგან შემოვიდა კიდევ ორი ახალი დოკუმენტი 1927 წლის 10 დეკემბრის თარიღით, რომლებშიაც ერთი (ამხ. რაკოვსკის, მურალოვის და რადეკის ხელმოწერით) აუცილებლად სცნობს არა მარტო ამ მენშევიკურ შეხედულებათა ნიადაგზე დარჩენას, არამედ მათი პროპაგანდის აუცილებლობასაც, მეორე კი (ამხ. კამენევის, ბაკაევის, ევდოკიმოვის და ავდეევის ხელმოწერით), მოითხოვს ოპოზიციის მენშევიკურ შეხედულებათა ნიადაგზე დარჩენას, მხოლოდ ხელს იღებს მათ პროპაგანდაზე, რაც ეწინააღმდეგება იდეურ განიარაღების მოთხოვნილებას და მოასწავებს უარის თქმას პარტიის გადაწყვეტილებათა დაცვაზე.

ყრილობა აღნიშნავს აშკარა განსხვავებას ორ ოპოზიციონურ ჯგუფს შორის, მაგრამ ამასთან ერთად ოპოზიციის ორივე განცხადება მას მიაჩნია სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

გამოდის რა ზემოთქმულიდან და იღებს რა მხედველობაში იმას, რომ ოპოზიციამ ორჯერ უარყო თავისი დაპირებები ფრაქციულ მუშაობაზე ხელის აღების შესახებ, ყრილობა ადგენს:

1). გამორიცხულ იქნან პარტიიდან ტროცკისტულ ოპოზიციის შემდეგი აქტიური მუშაკები: ივ. ავდეევი, ა. ალექსანდროვი, აუსემი, ივ. ბაკაევი. ა. ბატაშევი, ს. ბარანოვი, მ. ბოგუსლავსკი, ბუძინსკაია, ვაგანიანი, ი. ვარდინი, ი. ვრაჩევი; ა. გერტიკი, ს. გესენი, ნ. გორდონი, ა. გურალსკი; დმიტრიევი, დრობნისი, გ. ევდოკიმოვი, პ. ზალუცკი, ლ. ზორინი, ილინი, ს. ქავთარაძე, კავალინი, ლ. კამენევი; ვ. კასპაროვა, კასპერსკი, ი. ნ. კატალინოვი, კოვალევსკი, კომანდირი, ა. კონკოვი, კოსტრიცკი, ნ. კრასოვსკაია, ა. ს. კუკლინა, მ. ლაშევიჩი, ვ. ლევინი, პ. ლელეზოვი, ლიზდინი, ზ. ი. ლილინა, გ. ლობანოვი, გ. ლიუბინი, ა. მინიჩევი, ნ. მურალოვი, მ. ი. ნატანსონი, ნ. ნიკოლაევა, ი. პაულსონი, ა. პეტერსონი, პიტაშკო, ვ. პონომარიოვი, ი. პიატაკოვი, ლ. პავიჩი, კ. რადეკი, ქრ. რაკოვსკი, რ. რაფაილი, ი. რეინგოლდი, როცკანი, ვ. რუმიანცევი, გ. საფაროვი, ზ. სერკოვი, ი. სმილგა, ი. ნ. სმირნოვი, სოკოლოვი, კ. სოლოვიოვი, ლ. სოსნოვსკი, ი. ტარასოვი, ფ. ტარტაკოვსკაია, ლ. თარხანოვი, ტუჟიკოვი, უკონენი, გრ. ფედოროვი, ი. ფილიპოვი, ი. ფორტინი, ნ. ხარიტონოვი, ჩერნოვი, მ. შეპშელევი, ე. ეშბა.

2). გამორიცხულ იქნას პარტიიდან საპრონოვის ჯგუფი, როგორც აშკარა ანტი - რევოლიუციონური: ა. ბოლშაკოვი, ვ. ფ. ვარგუზოვი, ე. დუნე, ბ. ემელიანოვი, (კალინი), ნ. ზავარიანი. დ. ი. კირილოვი, პ. პ. მიკლინი, მ. ნ. მინო, მ. ი. მინკოვი, ვ. პ. ობორინი, მ. ს. პენკო, ფ. ი. პილიპენკო, მ. ვ. პრონიაევი, დ. ვ. პუტილინი, ა. ლ. სლიდოვკერი, ვ. მ. სმირნოვი, მ. სმირნოვი. ლ. სტროგანოვი, ლ. ტიხონოვი, უსტიმჩიკი, ხორეჩკო, პ. ს. ჩერსანოვი, ს. შრეიბერი.

3). დაევალოს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიას მიიღონ იდეურ ზეგავლენის ყველა ზომები ტროცკისტულ ოპოზიციის უბრალო წევრების მიმართ მათი დარწმუნების მიზნით, და ამავე დროს გასწმინდონ პარტია ტროცკისტულ ოპოზიციის აშკარა გაუსწორებელ ელემენტებისაგან.

დილის სხდომის ბოლოს ყრილობამ აირჩია პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულებები: ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრილობის უკანასკნელი სხდომა

პარტიის ცენტრალური ორგანოების შემადგენლობა

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად დამტკიცებულია ამხ. სტალინი

ოპოზიციის ახალი განცხადება—ოპოზიციის კაპიტულიაცია

უკანასკნელი სხდომა

უკანასკნელი სხდომა გახსნა ამხ. რიკოვმა, რომელმაც აცნობა ყრილობას, რომ პრეზიდიუმში შემოვიდა ახალი განცხადება ოპოზიციის ერთი ნაწილისაგან. სურს თუ არა ყრილობას ჯერ მოისმინოს ეს განცხადება და შემდეგ კი გადავიდეს დადგენილებების მიღებაზე მოსმენილ მოხსენებათა გამო. ყრილობამ ხმის უმრავლესობით სურვილი გამოსთქვა ჯერ მიიღოს რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა გამო და შემდეგ კი მოისმინოს ოპოზიციის ახალი განცხადება.

ამხ. უგლანოვი აქვეყნებს რეზოლიუციის პროექტს, რომელიც მიიღო ყრილობის კომისიამ ამხ. ბუხარინის მოხსენების გამო. ყრილობა, **შეუსწორებლად ერთხმად ამტკიცებს პროექტს.**

ამხ. ჩუბარი აქვეყნებს შესწორებებს, რომლებიც მიიღო კომისიამ ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენებების თეზისების შესახებ. **ყრილობა უკამათოდ ერთხმად ამტკიცებს ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენებათა თეზისებს** იმ შესწორებებით, რომლებიც შეიტანა კომისიამ.

ამხ. კოსიორი წინადადებას აძლევს ყრილობას მიღებულ იქნას მთელი რიგი დადგენილებები, რომლებიც ეხება საორგანიზაციო დარგს. პირველი წინადადება ეხება პარტიის ყრილობების მოწვევის ვადებს. ამხ. კოსიორი აღნიშნავს, რომ მთელმა რიგმა დელეგაციებმა შემოიტანეს წინადადება იმის შესახებ, რომ პარტიის ყრილობები მოწვეულ იქნას არა ერთხელ წელიწადში, როგორც ეს ხდებოდა დღემდე და როგორც აღნიშნულია ეს პარტიის წესდებაში, არამედ ორ წელიწადში ერთხელ მაინც. ამხ. კოსიორის წინადადებას ყრილობა ღებულობს.

შემდეგ ამხ. კოსიორი აღნიშნავს, რომ პარტიამ ანგარიში უნდა გაუწიოს იმ დისკუსიის გამოცდილებას, რომელიც გრძელდებოდა ორი წლის განმავლობაში. საჭიროა ცენტრალურ საკონტროლო კომისიას მიეცეს რწმუნება პარტიიდან გამორიცხოს ის წევრები, რომლებიც არ მოისურვებენ სწორი პასუხის გაცემას შეკითხვებზე საკონტროლო კომისიაში. ამხ. კოსიორის წინადადებას ყრილობა ღებულობს **ერთხმად, უკამათოდ.**

ამხ. კოსიორი წინადადებას აძლევს ყრილობას დაადასტუროს შემდეგი ნაწილი მე-15 პარტიული კონფერენციის რეზოლიუციისა, რომელიც გამოტანილ იქნა ამხ. სტალინის მოხსენების მიხედვით ოპოზიციონური ბლოკის შესახებ და რომელიც შეეხება შინაპარტიული დისკუსიების გახსნის წესს:

„კონფერენცია სცნობს, რომ საკავშირო დისკუსია შეიძლება საჭიროდ იქნას აღიარებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ: ა) მის საჭიროებას აღიარებს საგუბერნიო ან საოლქო მასშტაბის რამდენიმე ადგილობრივი პარტორგანიზაცია მაინც; ბ) თუ ცეკას შიგნით არ არსებობს საკმაოდ მტკიცე უმრავლესობა პარტიული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესს საკითხებში, ამხ. კოსიორის ეს მესამე წინადადება ყრილობამ მიიღო აგრეთვე **ერთხმად და უკამათოდ.**

ამხ. იაროსლავსკი წინადადებას აძლევს ყრილობას ცვლილება შეიტანოს ცენტრ. საკონტროლო კომისიის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სახელდობრ, გაუქმდეს ცენტრ. საკონტროლო კომისიის სამდივნო ისე, რომ უშუალო ხელმძღვანელობა საბჭოთა ყველა საკითხებში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ხაზით იყოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის ხელში, ხოლო პარტიული საკითხებში, ცენტრ. საკონტრ. კომისიის პარტიული კოლეგიის ხელში; ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმი კი ისეთი ორგანო უნდა იყოს, რომელიც ცენტრ. საკონტრ. კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მთელ მუშაობას წარმართავს ცენტრ. საკონტრ. კომისიის პლენუმების დირექტივებით. ამხ. იაროსლავსკის წინადადება ყრილობამ **უკამათოდ ერთხმად მიიღო.**

ამხ. ზატონსკიმ ყრილობის მიერ ამორჩეული დამთვლელი კომისიის სახელით წაიკითხა პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებათა: ცეკასი, ცენტრალური სარევიზიო კომისიისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის არჩევნების შედეგები.

ამხ. რიკოვმა წაიკითხა ოპოზიციის ნაწილის ახალი განცხადება, რომელიც შემოტანილ იქნა პრეზიდიუმში **კამენევის, ზინოვიევის, ბაკაევის, ევდოკიმოვის** და სხვათა ხელმოწერით. განცხადებაში ნათქვამია, რომ ოპოზიციის ეს ნაწილი **სრულიად ჰყრის იარაღს ორგანიზაციულადაც და იდეურადაც** და სთხოვს ყრილობას იმ გადაწყვეტილების გადათვალიერებას, რომელიც შეეხება მათ გამორიცხვას.

ამ განცხადების პასუხად ყრილობამ სცნო, რომ საკითხი ოპოზიციის შესახებ **ამოწურულია** ყრილობის დადგენილებით, რომელიც გამოტანილ იქნა 18 დეკემბერს.

ყრილობამ წინადადება მისცა ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიას მიიღონ განცხადებანი ოპოზიციონერებისაგან პარტიაში მიღების შესახებ **მხოლოდ ინდივიდუალური** წესით და გამოიტანონ დადგენილება ამ განცხადებების შესახებ **მხოლოდ 6 თვის შემდეგ** ამ განცხადებების შემოტანის დღიდან და იმ პირობით, თუ: ა) განცხადების შემომტანთა მოქმედება ეთანხმება იმ ვალდებულებას, რომელსაც იკისრებენ განცხადების ავტორები; ბ) ყოფილი ოპოზიციონერების თვით განცხადებებიც აკმაყოფილებენ მე-15 ყრილობის მოთხოვნილებებს (იხ. მე-15 ყრილობის რეზოლიუცია ოპოზიციის შესახებ) და მაშასადამე, **უარყოფენ** 83-ის „პლატფორმას", 3-ის, 10-ის „პლატფორმას" და 15-ის „პლატფორმას".

მოკლე საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. რიკოვი და ჯამს უკეთებს ყრილობის შედეგებს.

ამხ. რიკოვის სიტყვას ფარავს მთელი ყრილობის მხურვალე, ხანგრძლივი ტაში. დარბაზში გაისმის „ინტერნაციონალის" მძლავრი გუგუნი.

ცენტრ. კომიტეტის შემადგენლობა

მოსკოვი, 19 დეკემბერი. **საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის წევრებად არჩეული არიან:**

ამხ. აკულოვი, ა. ა. ანდრეევი ანტიპოვი, არტიუხინა, ბადაევი, ბაუმანი ბუბნოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, გამარნიკი, გოლოშჩოკინი, დოგადოვი, ჟუკოვი, ზელენსკი, კაბაკოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ე. ი. კვირინგი, კიროვი, კირკიჟი, კნორინი, კოლოტილოვი, კომაროვი, ი. ვ. კოსიორი, ს. ვ. კოსიორი, კოტოვი, კრჟიჟანოვსკი, ნ. კ. კრუპსკაია, კუბიაკი; კულიკოვი, კუიბიშევი, ლეპსე; ლობოვი, ლომოვი, ლიუბიმოვი, მანუილსკი, მედვედევი, მენჟინსკი, მიქოიანი, მიხაილოვი, მოლოტოვი, მოსკვინი, ორახელაშვილი, გ. ი. პეტროვსკი, კოსტიშევი, პიატიცკი, რუძუტაკი, ი. რუმიანცევი; რუხიმოვიჩი, რიკოვი, სკრიპნიკი, ა. პ. სმირნოვი, სოკოლნიკოვი, სტალინი, სტეპანოვ-სკვორცოვი, სტეცკი, სტრიევსკი, სულიმოვი; სირცოვი, ტოლოკონცევი, ტომსკი, უგაროვი, უგლანოვი, უხანოვი, ციურუპა, ჩიჩერინი, ჩუბარი, ჩუდოვი, ს. შვარცი, შვერნიკი, ვ. შმიდტი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის კანდიდატებად ამხ.:

ამხ. ალექსეევი, რუმიანცევი; მუსაბეკოვი, უნშლიხტი, ჩუცკაევი, კოლგუშკინი, ურივაევი, იკრამოვი, კისელიოვი, მირზოიანი, მიხაილოვ-ივანოვი, ციხონი, ბარანოვი, გრიადინსკი, ეიხე, ვ. ლ. ივანოვი, ბრიუხანოვი, ლოკაცკოვი, კადაცკი, სობოლევი, ჩაპლინი, კონდრატიევი, მარკოვი, სუხომლინი, ჟდანოვი, კალიგინა, ხატაევიჩი, სტროგანოვი, კრინიცკი, ლეონოვი, სემიონოვი, ვლ. ი. პოლონსკი, ანცელოვიჩი, ჩუვირინი, გეი, ნოსოვი, ელიავა, ვარეიკისი, მელნიჩანსკი, მეჟლაუკი, ლომინაძე, ოშვინცევი, რინდინი, კამინსკი, კლიმენკო, რიუტინი, ოსინსკი, ნიკოლაევა, ლოზოვსკი, სერებროვსკი.

ცენტრალური სარევიზიო კომისია

ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებათ ამორჩეული არიან ამხანაგები: ვლადიმირსკი, სტეფანოვი, იურევიჩი, ბიკინი, ლოდოვი, ბოგდანოვი, ლეპა, რიაბოვი, რიაბინინი.

ცენტრალური საკონტროლო კომისია

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრებად ამორჩეული არიან ამხანაგები: ფ. ალექსეევა, ამირხანიანი, ვ. გ. ანტონოვი, ანტონოვი, აფანასევი, ს. ი. ბარმაშოვი, ი. ი. ბაუერი, ბახტინა, ზ. მ. ბელენკი, ა. ე. ბოგდანოვი, ბოგდანოვი, ბ. ა. ბორიანი, ა. ს. ბულინი, ბუსე, ვასილევი, გ. დ. ვეინბერგი, პ. მ. ვიკმანი, ს. ო. ვიკონინი, ვიშნიაკოვა, კოზუევი, გ. გალეევი, მ. ი. გალიევა, გალუშკინი, ა. გ. გერასიმოვი, ა. ზ. გოლცმანი, ნ. კ. გონჩაროვი, მ. ბ. გორჩაევი, ი. ი. გორშკოვი [illegible], გრიგორევა ვ. ი. გროსმანი, ვ. პ. გრუზელი, ა. მ. გრიაზევი, გრიაზევი, ა. ი. გურევიჩი, ს. ი. გუსევი, გ. ა. დესოვი, დირიკი, ა. დოლიძე, დოუევი, ნ. ნ. ევრეინოვი, ი. გ. ეგოროვი, ელიზაროვი, ს. ენუქიძე, გ. მ. ჟდანოვი, ზავიცკი, ზაგრებელნი, გ. ა. ზაიცევი, გ. ნ. ზიცევი, ზაიცევი, ზ. გ. ზანგვილი, ზატონსკი, რ. ს. ზემლიაჩკა, ნ. ი. ილინი, მ. მ. კაგანოვიჩი, ვ. ს. კალაშნიკოვი, მ. ი. კალაშნიკოვი, მ. ი. კალმანოვიჩი, კალინინი ბ. ნ. კარაევი, ა. კარაევი, ა. კარიმოვი, კარი-კულიევი, კარპოვი, კლინოვი, პ. ნ. კლიუევი, კნიგა, ვ. ნ. კობილინი, კოვალევი, ა. შ. კოჟევნიკოვი, კოზლოვი; მ. ნ. კოკოვიხინი, კოლოგოვი, ს. ი. კომისაროვი, კონდრატიევი, კონონენკო, კოპანი, კოპიევი, ა. ა. კოროსტილევი, გ. ა. კოროსტილევი, ი. ი. კოროტკოვი, კოსარევი ტ. ს. კრივოვი, ნ. ვ. კრილენკო, კუზმინი, კუზმინა, დ. კ. კურპებაევი, დ. ი. კურსკი, ნ. ო. კუჩმენკო, გ. პ. ლადოშინი, ვ. ფ. ლარინი; ა. ი. ლარიჩევი, პ. ნ. ლებედევი, დ. ზ. ლებედევი, ლევიტინი, ლეჟავა, ფ. ვ. ლენგნიკ, ნ. ვ. ლისიცინი, მ. პ. ლოკაცკოვი, ი. ა. ლიჩევი, ფ. ფ. ლიაკსუტკინი, მაგირი, მაზუროვი, მაიოროვი, მაკეევი, ნ. ვ. მალცევი, მანჟარა, მარტიკიანი; კ. ფ. მარტინოვიჩი, ფ. მახარაძე ტ. ი. მედვედევი; მილჩაკოვი, ვ. პ. მილიუტინი, ა. ს. მიტროფანოვი, მოისეევა, გ. მოროზი, მოროზოვი მ. კ. მურანოვი, მუცენიოკი, ა. მ. ნაზარეტიანი, ს. ი. ნაზაროვი, ხაიდულა ნასიროვი, ი. ნიკიტინი, ა. ფ. ნიკანოროვი, ს. ა. ნოვოსელოვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ოსტროვსკი, ნ. მ. ოსმოვი, ი. პ. პავლუნოვსკი, მ. დ. პასტუხოვი, ი. ს. პეტერსი; პეტროვი, ი. გ. პერეკატოვი, პლეშაკოვი, ნ. ი. პოდვოისკი, ვ. პ. პოზერნი, პოკო, პოლინი, ვ. ა. რადუს—ზენკოვიჩი; რასტოპჩინი, ს. ფ. რედენსი, რეინვალდი, ო. ლ. რივკინი; ა. ნ. როზენგოლცი, დ. პ. როზიტი, ე. ფ. როზმეროვიჩი, ბ. ა. როიზენმანი, რომანოვი დ. ი. სავოსტინი, პ. ფ. სახაროვი, სატიანოვა, ს. მ. სემკოვი, სერგანი მ. ს. სერგუშევი, სიროტოვი, ს. ნ. სმიდოვიჩი, სმოროდინი; ა. ა. სოლცი; ვ. პ. სტარანიკოვი, პ. ი. სტაროსტინი, ი. მ. სტეპოვანი, გ. მ. სტრელცოვი, სტუდიტოვი, ვანო სტურუა, ი. ე. სტენი, ტალბერგი, ტერეხოვი, ტრილისერი; ტრუშჩკინი, ტიშჩენკო, მ. ი. ულიანოვა, ფაბრიციუსი, ნ. ი. ფატეევი, ი. პ. ფიგატნერი, ა. ი. ფეხტერი, ს. ი. ფილერი; ხასმანი, ნ. გ. ცვეტკოვი, ფ. ა. ცილკო, ლ. ა. შაცკინი, ვ. ლ. შვეიცერი, ვ. პ. შებოლდაევი, შკირიჩი, ნ. ფ. შკირიატოვი, შლოკი, ა. ვ. შოტმანი, შტრაუხი, პ. ს. შუშკოვი; იუნოსოვი, ა. ა. იურკინი, მ. ი. იურცენი; ა. იაკოვლევი; ი. ა. იაკოვლევი, ნ. მ. იანსონი, ემ. იაროსლავსკი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1927 წ. 19 დეკემბერს შესდგა მე-15 ყრილობაზე არჩეულ საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი, ცენტრ. საკ. კომისიის პრეზიდიუმისა და ცენტრ. სარევ. კომისიის წევრთა მონაწილეობით. პლენუმმა აირჩია ცეკას აღმასრულებელი ორგანოები შემდეგი შემადგენლობით:

პოლიტბიუროს წევრებათ— ამხ. ბუხარინი, ვოროშილოვი, კალინინი, კუიბიშევი, მოლოტოვი, რიკოვი, რუძუტაკი, სტალინი, ტომსკი.

კანდიდატებათ—ამხ. პეტროვსკი, გ. ი. უგლანოვი, ანდრეევი, კიროვი, მიქოიანი, კაგანოვიჩი, ჩუბარი, კოსიორი.

ს. კ. პ. ცეკას მდივნებათ არჩეული არიან: ამხ. სტალინი, მოლოტოვი, უგლანოვი, კოსიორი ს. პ. და კუბიაკი. **კანდიდატებათ** დამტკიცებული არიან: ამხ. მოსკვინი, ბუბნოვი, არტიუხინა.

საკ. კომ. პ. (ბ) ცეკას გენერალურ მდივნათ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. სტალინი.

ცეკას ორგბიურო დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ორგბიუროს წევრებათ — **ამხ. სტალინი**, მოლოტოვი, უგლანოვი, კოსიორი ს. პ., კუბიაკი, მოსკვინი, ბუბნოვი, არტიუხინა, ანდრეევი, დოგადოვი, სმირნოვი ა. პ., რუხიმოვიჩი, სულიმოვი. **კანდიდატებათ**—ამხ. ლობოვი, მიხაილოვი, ლეპსე, ჩაპლინი, შმიდტი, უხანოვი, კოტოვი.

პარტიის ცენტრალურ ორგანოს „პრავდას" პასუხისმგებელ რედაქტორათ პლენუმმა დაამტკიცა ამხ. ბუხარინი.

ყრილობის დარბაზიდან

ორშაბათი 19 დეკემბერი

ბრძოლა ოპოზიციონურ ბანაკში განხეთქილებით დამთავრდა. ზინოვიევ — კამენევის ფრთამ ქედი მოუხარა პარტიის წინაშე. სმილგას განცხადება იმ კომისიის მოხსენების გამო, რომელმაც შემოიტანა წინადადება ოპოზიციის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, მოასწავებდა ომის გამოცხადებას ჩვენი ბოლშევიკური პარტიისათვის. საკავშირო კომპარტიიდან გაძევებულმა ტროცკიზმმა ომი გამოუცხადა ლენინიზმს.

რის შესახებ ლაპარაკობდა სმილგა? ან უკეთ რა წაიკითხა სმილგამ ტროცკისტული ოპოზიციის სახელით? თავიანთ შეხედულებებს ისინი არ უარყოფენ, პლატფორმას სწორად სთვლიან, უარყოფენ ბრალდებებს მენშევიზმში და ანტი-საბჭოთა ტენდენციებში, ფიქრობენ, რომ მათ გამორიცხვას პარტიიდან თან მოჰყვება სხვების გამორიცხვაც, რომ სწარმოებს მარჯვნივ გადახრა, რომ მათ სურთ იქნენ გამორიცხული პარტიიდან, მაგრამ თავის თავს სთვლიან ბოლშევიკებათ და სხ.

თუ თავს დავანებებთ თვალთმაქცურ, ყალბ განცხადებებს პარტიისა და კომინტერნის მთლიანობის შესახებ და იმის შესახებ, რომ ისინი თითქოს მეორე პარტიის შექმნის წინააღმდეგი არიან,—ყოველივე დანარჩენი არის ბოლშევიკური პარტიისათვის ომის გამოცხადება. ტროცკი პარტიაში შემოვიდა ბრძოლით და ბრძოლითვე გავიდა პარტიიდან. როცა ის ბოლშევიზმის რიგებს გარედ იყო,—ებრძოდა ლენინს. ეხლა ის წინანდებურად დაიწყებს ბრძოლას ლენინის პარტიის წინააღმდეგ როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ გარედ.

ოპოზიციის ზინოვიევის და კამენევის ფრთა მერყეობდა ყრილობის მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში. პირველი განცხადება ყრილობაზე ამ ფრთამ შემოიტანა ტროცკისტებთან ერთად. ყრილობის ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ ცეკას მოხსენების გარშემო და ყრილობის მტკიცე განწყობილებამ გავლენა მოახდინა ოპოზიციის რიგებზე. **ყრილობის მუშაობის განმავლობაში მარტო ლენინგრადში ოპოზიციას ჩამოშორდა 300 მუშა.** მუშები აშკარათ და გულწრფელად აღიარებდენ თავის შეცდომებს. ლიდერებმა დაიხიეს უკან. **ოპოზიციის ბანაკში თავი იჩინა განხეთქილებამ.** მე უკვე აღვნიშნე, რომ ყრილობის მუშაობის დროს ოპოზიციის ბანაკში ძლიერდებოდა ბრძოლათქო. ტროცკისტები უკანასკნელ ძალღონეს ხმარობდენ: რაზმავდენ უბრალო წევრებს, აფრთხილებდენ მათ, რომ ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერები მერყეობენ, რომ მოსალოდნელია „ღალატი"-ო.

ამ მუშაობის გავლენით ზინოვიევი და კამენევი ჯერ სიმტკიცეს იჩენდენ, მაგრამ უკვე მეორე განცხადებიდან სჩანდა, რომ ზინოვიევის ფრთა იხევს აჩქარებული ტემპით. ტროცკისტები კი თავის თავის ერთგულები და ლენინიზმის ერთგული მოწინააღმდეგენი დარჩენ.

კომისიის მოხსენების გამო გამოვიდენ მხოლოდ ტროცკისტები (სმილგას განცხადება). ზინოვიევის ფრთამ ვერ მოასწრო სრული კაპიტულიაცია მანამ, სანამ ყრილობა პარტიიდან გამორიცხავდა ოპოზიციის ყველა აქტიურ წევრებს, მათ რიცხვში საპრონოვის ჯგუფსაც.

მხოლოდ დღეს, 12 საათზე, შემოვიდა განცხადება კაპიტულიაციის შესახებ. კამენევმა ითხოვა დაეშვათ ის ყრილობაზე, მაგრამ მისი შუამდგომლობა უარყოფილ იქნა. თავის სიტყვაში ამხ. რიკოვმა ჰკითხა ყრილობას: იწონებს თუ არა ის კამენევის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს, ე. ი. იმას, რომ კამენევი არ იქნა დაშვებული ყრილობაზე. ყრილობამ მოიწონა კამენევის წინააღმდეგ მიღებული ზომები.

თავის განცხადებაში **ზინოვიევი, კამენევი, ბაკაევი, ევდოკიმოვი, ზალუცკი** და სხვ. აღნიშნავენ, რომ ყრილობის დადგენილება თვითეულ ოპოზიციონერის წინაშე აყენებს საკითხს მის დამოკიდებულების შესახებ **პროლეტარულ რევოლიუციისადმი.** ოპოზიციონერები ვალდებული არიან თავისი ნებისყოფა დაუმორჩილონ პარტიის ნებისყოფას. **ოპოზიციონერები იარაღს ყრიან იდეურათ და ორგანიზაციულათ. თავის შეხედულებებს ალიარებენ შემცდარათ. მთავარ შეცდომათ სთვლიან ფრაქციულ მუშაობას, რომელიც რეალურად აყენებდა საკითხს მეორე პარტიის შესახებ. შემცდარათ სთვლიან ყველა თავის მოქმედებას (დემონსტრაციას, არალეგალურ სტამბას და სხვ.). შემცდარათ სთვლიან კავშირს მასლოვთან და რუტ ფიშერთან. აცხადებენ, რომ არასოდეს არ ჰქონდათ კავშირი კორშთან და კორშის მსგავსებთან** და ბოლოს თხოულობენ რომ ამ განცხადების ავტორები უკანვე მიღებული იქნენ საკ. კომ. პ. (ბ) რიგებში.

ამგვარად, ზინოვიევის ფრთამ სრული კაპიტულიაცია გამოაცხადა პარტიის წინაშე და დაემორჩილა ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ამხ. რიკოვმა პრეზიდიუმის სახელით წაიკითხა პროექტი წინადადებისა ოპოზიციის განცხადების საპასუხოდ.

პირველი: არ იქნას განხილული განცხადება, რამდენათაც ყრილობამ თავისი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი ამოსწურა მისი გამორიცხვით საკავშირო კომპარტიის რიგებიდან.

მეორე: წინადადება მიეცეს ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიას გამორიცხულები მიიღონ ინდივიდუალური წესით.

მესამე: მათი განცხადებანი განხილულ იქნას 6 თვის შემდეგ.

მეოთხე: პარტიაში მისაღებმა პირებმა უნდა შეასრულონ პარტიის ყველა ვალდებულებანი.

მეხუთე: მისაღებად იქნას ცნობილი ისეთი განცხადებანი, რომელნიც სავსებით შეეფერება ყრილობის გადაწყვეტილებებს.

მეექვსე: ეს განცხადება უნდა შეიცავდეს: უარის თქმას 83-ის პლატფორმაზე, 15-ის პლატფორმაზე და ოპოზიციის უკანასკნელ პლატფორმაზე.

ამხ. რიკოვი ამბობს, რომ ასეთი წინადადება უნდა მივიღოთ იმის გამო, რომ ძალიან მძიმეა დანაშაული, რომელიც პარტიის მე-15 ყრილობამდე ჩაიდინეს ოპოზიციონერებმა. ყრილობის ეს გადაწყვეტილება გამოხატავს მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის ნებისყოფას.

ყრილობამ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო. ერთმა ამხანაგმა წინააღმდეგ მისცა ხმა, მაგრამ შემდეგ ისიც შეუერთდა გადაწყვეტილებას და განაცხადა, რომ იგი მხოლოდ იმას, სთვლიდა მიზანშეუწონლად, რომ 6 თვის ვადა იქნას დაწესებული, რომ ცალკე ოპოზიციონერებისათვის ეს ვადა შეიძლება შემცირდესო.

ამრიგად გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

დაჰყარა რა იარაღი, ზინოვიევ-კამენევის ფრთამ **განამარტოვა ტროცკის ჯგუფი,** რომელსაც ისტორიულად უკავია ადგილი ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის.

ყრილობა დახურა ამხ. რიკოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ყრილობის მუშაობაში გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ მომხდარმა ამბებმა.

ყრილობის დღის წესრიგი და მისი გადაწყვეტილებები— ეს არის ახალი თარიღი, ახალი ეტაპი პროლეტარულ რევოლიუციის განვითარებისა საბჭოთა კავშირში.

რეზოლიუცია ხუთწლიან გეგმის შესახებ, ეს არის გაშლილი პროგრამა სოციალიზმისაკენ მიმავალ გზაზე.

ყრილობამ დაისახა დიდი კონკრეტიული ამოცანა ჩვენი დიქტატურის მოძრაობის შესახებ სოციალისტურ გადაკეთების გზაზე, გლეხურ მეურნეობის განსაზოგადოების საშუალებით.

მარტო ამ საკითხების დასმა წარმოადგენს ახალ ეპოქას იმ პროლეტარულ სახელმწიფოს განვითარებაში, რომელმაც უდიდესი გადატრიალება მოახდინა მთელს მსოფლიოში.

ყრილობამ დასვა საკითხი სიძნელეთა დაძლევისა და ყველა ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის აწევის შესახებ. საჭიროა მეტი, ვიდრე დღემდე გვქონდა თვითკრიტიკა და ამხანაგური დავა. წინ ბევრი სიძნელეები გველის სამეურნეო და პოლიტიკური აღმშენებლობის განვითარების ახალ საფეხურზე.

ჩვენზე თავდასხმის საფრთხე— რეალურია. ჩვენს მტრებს სურთ ხელი შეუშალონ სოციალიზმის მშენებლობას. ამიტომ საბჭოთა კავშირის თავდაცვა **უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.**

ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე სდგას, უდიდესია და ძლიერ ძნელი ერთი სიძნელე ჩვენ უკვე დავძლიეთ. ოპოზიციასთან ბრძოლა ართმევდა მუშათა კლასს და სოციალისტურ სახელმწიფოს ყველა აღმშენებლებს არაპროპორციულად დიდ დროს. მენშევიკური ეკალი, მუწუკი, ამოგდებულია ძირ-ფესვიანად, საბოლოოდ. ჩვენ იმ დროის მეასედიც კი არ უნდა დავკარგოთ, რაც მოვანდომეთ ოპოზიციასთან ბრძოლას.

ოპოზიცია პარტიიდან გამორიცხულია ჩვენ არ შეგვიძლია ისევე მსუბუქად მოვეპყრათ პარტიის გადაწყვეტილებებს, რანაირი სიმსუბუქითაც ოპოზიცია თავის შეხედულებებს ეკიდება. პარტიის კარი [illegible] ღიაა, თუ ისინი უარს იტყვიან თავის ანტილენინურ, მენშევიკურ შეხედულებებზე—მაგრამ, საჭიროა [illegible] პირობები, რომ არ [illegible] ის, რაც უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იყო. ჩვენი პარტიის გარეთ დატოვებულმა პირებმა კარგად იცოდნენ რომ არავითარ პოლემიკას ჩვენსა და მათ შორის ადგილი არ ექნება. მათ მიმართ ისეთსავე [illegible] ზომებს მივიღებთ, როგორსაც ვღებთ იმათ მიმართ ვისაც სურთ პოლიტიკურად დაირაზმონ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ.

— ჩვენი პარტიის მთლიანობა, მუშათა კლასის მხარის დაჭერა, ოპოზიციას გაიშვა—ყველაფერი ეს საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი ამოცანები ავასრულოთ სიძნელეთა მიუხედავად, პროლეტარული რევოლიუციის საქმეს ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ. ჩვენ ბოლშევიკები ვართ.

ასე დაამთავრა ამხ. რიკოვმა თავისი სიტყვა ყრილობის დახურვის დროს.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პარტიული ყრილობა მოწვეულ იყოს ორ წელიწადში ერთხელ მაინც.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ პარტიის ყველა წევრები, რომლებიც უარს იტყვიან, ცნობები მისცენ საკონტროლო კომისიებს, დაუყოვნებლივ უნდა გაძევებულ იქნან საკავშირო კომპარტიის რიგებიდან.

ყრილობამ დაადასტურა მე-15 კონფერენციის გადაწყვეტილება პარტიაში დისკუსიის დაწყების შესახებ.

შემდეგ ყრილობამ შესცვალა საკავშირო კომპარტიის ცენტრ. საკონტროლო კომისიის წესდების ერთი მუხლი და გააუქმა ცენტრ. საკონტრ. კომისიის სამდივნო, ეს გადაწყვეტილება ეხება მხოლოდ საკავშირო კომპარტიის ცენტ. საკონტრ. კომისიას.

სხდომის დამთავრების შემდეგ შესდგა საკავშირო კომპარტიის (ბ) ახალი ცკ-ის პლენუმი, რომელზედაც ჩამოყალიბდა პოლიტბიურო, ორგბიურო და სამდივნო. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ძველი შემადგენლობით დარჩა. პოლიტბიუროს მეცხრე წევრად არჩეულია ამხ. კუიბიშევი, პოლიტბიუროს კანდიდატთა შემადგენლობაში დამატებით არჩეულია ამხ. კოსიორი.

* *

საკავშირო კომპარტიის (ბ) ისტორიას **არ ახსოვს ასეთი ერთსულოვანი ყრილობა**. ცოტა სიძნელეები როდი იყო იმ მომენტში, როცა პარტიამ და მუშათა კლასმა გადადგა ახალი ნაბიჯი საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურის განვითარებაში, როცა ჩვენ ფეხი შევსდგით სოციალისტური მშენებლობის ახალ ეტაპში. ერთ-ერთი დიდი სიძნელე გადალახულია: ოპოზიცია საბოლოოდ დამარცხდა.

ბოლშევიკური პარტია,—ეს არის გოლიათი, რომელიც თავის გამარჯვებისაკენ გზაზე შესძლებს ყველა სიძნელის, დაბრკოლებათა და წინააღმდეგობათა გადალახვას. ისტორიულად მე-15 ყრილობამ ეს სრული სიცხადით დაადასტურა.

პარტია არაჩვეულებრივად გაიზარდა. ლენინის პარტია სცოცხლობს და იმარჯვებს.

საქმიანი მუშაობისაკენ!

რუბინი.
(ტელეფონით მოსკოვიდან)

კამათი ამხ. რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებათა გარშემო

13 დეკემბრის დილის სხდომა

ამხ. კუიბიშევის სიტყვა

ამხ. ჩუცკაევის შემდეგ გამოვიდა ამხ. კუიბიშევი (ს. მ. უ. ს.): რომელიც დაწვრილებით შეჩერდა ს. მ. უ. ს. ხუთწლიან გეგმაზე. „სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა, ლაპარაკობს ის, მიზნად ისახავს უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიური ზრდისათვის ისეთი ტემპის მიცემას მახლობელ წლებში, რომელიც წინ გაუსწრებდა კაპიტალისტური მსოფლიოს სამეურნეო განვითარებას. მეორე მიზანს შეადგენს სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონის გადიდება, კერძო კაპიტალისტურ სექტორთან შედარებით. დაბოლოს, საჭიროა ისეთი გეგმის შედგენა, რომელიც მახლობელ ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად გააუმჯობესებდა მუშების და გლეხების მატერიალურ მდგომარეობას. ს. მ. უ. ს. გეგმა მრეწველობის დარგში, მიზნად ისახავს განვითარების ისეთ ტემპს, რომელიც ხუთი წლის თავზე ორჯერ გაზრდიდა მრეწველობას. ამ პროგრამის განხორციელება პროლეტარიატისა და სოციალისტური დასაწყისის უდიდესი გამარჯვება იქნება. ქვა-ნახშირის ამოღება იზრდება ორჯერ, ნავთის—უფრო მეტად, ვიდრე ორჯერ; იზრდება ელექტრო-ენერგიის მოხმარება; სამრეწველო გეგმაში ცენტრალური როლი დათმობილი აქვს საწარმოო იარაღების დამზადებას. ჩვენ განვიცდით შემთხვევას, მძიმე ინდუსტრიის პროდუქტების დარგში და დამოკიდებული ვართ უცხოეთისაგან ამიტომ მძიმე ინდუსტრიის განვითარებისაკენ აღებული პრინციპიალური გეზი აბსოლიუტურად სწორია, მძიმე ინდუსტრია დაიჭერს მთელი მრეწველობის 30 პროცენტს. დანარჩენი მოდის მსუბუქ ინდუსტრიაზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსუბუქი ინდუსტრია უნდა დაიჩრდილოს. ჩვენ ერთდროულად უნდა გავაძლიეროთ ყურადღება მსუბუქი ინდუსტრიის დარგებზედაც“.

ეხება რა მძიმე ინდუსტრიის ცალკე დარგებს, ამხ. კუიბიშევი მთელი რიგი ციფრებით ახასიათებს ამ დარგების ურთიერთ შეფარდებას ხუთწლიან გეგმაში.

მანქანათმშენებლობის დარგში აღებულია ისეთი ტემპი, რომელიც ხუთი წლის თავზე უზრუნველყოფს მრეწველობის მოთხოვნილებას მანქანების დარგში 80 პროცენტით და მხოლოდ 20 პროცენტის შემოზიდვა მოგვიხდება უცხოეთიდან. განსაკუთრებული გეგმაა დაზგების მშენებლობისათვის.

მეტალურგიაში თუჯის წარმოება უნდა გაიზარდოს 118 პროცენტით, რკინის მადნეულობის 143 პრ., ელექტრო-ენერგიის მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით, ხუთწლიანი პერიოდის დასასრულს განზრახულია ყველა ელსადგურების ძალოვნების 2.4 ჯერ გადიდება. გეგმის თანახმად ელექტროფიკაციაზე დაიხარჯება 1.392.000.000 მან. ქიმიურ მრეწველობაში ხუთჯერ გადიდება სუპერფოსფატის წარმოება. იზრდება კალიუმის ამოღება, ქვა-ნახშირის ამოღება იზრდება 83 პროცენტით, ქვა-ნახშირის ეს რაოდენობა არამც თუ დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებას, არამედ შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ საჭირო მარაგი.

ქვა-ნახშირის საკითხთან დაკავშირებით, ამხ. კუიბიშევი ეხება იმ მეტად დიდ პერსპექტივებს, რომლებსაც შლიან ურალისა და აფხაზეთის მდიდარი ბუდობები ქვა-ნახშირის, საიდანაც შეიძლება კოქსის მიღება. თუ ჩვენი იმედები გამართლდა ქვა-ნახშირის ბუდობებმა, განსაკუთრებით აფხაზეთის ქვა-ნახშირის ბუდობებმა, მაშინ ჩვენ გვექნება ქვა-ნახშირის ახალი მარაგი ზღვის პირად და მაშასადამე, ქვა-ნახშირის გატანის მეტად ხელსაყრელი პირობები.

ნავთის ამოღების დარგშიაც მნიშვნელოვანი პერსპექტივები იშლება, კერძოდ ემბის ნავთის რაიონის შექმნით. ს. მ. უ. ს. ხუთი წლის დასასრულს განზრახული აქვს საექსპორტო ხე-ტყის მასალის გადამუშავების 11 პროცენტით გადიდება ომის წინადროის ექსპორტთან შედარებით. საჭიროა სატყეო მრეწველობის მექანიზაციის რაც შეიძლება დაჩქარება. კაპიტალურ მშენებლობასთან დაკავშირებით, ს. მ. უ. ს გეგმა ითვალისწინებს საამშენებლო მასალის მრეწველობის მნიშვნელოვან განვითარებას. აგურის წარმოების დარგში, მაგალითად, 2,5 ჯერ; ცემენტის წარმოების დარგში—114 პროცენტით. ფერადი ლითონების მრეწველობის დარგში ჩვენ დიდათ ვართ დამოკიდებული უცხოეთისაგან. ამიტომ ამ დარგში საჭირო იქნება განსაკუთრებული ჩქარი ტემპი. სპილენძის წარმოება იზრდება 250 პროცენტით, თუთიის—20-ჯერ გეგმა შედგენილია ისეთი ანგარიშით, რომ ხუთწლიანი გეგმის შესრულებიდან ერთი წლის შემდეგ ჩვენ სრულიად განვთავისუფლდეთ უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან სპილენძის წარმოებაში.

როგორია პერსპექტივები მოხმარების საგნების დარგში. საფეიქრო მრეწველობის დარგში განზრახულია ბამბის ქსოვილების წარმოების 81 პროცენტით გადიდება, მატყლის ქსოვილების—68 პროცენტით, შაქრის მრეწველობა იზრდება 2,5-ჯერ, სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი საკონსერვო მრეწველობას. ამ დარგში განზრახულია წარმოების 367 პროცენტით გადიდება. დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ტყავისა და რეზინის მრეწველობას. ცხიმოვან ნივთიერებათა წარმოება იზრდება 227 პროცენტით, დაბოლოს, ს. მ. უ. ს. ვარიანტით განზრახულია მთელი რიგი ახალი წარმოებების შექმნა, როგორიც მაგალითად, ხელოვნური აბრეშუმის წარმოება, რომელიც ჩვენში ეხლახან ჩაისახა, განზრახულია ახალი სასუქ ნივთიერებათა, მაღალი ღირსების ფოლადისა და ალიუმინის წარმოების განვითარება და სხვა.

განავითარა რა დაწვრილებით მშენებლობის პროგრამა სხვადასხვა დარგების მიხედვით, ამხ. კუიბიშევი შეჩერდა ხუთწლიანი გეგმის დახასიათებაზე ცალკე ეკონომიური რაიონების თვალსაზრისით. ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს, რომ ს. მ. უ. ს. ვარიანტი ისე შედგენილია, რომ ის ითვალისწინებს საბჭ. კავშირის ყველა რაიონების ინტერესებს.

ლენინგრადის რაიონს, რომელსაც იაფი ელექტრო-ენერგია აქვს ვოლხოვსტროის მეშვეობისა და სვირის ელსადგურის აშენებასთან დაკავშირებით, დიდი როლი ენიჭება მანქანათმშენებლობასა და სხვა დარგებში. დიდი ადგილი ეთმობა ურალსა და ციმბირს, განსაკუთრებით კი ურალს, რომელსაც საუკეთესო ბაზა აქვს იმისათვის, რომ გახდეს ინდუსტრიალური ცენტრი აღმოსავლეთის რაიონებისათვის. გეგმით მთელი რიგი ელემენტებია თვალისწინებული უკრაინასა და სამხრეთ პუნქტებს. კაპიტალური მშენებლობა განზრახულია აგრეთვე ცენტრალურ სამრეწველო რაიონში, კერძოდ საფეიქრო მრეწველობის და მანქანათმშენებლობის დარგში. გადაწყვეტილია საკითხი მოსკოვში საავტომობილო ქარხნის აგების შესახებ.

თავისი სიტყვის დანარჩენ ნაწილში ამხ. კუიბიშევი ყრილობის ყურადღებას მიაპყრობს კაპიტალური მშენებლობის ამოცანებზე. „ჩვენ რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამბობს ამხ. კუიბიშევი,—უნდა მივაღწიოთ მშენებლობის თვითღირებულების გაიაფებას. ამ საქმეში პარტიამ და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა დაიხმარონ მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობა“. შემდეგ ამხ. კუიბიშევი მიუთითებს მშენებლობაში ყველა იმ გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენების აუცილებლობაზე, რომლებიც გავრცელებულია უცხოეთში, განსაკუთრებით კი ამერიკაში. ჩვენს შენობებს ჩვენ ერთობ მონუმენტალურ ხასიათს ვაძლევთ, იქ, სადაც ჩვეულებრივი შენობის აგებაა საჭირო. ჩვენ ვაგებთ სასახლეებს, ჩვენ თვითეული სახლის აშენებას ისე უდგებით, თითქოს რაღაც ტაძარს ვაშენებდეთ საამშენებლო ინდექსი უნდა შემცირდეს 30 პროცენტით, როგორც ეს გათვალისწინებული აქვს ს. მ. უ. ს. ხუთწლიან გეგმას. თუ ეს ასე არ მოხდა, კაპიტალური მშენებლობის მთელი გეგმა ჩაიშლება და მით ხელი შეეშლება საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის მთელ გეგმას“.

დასასრულ ამხ. კუიბიშევი შეჩერდა პროფესიონალურ-ტექნიკურ განათლების საკითხზე და აღნიშნა მისი, როგორც სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელოვანი ელემენტის განვითარების აუცილებლობა. ამხ. კუიბიშევი თავის სიტყვას ათავებს იმით, რომ პარტიას მხურვალედ მოუწოდებს მთელი ძალები მოახმაროს სოციალისტურ მშენებლობას და მუშათა კლასს. (მქუხარე ტაში).

ამხ. კუიბიშევის შემდეგ გამოვიდა ამხ. კოლგუშკინი (ლენინგრადი). ამით დამთავრდა დილის სხდომა.

13 დეკემბრის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 13 დეკემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. მიხაილოვის სიტყვა

პირველად გამოდის ამხ. მიხაილოვი (მოსკოვის გუბ. პროფკავშირთა საბჭო). ძირითად ნაკლად ჩვენი სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საქმეში ამხ. მიხაილოვი სთვლის იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებულ იქნა კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვის დროს და თვით კაპიტალურ მშენებლობაში. უდიდესი შეცდომები იქნა დაშვებული მთელ რიგ მშენებლობაში. რევოლიუციის მე-11 წელზე უნდა გვესწავლა მშენებლობა უზომო შეცდომების გარეშე. დიდი ნაკლია აგრეთვე ის, რომ მშენებლობის საქმეში საკმაოდ არ ვაბამთ მუშათა ფართო მასებს, ინჟინრებს და აგრეთვე ტექნიკურ პერსონალს. ჩვენი პრესა საკმაო ყურადღებას არ აქცევს კაპიტალური მშენებლობის საკითხს.

შემდეგ ამხ. მიხაილოვი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ქარხნები და ფაბრიკები, რომლებიც უკანასკნელ ხანებში იქნა აგებული, საკმაოდ ვერ ითვალისწინებენ შრომის პირობების გაუმჯობესების აუცილებლობას. ეს დაუშვებელია.

სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების აუცილებელი კადრების მომზადების საკითხს, ვინაიდან მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი მოითხოვს სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების უდიდეს რაოდენობას. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ ჩვენ მომავალ პერიოდში დამატებით დაგვჭირდება 500.000 მეტი კვალიფიციური მუშა.

ხუთწლიანი გეგმით მოვარაუდევია, რომ ხელფასი ხუთი წლის განმავლობაში 46 პროცენტით უნდა გაიზარდოს, აქედან ხელფასის 20 პროცენტით გადიდება ფასების დაწევის ხარჯზე უნდა მოხდეს.

აქედან ცხადია, რომ მუშათა მასების ყურადღების მთავარ საგნად უნდა გადაიქცეს კოოპერაციის მუშაობა, რომელზედაც თვალსაჩინოდ დამოკიდებულია ფასების დაწევა.

საჭიროა ხუთწლიანი გეგმით აღძრულ საკითხებს მთელი თავისი ყურადღება მიაქციოს პარტიამ და მუშათა კლასმა.

მხოლოდ ამ პირობებში შევძლებთ საგრძნობლად წინ წავიწიოთ სოციალიზმის განვითარების საქმე.

14 დეკემბრის დილის სხდომა

მისალმებანი

მოსკოვი, 14 დეკემბერი. 14 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმენ ფაბრიკა - ქარხნების მუშათა დელეგაციები. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: **კუზინი**—კრასნოპანის რაიონის (ნიჟეგოროდის გუბერნია), მუშათა სახელით, **შარაპოვა**—კოსტრომის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების სახელით, **ნოვიჩენკო**—ზაპოროჟიეს სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანა „კომუნარი“-დან, **გლავიცკი** — უკრაინის ტულჩინის ოლქიდან, **კოსტრიკოვი** — კალუგის საფეიქრო ფაბრიკა „კრასნი ოქტიაბრი“-დან.

ყველა ორატორები ერთხმად აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის დიდ მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ეს მიღწევები შედეგია მშრომელთა მასების მუშაობის სწორი პარტიული ხელმძღვანელობის, საბჭოთა კავშირის მუშები მე-15 ყრილობისაგან მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას პარტიის მთლიანობის უზრუნველსაყოფად, რადგან პარტიის ძალა მთლიანობაშია, ხოლო მუშათა კლასის ძალა კი — ხელმძღვანელობაში, რომელიც მას აქვს პარტიის მხრით.

შარაპოვამ, რომელიც ყრილობას მიესალმა კოსტრომის გუბერნიის მასწავლებლების სახელით, აღნიშნა, რომ მასწავლებლობა ასრულებს ლენინის ანდერძს და მზადაა ბოლომდე იაროს ხელიხელ ჩაკიდებული მუშათა კლასსა და გლეხობასთან ერთად როგორც სამეურნეო, ისე ქვეყნის კულტურული მშენებლობის საქმეში.

დელეგაციებმა ყრილობას მოუძღვნეს საჩუქრები.

მისალმებების მოსმენის შემდეგ, გრძელდება კამათი ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენების გარშემო.

ამხ. პეტროვსკის სიტყვა

სიტყვა ეძლევა ამხ. პეტროვსკის (უ. ს. ს. რ.). ამხ. პეტროვსკი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იმ საკითხებისაგან განთავისუფლების შემდეგ, რომლებიც დაკავშირებული იყო ოპოზიციის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლასთან, ყრილობა მთელ ყურადღებას დაუთმობს სამეურნეო საკითხებს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ქვეყნის წინაშე სდგას უდიდესი სამეურნეო ამოცანები, რომელთა გადაჭრის გარეშე შემდგომი სოციალისტური მშენებლობა დიდ დაბრკოლებას განიცდიდა.

ძირითად საკითხად ხუთწლიან გეგმაში ამხ. პეტროვსკი სთვლის ეკონომიურ რაიონებათ დაყოფის საკითხს.

რამდენიმე ხნის წინად, — ამბობს ამხ. პეტროვსკი,—ჩვენ არა ერთხელ მოგვისმენია ს. ს. რ. კ. სმუს განცხადება იმის შესახებ, რომ მთავარი ყურადღება მძიმე ინდუსტრიის განვითარების საქმეში ჩრდილოეთსა და ურალს უნდა მიექცესო.

ამხ. პეტროვსკი უარყოფს ასეთი პოლიტიკის სისწორეს. ის ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში გარდა ჩრდილოეთისა და ურალისა არის სხვა რაიონებიც, მაგალითად, უკრაინა, რომლებსაც ყველაფერი ხელს უწყობთ იმისათვის, რომ განავითარონ მძიმე ინდუსტრია და პირველ რიგში მეტალურგია. რა საჭირო იყო დნეპროსტროის აშენების დაწყება, თუ დნეპრის ელსადგურის ენერგიის გამოყენება შეუძლებელია უკრაინის მძიმე ინდუსტრიის განვითარებლად. რაიონებად დაყოფის საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული კაპიტალური მშენებლობის გეგმები და თვითღირებულების შემცირების საკითხები. უ. ს. ს. რ. მძიმე ინდუსტრიის მდგომარეობა უფრო მეტად უზრუნველჰყოფს თვითღირებულების შემდგომ შემცირებას, ვიდრე ურალის ინდუსტრ. მდგომარეობა. ამხ. პეტროვსკი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მრეწველობა უნდა განვითარდეს იმ რაიონებში, სადაც ხელსაყრელი პირობებია ამისათვის.

შეეხო რა ტრანსპორტის პრობლემას, ამხ. პეტროვსკი აფრთხილებს იმ ამხანაგებს გადაჭარბებული გატაცებისაგან, რომლებიც სარკინიგზო ქსელის განვითარების ერთობ დიდ გეგმებს ადგენენ. არსებული ქსელის ტვირთზიდვის უნარიანობის მნიშვნელოვნად გადიდება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გამოვიყენებთ ძლიერ ორთქლმავლებს და დიდი ტევადობის ვაგონებს. ამ ზომებით შესაძლებელი გახდება სატრანსპორტო პრობლემის სიმწვავის რამოდენიმე ხნით შენელება.

ამხ. პეტროვსკი ფიქრობს რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა სათანადო ყურადღებას არ უთმობს წყლის ტრანსპორტის განვითარებას, რომელიც ჯერ კიდევ არაა აღდგენილი ომის წინადროის დონემდე და რომლის გამოყენება ამსუბუქებს სატრანსპორტო პრობლემის გადაჭრას, მნიშვნელოვნად აიაფებს ტვირთის გადაზიდვას.

ამხ. ლიუბიმოვის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. ლიუბიმოვი („ცენტროსოიუზი“).

— სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, — ამბობს ამხ. ლიუბიმოვი, — ვაჭრობისა და კოოპერაციის საკითხებს ჯეროვანი ყურადღება დაუთმო, მაგრამ სახელმწიფო საგეგმო კომისიის ზოგიერთი დასკვნები არაა სავსებით სწორი. ავიღოთ, მაგალითად, კოოპერატიული საქონლის ბრუნვის განვითარება. უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ამ დარგში. ჩვენ მოწმენი ვართ კოოპერატიული საქონლის ბრუნვის არა ჩვეულებრივი ტემპით განვითარების.

1925—26 წელში კოოპერატიული საქონლის ბრუნვა წინა წელთან შედარებით 84,5 პროცენტით გაიზარდა. 1926—27 წ. ეს ბრუნვა გაიზარდა 42 პროცენტით, ხოლო 1927—28 წელში გაიზრდება არა ნაკლებ, ვიდრე 25—26 პროცენტით. ქვეყნის მთელი საქონლის ბრუნვიდან, რომელიც 33 ნახევარ მილიარდ მანეთს უდრის, კოოპერაციის წილად მოდის 13 ნახევარი მილიარდი მან.

ამ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, კოოპერატიული საქონლის ბრუნვის განვითარების გამო, ჩვენ მოვახერხეთ კერძო ვაჭრების მნიშვნელოვნად განდევნა ბაზრიდან, საშუალოდ ეს განდევნა ერთი წლის განმავლობაში უდრის, დაახლოვებით, 12 პროცენტს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთწლიანი გეგმა კი მახლობელ ხუთი წლის განმავლობაში კერძო ვაჭრის საშუალო წლიურ განდევნას განსაზღვრავს 5—6 პროც. რაოდენობით. არა დამაკმაყოფილებლად სჭრის ხუთწლიანი გეგმა სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებების საკითხს. დიდათ ამცირებს რა სესხით მიღებულ საშუალებებს საკუთარ საშუალებებთან შედარებით, სახელმწიფო საგეგმო კომისია ამით არ სწყვეტს სწორად საკითხს სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ.

აღნიშნა რა რომ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და თვით კოოპერაცია გამაგრდა, ამხ. ლიუბიმოვი აცხადებს, რომ ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კოოპერაციის მოთხოვნილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ნორმალურ განვითარებას.

ამხ. კომაროვის სიტყვა

ამხ. ლიუბიმოვის შემდეგ სიტყვა მიეცა ამხ. კომაროვს (ლენინგრადი).

ამხ. კომაროვი, შეეხო რა ის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის საკითხს, ამბობს, რომ უნდა გამოვნახოთ ისეთი პროგრესია, რომელიც საშუალებას მოგვცემს სავსებით აღმოვფხვრათ საქონლის ნაკლებობა. ამხ. კომაროვი დიდ ნაკლად სთვლის იმას, რომ სამშენებლო საქმეში ხანდახან ადგილი აქვს შეუთანხმებელ მუშაობას. ჩვენ შემოგვაქვს ბევრი ისეთი საქონელი, რაც არ გვესაჭიროება და რის დამზადებაც ჩვენვე შეგვიძლია. ამავე დროს იმპორტის გეგმაში ყოველთვის არ არის შეტანილი წარმოების საგნები, რომელთაც შეუძლია ჩვენი მეურნეობის აღორძინება.

ამხ. კომაროვი თავის სიტყვის ბოლოში აცნობებს ყრილობას ელექტროფიკაციის მდგომარეობას ლენინგრადის ოლქში და აღნიშნავს ვოლხოვსტროის წარმატებით მუშაობას.

ამხ. სტრიევსკის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. სტრიევსკი (მოსკოვი). ორატორი აღნიშნავს, რომ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ხუთწლიან გეგმაში ცოტა ადგილი აქვს დათმობილი საფეიქრო მრეწველობას. ხუთწლიანი გეგმით განზრახულია მისი გაფართოება 84 პროცენტით. ეს, სტრიევსკის აზრით, ცოტაა. იგი აღნიშნავს საფეიქრო მრეწველობის დიდ როლს ჩვენი ქვეყნის საერთო წარმოებაში, რომლის 30 პროც. იგი შეადგენს. ამავე დროს აუცილებელია თანხების გადიდება მებამბეობისათვის.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, ამხ. სტრიევსკის აზრით, — არის სართავი მანქანების დამზადება, რომლის განვითარება გაგვანთავისუფლებს საზღვარ - გარეთის გავლენისაგან.

14 დეკემბრის საღამოს სხდომა

ამხ. ლუკაშინის სიტყვა

უდიდესი მუშაობა ეკონომიური განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესადგენად,—დაიწყო თავისი მოხსენება ამხ. ლუკაშინმა,—მნიშვნელოვან ნაწილში რეალობად ხდება უკვე პარტიის ყრილობის დროისათვის. მაგრამ ჩვენ მაინც კი არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა საკითხები, რომლებიც ხუთწლედან უნდა დაიდოს ამ ხუთწლიან გეგმაში, სავსებით უდავოა. ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების დაჩქარება ჩვენს წინაშე დადგა როგორც ისეთი საკითხი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს გადაჭრას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის და მთელი ეკონომიკის შემდგომი რაციონალიზაციისათვის. ხუთწლიანი გეგმის საკითხები ეხლა მჭიდროთ არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის გენერალურ გეგმასთან. ხუთწლიან გეგმას უამისოდ ექნება დეფექტები, რომლებიც ჰქონდა დღემდე წლიურ გეგმებს. ამხ. რიკოვმა ხუთწლიანი გეგმის საკითხის განხილვის დროს სთქვა, რომ ხუთწლიანი გეგმა რაიონების მიხედვით საკმაოდ არ არის დასაბუთებული. ჩვენ, რაიონული მუშაკები, ყოველთვის საყვედურს უთვლით ცენტრს, რომ ჩვენ არ გვაქვს საბოლოო მტკიცე დირექტივები სარაიონო გეგმების შესადგენად. რომელ რაიონებს, როგორი ხასიათი ელფერი და დინამიკა ეძლევა მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის და საზოგადოთ სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში,—ეს საკითხი დღემდე კიდევ გადაუწყვეტელი არის. როცა ჩვენ არ გვაქვს ეს მტკიცედ განსაზღვრული დირექტივები, ჩვენ არ შეგვიძლია სერიოზულად, საკმაო მოფიქრებით შევადგინოთ ხუთწლიანი გეგმები რაიონული მასშტაბით, არ შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ რამდენი თანხა შეუძლია სახალხო მეურნეობას გადასდოს რაიონებისათვის, არ ვიცით, საკმაოდ რაციონალურად დაიხარჯება ეს თანხები თუ არა. უამისოდ ძალიან ძნელია გეგმის შედგენა.

ეხლა საკითხი უკვე სდგას და მალე გადაწყდება. რაიონების ეკონომიური განვითარების გეგმების შედგენის საფუძვლები მტკიცე და ურყევ გამოსავალ პოზიციებად უნდა გახდეს. რომ ჩვენი კავშირის ეკონომიკა მომავალშიაც კიდევ მეტად უნდა იყოს მთლიანი ორგანიზმი და რომ მხოლოდ ამ ერთიანი ორგანიული მთლიანობის ფარგლებში შეგვიძლია რაიონების გეგმების, ეროვნული რესპუბლიკების გეგმების განვითარება,—ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. საერთო საკავშირო გეგმისათვის რამდენიმე განსაკუთრებული ამოცანების დაპირდაპირება, რომლებიც არ გამომდინარეობენ ეკონომიური მიზანშეწონილებისა და კაპიტალის ხარჯვის უდიდეს ეფექტიანობისაგან, ნიშნავს სოციალისტური მშენებლობის პოლიტიკის მთელი არსების ვერ გაგებას. პრაქტიკულად უკანასკნელ ხანამდე არც ერთი რაიონული მუშაკი არ იყო უცოდველი ამ მხრივ. როცა ხუთწლიანი გეგმა არ გვქონდა, მოთხოვნილებებს ხშირად აყენებდენ განკერძოებულად, მხოლოდ რეგიონის ეკონომიკის თვალსაზრისით, მთელი ჩვენი ეკონომიკასთან დაუკავშირებლად.

მე მინდა აქ შევჩერდე იმ საკითხზე, რომელიც ინდუსტრიალიზაციის ყველა საკითხებს წინასწარ გადაწყვეტას ნიშნავს, კერძოთ ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის საკითხზე. ელექტროფიკაციის საკითხი ჩვენს კავშირში არის მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საფუძველი, მაგრამ ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის საქმის სწორად დაყენების საკითხი არის თვით ინდუსტრიალიზაციის საკითხის უკვე გადაწყვეტა. მე მინდა ილიუსტრაციის მოყვანა. ამხ. ბუხარინმა თავის მოხსენებაში მოიყვანა მთელი რიგი ციფრების, რომლებიც ახასიათებს მსოფლიო ეკონომიკის ხვედრითი წონას მსოფლიო მეურნეობაში, მაგრამ მან არ მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ ამერიკის მრეწველობის ელექტრონულ ბაზას. ჩრდილო ამერიკის მთელი მრეწველობის ელექტრო-დადგმულობის 46 პროც. აქვს, გერმანიას—8 პროც.; ინგლისს—6 პროც. თუ ჩვენ შევადარებთ მთელი რიგი ქვეყნების ციფრებს, რომლებიც გამოხატავენ მათ ძალას ელექტრონის ენერგიის გამოყენების მხრივ, ჩვენ დავინახავთ, რომ ინდუსტრიალიზაციის ზრდა მიმდინარეობს ელექტროფიკაციის ზრდასთან პარალელურად, მაგრამ ამას ვან ერთად ჩვენ დავინახავთ აგრეთვე ზოგიერთ დამახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ საერთო წესს. ქვეყნის ელექტროფიკაციისა და მისი ინდუსტრიალიზაციის განვითარება ყველგან და ყოველთვის კონკრეტულად არ ხვდება ერთი მეორეს, არ მიმდინარეობს პარალელურად. მოვიყვანოთ თუნდაც ორი ერთი მეორის მოპირდაპირე ქვეყნები—ნორვეგია და შვეიცარია ერთის მხრით და ბელგია და ჰოლანდია მეორის მხრივ. ყველა ჩვენთაგანმა იცის, რომ ბელგიასა და ჰოლანდიაში გაცილებით უფრო მეტადაა ინდუსტრიალიზაცია გატარებული, ვიდრე წვრილბურჟუაზიულ შვეიცარიასა და ნორვეგიაში, მაგრამ ელექტრო-დადგმულობით და ელექტრონის ენერგიის მიღების [illegible] შვეიცარია და ნორვეგია უფრო წინ დგანან, ვიდრე ბელგია და ჰოლანდია. მაშინ როდესაც [illegible] 1261 ათასი კილოვატი და [illegible] ათასი კილოვატი, შვეიცარიას აქვს—1.880 ათასი კილოვატი და ნორვეგიას—1850 ათასი კილოვატი. რით აიხსნება ეს? ამ ქვეყნების კონკრეტული პირობებით (თქვენ იცით, რომ [illegible] დიდ [illegible] და გერმანიაში არ მიმდინარეობს ელექტროფიკაციის პარალელურად). შვეიცარია და ნორვეგია არიან მდიდარი და იაფი ჰიდრავლიური ენერგიის ქვეყნები, ბელგია და ჰოლანდია უფრო ინდუსტრიალური ქვეყნებია, მაგრამ ისინი მოკლებული არიან ჰიდრავლიურ ენერგიას და მთელი მათი ელექტროფიკაცია ემყარება სათბობ მასალას. ჰიდრავლიური, განსაკუთრებით იაფი ჰიდრავლიური ენერგია თვითონ იწვევს მრეწველობის განვითარებას, რომელსაც არსებობა შეუძლია მხოლოდ იაფი ენერგიით, ელექტროქიმიური მრეწველობის აჩქარებული ტემპით გაძლიერება ომის ხანაში—იაფი ენერგიის პირდაპირი შედეგია. ის ქვეყნები და რაიონები, რომელთაც აქვთ იაფი ჰიდრავლიური ენერგია, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში იძლევიან ელექტროფიკაციის ზრდის უფრო დიდ კოეფიციენტს, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც მოკლებული არიან ამ ენერგიას. ეს გარემოება უნდა იქნას მიღებული მხედველობაში სწორედ იმისათვის, რომ უფრო სწორად მოვეკიდოთ ელექტროფიკაციის საკითხს, კერძოთ ჩვენი კავშირის ცალკე რაიონების ელექტროფიკაციის საკითხს. და როცა აქ ამხანაგები ხშირად ემყარებიან იმას, რომ ელექტროფიკაციის ტემპი რაიონებში უნდა შეუთანხმოთ მრეწველობის მოთხოვნილებებს, ისინი სავსებით მართალი არ არიან. მოვლენებს კონკრეტულად უნდა გავუკეთოთ ანალიზი: იმ დროს, როცა ჩვენს მრეწველობას ცენტრალურ რაიონში ჰქონდა მექანიკური ენერგიის დაქსაქსული წყაროები, სავსებით გასაგებია, რომ ენერგიის მოხმარება უნდა დაგვეწყო ერთი მთლიანი წყაროდან. ამიტომ ბუნებრივია უნდა ავაშენოთ ახალი სადგურები, რომლებიც შესცვლიან დაძველებულ სადგურებს. მაგრამ მთელიან რაიონებში, როგორიც არის ამიერ-კავკასია, არ არის საკმაო მრეწველობა იმისათვის, რომ ავაშენოთ ელექტრო-სადგურები. ასეთი თვალსაზრისი შემცდარი და მავნებელია. ელექტროსადგური ასეთ რაიონებში ჰიდრავლიურია 100 პროცენტით, ხოლო ჰიდრავლიური სადგური, რომელიც გამოყენებულ იქნება სათანადო სამრეწველო წარმოებათა აგებისათვის, (ისეთ წარმოებათა, რომლებიც ემყარებიან იაფ ენერგიას), პირველ რიგში ქიმიური მრეწველობის წარმოებათა მოწყობისათვის, არის ერთად-ერთი გზა ამ რაიონების სერიოზული ელექტროფიკაციისათვის. აი, რატომ მოხდა, რომ ჰიდროელექტრო მშენებლობის ტემპმა ჩვენი ფარგლების გარეთ გვიჩვენა, რომ იგი სათბობ ელექტროფიკაციაზე მაღლა სდგას, აი, რატომ ხდება, რომ ქვეყნები, რომლებიც მრეწველობის მხრივ არ არიან მდიდრები, მაგრამ რომელთაც აქვთ ჰიდროელექტრონის სიმდიდრე, ელექტროფიკაციის უფრო მაღალ ტემპს იძლევიან ხშირად. აქედან ცხადია, რომ ჰიდრავლიური სადგურების აგება თავისთავად არსებობს და არსად არ იძლევა სრულ დატვირთვის გარანტიას პირველსავე წელში.

აქ, კერძოთ შევეხები ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურს. მართალია, რომ იგი არ არის სრულიად დატვირთული, მაგრამ ეს ზემო-ავჭალის სადგურის ბრალი კი არ არის, არამედ თვით ჩვენი ბრალია, რომ მის აშენებასთან ერთად არ შევქმენით, არ მოვამზადეთ მომხმარებელი. ზემო-ავჭალის სადგური არ შეიძლება ძვირ სადგურად ჩაითვალოს. ამხანაგებო, თქვენ იცით მისი დიდი ხნის შენების ისტორია. სახელმწიფო თანხებიდან ამ სადგურისთვის დაიხარჯა სულ 8 მილიონ მანეთამდე, ამდენივე მოგვცა ქალაქ თბილისმა. როგორი იყო ამ სადგურის აგებამდე ენერგიის მიწოდება თბილისში და რას იხდიდა თბილისის სადგურის აბონენტი? იგი იხდიდა 35 კაპ. კილოვატსაათში, ეხლა კი—13 კაპეიკს. ეს უდიდესი დაკლებაა. უკვე ეხლავე. როცა ზემო-ავჭალის სადგური სრულად არ არის დატვირთული როცა არც ერთი არსებული სამრეწველო წარმოება არ არის გადაყვანილი მის ენერგიაზე იმის გამო, რომ ჩვენმა ქარხნებმა დიდად ვერ დადგეს ზომები ენერგიაზე გადასვლისათვის საჭირო მოწყობილობანი, ეს სადგური მაინც იძლევა 6 პროცენტს კაპიტალზე, თუ არ ჩავთვლით ამორტიზაციის უზრუნველყოფას. ეს ამტკიცებს იმას, რომ მაშინაც კი, როცა ჰიდრავლიური სადგურის აგების ვადა არ არის შეთანხმებული ენერგ. ძირითადად მომხმარებელთა მომზადების ვადასთან, ასეთ პირობებშიაც კი სადგური ხეირიანი იქნება. როგორც კი სამრეწველო წარმოებანი გადავლენ ამ სადგურის ენერგიაზე, მისი დატვირთვა მომატდება. მოკლე ხნის განმავლობაში —14.000 კილოვატსაათიდან დატვირთული იქნება 6.500 კილოვატ-საათი. ჰიდრავლიური სადგური შენდება არა ერთი ორი ათეული წლისათვის, იგი როგორც სათბობი სადგური, შენდება უფრო ხანგრძლივი დროისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზემო-ავჭალის სადგურის აგება დაიწყო 1922 წელში, როცა ჩვენ, განსაკუთრებით [illegible] ადგილზე, განაპირა ადგილებში არ გვქონდა ელექტრომშენებლობის არავითარი გამოცდილება. მეფის იმპერიაში არ იყო არც ერთი ჰიდრავლიური დადგმულობა რამოდენიმე ასეულ კილოვატ-საათზე მეტი, ყოველ შემთხვევაში არ იყო არც ერთი ძლიერი დადგმულობა. ჰიდრო-ელექტრო მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმეა.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენში ერთგვარი შეუთანხმებლობა არსებობს მომხმარებელთა მომზადებისა და სადგურის აგების შორის, რასაც ადგილი ჰქონდა ზემო-ავჭალის სადგურის აგების დროსაც. დეფექტი უნდა ვეძიოთ სწორედ აქ და არა თვით ამ სადგურის აგებაში.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ისეთი სადგურები, კერძოთ ერევნის სადგური, რომლის მომხმარებელნი გოდებენ, რომ არ ჰყოფნით ენერგია. იქ დადგმულობის მეორე რიგიც კი სავსებით დაფარა მომხმარებლებმა. მოსკოვი მუდამ გვისაყვედურებს: რატომ გაქვთ ასეთი იაფი ტარიფიო, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტარიფი გვაძლევს დაგროვების 20 პროცენტს. მოსკოვიდან მოითხოვენ ამ ტარიფის გადიდებას. ეს გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა რაიონებს არ შეიძლება მიუდგეთ ერთნაირი საზომით. თუ ჩვენ ცალკე შემთხვევებში გვქონდა დეფექტები, რომლებიც თან სდევდა ჩვენს პირველ ნაბიჯებს მეურნეობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგში, აქედან ყოვლად შეუძლებელია იმ დასკვნის გამოყვანა, თითქო ჰიდრავლიური ელექტრომშენებლობა საერთოდ საკმაოდ დასაბუთებული არ იყოს. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა, მით უფრო, რომ კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილება სავსებით ამართლებს ჰიდროელექტრო-მშენებლობის მაღალ ტემპს.

მე რამდენიმე სიტყვა მინდა ვსთქვა ქიმიურ მრეწველობაზე. ომამდე ქიმიური მრეწველობა მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებში მნიშვნელოვნად იყო ჩამორჩენილი ყველა სხვა მრეწველობისაგან—ლითონის, სათბობის, ქვანახშირის მრეწველობისაგან, მსუბუქი ინდუსტრიის ცალკე დარგებისაგან; მას მეათე, ან უფრო ნაკლები ადგილი ეჭირა სხვადასხვა სამრეწველო დარგებში. ომის დროს და ომთან დაკავშირებით ქიმიური მრეწველობის დარგში მოხდა მთელი რევოლიუცია. ქიმიურ მრეწველობას მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში უკვე მესამე ადგილი უჭირავს—ლითონისა და სათბობის შემდეგ. ჩვენი ქიმიური მრეწველობა კი ძალიან ჩამორჩენილია და მას მეორე ხარისხოვანი ადგილი უჭირავს. ჩვენმა ხუთწლიანმა გეგმამ ასეთ პირობებში უნდა გაითვალისწინოს ქიმიური მრეწველობის განვითარების მაქსიმალური ტემპი. ჩვენ გვემიანი მეურნეობა გვაქვს. ქიმიური მრეწველობის დარგში ჩვენ განსაკუთრებით ძლიერი ტემპი უნდა ავიღოთ, არსებულ პირობებში ეს აუცილებელია.

უკანასკნელი საკითხი, რომელზედაც მინდა ვსთქვა ორიოდე სიტყვა, ეს არის ჩვენი მშენებლობის დეფექტების, საამშენებლო მასალების გაიაფების საკითხი. თუ ხუთწლიან გეგმაში თავისი მნიშვნელობისა და ვადაზე შესრულების მიხედვით პირველ ადგილს არ მივსცემთ იმას, რომ უახლოესი ტექნიკის საფუძველზე შევქმნათ იაფი მასალები მშენებლობისათვის, მაშინ რამდენიმე მილიარდი მან. თანხის გადიდება, რომელსაც ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მშენებლობის ხარჯებისათვის, მნიშვნელოვნად ჩაიშლება. მშენებლობის სიიაფის საკითხს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მასიური საამშენებლო მასალების დამზადების საქმის კარგად დაყენება გადამწყვეტი ფაქტორი ხდება ხუთწლიანი გეგმით დასახული კაპიტალური მშენებლობის სწორად განხორციელებისათვის. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი საამშენებლო მასალები, რომლებიც შეიძლება მექანიკური წესით დავამზადოთ. მაგალითისათვის ავიღებ თბილისს. თბილისში ჩვენ გვაქვს ერთი ქუჩა, რომელიც მოკირწყლულია ბულგარეთიდან ომამდე ჩამოტანილი კუბიკური ქვებით. წელს ქუჩების მოკირწყვლა დავიწყეთ ადგილობრივი გრანიტის კუბიკებით, რომლებიც ათეული წლობით სძლებს და საუკეთესო მასალას წარმოადგენს ქუჩების მოკირწყვლისათვის. ამ კუბიკის ღირებულება დაახლოებით 20 კაპ. უდრის. როდესაც ჩვენ გამოვარკვიეთ, თუ რამდენი ჯდება ასეთივე ქვების მექანიკური წესით დამზადება გერმანიაში აღმოჩნდა, რომ იქ ასეთივე კუბიკები ღირს 6 კაპ. ხედავთ რა განსხვავებაა! ჩვენი მრეწველობის გაიაფების, ჩვენი საამშენებლო მასალების გაიაფების საკითხი გადამწყვეტი საკითხია კაპიტალური ხარჯების დარგში, როცა ვლადიმერ ილიჩი „ნეპის“ პირველ წლებში ამბობდა, რომ ვაჭრობა უნდა ვისწავლოთო., პირველ წლებში ყველამ ადვილად ვერ შეითვისა ამ ლოზუნგის უდიდესი მნიშვნელობა. მაგრამ ეხლა კი ვიცით, რას ნიშნავს ეს. თუ ეხლა ვლადიმერ ილიჩის სიტყვებს შევსცვლით და ვიტყვით: „უნდა ვისწავლოთ იაფად შენება, საამშენებლო მასალების გაიაფება“, მე ვფიქრობ, რომ ხუთწლიანი გეგმა, როგორი დეფექტებიც არ უნდა ექნეს მას, მოგვცემს ჩვენთვის საჭირო ეფექტს. რაციონალური და იაფი შენების ამოცანა გადამწყვეტი ამოცანაა ჩვენთვის (ტაში).

ამხ. კარკლინის სიტყვა

ამხ. კარკლინი (ბ. ს. ს. რ.) აღნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის განვითარების საერთო სამეურნეო ხაზი მოსაწონია, ვინაიდან ეს ხაზი სავსებით შეეფერება სოციალისტურ მშენებლობის ინტერესებს. აქ აღნიშნეს,—სთქვა ამხ. კარკლინმა,—რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ანგარიშს უნდა უწევდეს საბჭოთა კავშირის ცალკე ეკონომიურ რაიონების განვითარების პერსპექტივებს. თუ ამ მხრივ გავსინჯავთ გეგმას, იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ გეგმაში სუსტადაა გამოხატული ცალკე რაიონების თავისებურობანი, ავიღოთ ბ. ს. ს. რესპუბლიკა. ეს რესპუბლიკა დასახლებულია ისეთი მოსახლეობით, რომელიც სასოფლო მეურნეობას ეწევა მეტად პრიმიტიულ ფორმებში. იმისათვის, რომ ბ. ს. ს. რესპუბლიკა გამოვიყვანოთ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ამჟამად იმყოფება, საჭიროა ყურადღება მიექცეს ელექტროფიკაციის განვითარებას, ვინაიდან ელექტროფიკაცია ბ. ს. ს. რესპუბლიკისათვის წარმოადგენს საფუძველს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განსავითარებლათ. ხუთწლიან გეგმაში კი ამ საკითხებმა ვერ პოვეს სათანადო გაშუქება.

ამხ. ლეპსეს სიტყვა

ამხ. ლეპსე (მელითონეთა ცკა) ეხება ლითონის და ელექტროტექნიკურ მრეწველობის განვითარების საკითხს და აღნიშნავს მრეწველობის ამ დარგების უდიდეს ზრდას უკანასკნელი წლების განმავლობაში. ლითონის მრეწველობის განვითარების ნაკლად ამხ. ლეპსეს მიაჩნია არასაკმაო გეგმიანობა და ცენტრალიზაცია. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ ხუთწლიან გეგმაში ნაკლები ყურადღებაა მიქცეული საბინაო მშენებლობის და კულტურულ განვითარების საქმეზე.

ამხ. ნოვიკოვის სიტყვა

ამხ. ნოვიკოვი (ციმბირი) მიუთითებს ყრილობას ციმბირის ლითონის მრეწველობის განვითარების აუცილებლობაზე. ვერც სამხრეთის და ვერც ურალის მეტალურგია ვერ დააკმაყოფილებენ სავსებით ციმბირის მოთხოვნილებას. სავსებით სწორია მთავრობის გადაწყვეტილება ციმბირში ტელბესის ლითონის ქარხნის აშენების შესახებ. შემდეგ ამხ. ნოვიკოვი აღნიშნავს იმ შეცდომებს, რომლებსაც ადგილი აქვს სამეურნეო პრაქტიკაში. მაგალითად, წინასწარი გეგმით ტელბესის ქარხნის ასაშენებლათ მიმდინარე წელს უნდა გადადებულიყო 4 მილ. მანეთი. სინამდვილეში კი ამ მიზნისათვის გადაიდო მხოლოდ 1 ნახევარი მილ. მანეთი.

ამხ. პროკოფიევის სიტყვა

შემდეგ გამოდის ამხ. პროკოფიევა (რ. ს. ფ. ს. რ.), რომელიც აღნიშნავს, რომ სოციალისტურ მშენებლობის საქმეში პროლეტარ და მშრომელ ქალთა ფართო მასების ჩასაბმელათ საჭიროა შეიცვალოს ყოფა-ცხოვრების არსებული პირობები და ქალებს უნდა მიეცეს საშუალება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ამხ. მიქოიანის სიტყვა

სამეურნეო დისპროპორციები

მე მომიხდება შეჩერება იმ საკითხებზე, რომელთა გაშუქება აუცილებელია და რომლებსაც აქ ვრცლად არ შეეხებიან. ამ სიძნელეთა ლიკვიდაცია, რომლებიც ჩვენ გვაქვს კონიუნქტურაში, პარტიისაგან მოითხოვს ენერგიულ ღონისძიებებს და ძალთა დაძაბვას. სიძნელეთა ფესვი უმთავრესად ძევს იმ დისპროპორციებში, რომლებიც წლიდან წლობით იქნება გატარებული ჩვენი ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებაში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში. მთავარი დისპროპორციებია: საქონლის ნაკლებობა, სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო ფასების უთანაბრობა, აგრარულ მოსახლეობის სიჭარბე, უმუშევრობა, ინდუსტრიისათვის საჭირო საკუთარი ნედლეულის ბაზის სივიწროვე, მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიის ურთიერთი დამოკიდებულება, ხორბლეული მეურნეობის ჩამორჩენილობა საქონლის რაიონებიდან, ექსპორტის სისუსტე, სავალუტო სიძნელენი და საშუალებათა ნაკლებობა სოციალისტური აღმშენებლობის საჭიროებისათვის. ეს ძირითადი სამეურნეო დისპროპორციები, რომლებიც მწვავე გავლენას ახდენენ მიმდინარე კონიუნქტურაზე, განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის სამეურ. ცხოვრების ხასიათს მთელი ხუთწლედის განმავლობაში. ხუთწლიან გეგმას დასახული აქვს ამ დისპროპორციების მნიშვნელოვანი შემსუბუქება, მაგრამ მათი სრული გადაჭრა განხორციელდება მხოლოდ გენერალურ გეგმის ფარგლებში. თუ შევეხებით საქონლის ნაკლებობის პრობლემას უფრო სწორად რომ ვთქვათ,—დეფიციტს; უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვექნება ცალკე შეფერხებანი მოთხ. და მიწ. შორის მთელ ხუთწლედში, როგორც სხვადასხვა საქონლის ჯგუფებში, ისე ცალკე სეზონებშიაც. კიდევაც რომ წლიურ ბალანსში საქონლის მასა სავსებით იქნეს შეფარდებული გადახდის უნარიან მოთხოვნილებასთან, მაინც ცალკე სეზონებში ადგილი ექნება შეფერხებებს ცალკე საქონლის მიწოდებაში. ავიღოთ, მაგალითად მიმდინარე წელი. ჩვენ ვანგარიშობთ, რომ 30 პროცენტს ჩვენი ქვეყნის მთელი მოთხოვნილებების, მთელ იმ ფულისას, რომელიც შემოძლებული იქნება საქონელზე; მოსახლეობა ხარჯავს პირველ კვარტალში, დანარჩენ კვარტალებზე კი საშუალოდ თვითეულზე მოდის მხოლოდ დაახლოვებით 23 პროცენტი, ამავე დროს კი, მრეწველობა, რომელიც საქონელს უშვებს, ვერ იძლევა 25 პროცენტზე მეტს კვარტალში, ე. ი. წლიურად კიდევაც რომ არ გვქონდეს საქონლის არავითარი ნაკლებობა, კიდევაც რომ სრული შეფარდება ექნეს ადგილი მოთხოვნილებასა და მიწოდებას შორის, ამ შემთხვევაში ჩვენ მაინც აუცილებლად გვექნება საქონლის დეფიციტი. მიმდინარე წელში წარსულ წელთან შედარებით საქონლის მასის შეფარდებამ ჰქონდა ერთგვარ გამწვავებას. ამრიგად საქონლის ნაკლებობა მიმდინარე წელში წარსულ წელთან შედარებით კი არ შესუსტდება, არამედ შეიძლება რამოდენიმედ კიდეც გაძლიერდეს. ჩვენ უფრო გაძლიერებული ტემპით განვავითარებთ კაპიტალურ მშენებლობას და ვატარებთ ხალხის მასების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელფასის შემდგომი ზრდის და ფასების შემცირების საშუალებით და ეს პოლიტიკა სავსებით სწორია, მაგრამ ასეთი დიდი ამოცანების ერთსა და იმავე დროს გადაჭრა არ შეიძლება ჩატარდეს ერთგვარი დაბრკოლებათა გარეშე. მეორე კვარტალში შესვლისას ჩვენ შევძლებთ მოველოდეთ საქონლის ნაკლებობის რამოდენიმედ შემსუბუქებას ამ კვარტალშიაც და მესამის დასაწყისშიაც, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ; დაწყებული იანვრიდან, ჩვენი მრეწველობა მეორე კვარტალში გამოუშვებს საქონელს ფართო ბაზრისათვის 56 მილიონით მეტს; ვიდრე პირველ კვარტალში. რამდენადაც უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა საქონლის უაღრესად მწვავე ნაკლებობას, შემდეგ კვარტალში ცოტა უფრო მსუბუქი მდგომარეობა იქნება (ხმა: „მართალია“.) მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ სიძნელენი ბაზარზე კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ამიტომ მე არ მინდა თქვენ დაგამშვიდოთ.

რამ გამოიწვია სამეურნეო კონიუნქტურა

რა გვქონდა ამ ხნის განმავლობაში. როგორია ის სიძნელეთა მიზეზები, რომლებიც ჩვენგან არ არიან დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ძლიერ მოქმედებდა ომის საფრთხე, ჩვენი კონიუნქტურის ეს გარეშე ეკონომიური ფაქტორი. თუმცა იგი ეხლა თითქმის აღარ ახდენს პირდაპირ გავლენას მოთხოვნილებაზე, მაგრამ მისი გავლენის შედეგები დიდია და ეხლაც საგრძნობია. იგი აღარ მოქმედებს პირდაპირ, მაგრამ ის გახდა ისეთ ფაქტორად ბაზარზე, რომელიც დეზორგანიზაციას იწვევდა და ნერვიულობას ქმნიდა მთელ მოსახლეობაში და ბაზარზე. ომის მოლოდინში საქონლის მოთხოვნილების გაძლიერების გამო, მთელი ჩვენი საქონლის მარაგი დავხარჯეთ მოსახლეობის მოგროვებამდე. რასაც წინედ არ ჰქონია ადგილი, მოსახლეობას, თუ მსჯელობას ვიქონიებთ ზოგიერთი ცნობების მიხედვით, ხელში აქვს 400 მილიონ მანეთამდე. თუ იგი ბაზარზე გამოიტანს ამ თანხის ნახევარს, მაშინ დიდი სიძნელენი შეიქმნება ბაზარზე ვინაიდან ჩვენ საქონლის მეტად მინიმალური მარაგი გვაქვს. გარდა ამისა, ჩვენ ბევრ ფულს ვაძლევთ სოფელს სხვა ხაზით, არა პურის და არა ნედლეულის ხაზით ეს არის ის თანხები, რომლებიც სოფელმა მიიღო მეურნეობის ყველა დარგების კაპიტალური მშენებლობის ხაზით. მშენებლობის სწრაფი ტემპით ზრდის გამო, რომელიც იზიდავს რამოდენიმე ასი ათას გლეხობას, სოფელი იღებს შემოსავლის ახალ წყაროს, მთელ რიგ რაიონებში ამ შემოსავალს გადამწყვეტი ადგილი უჭირავს გლეხობის ბიუჯეტში და აძლიერებს სოფლის მოთხოვნილებას საქონელზე. მაგალ.; ამხანაგებმა მაცნობეს რომ კალუგის გუბერნიაში დაბრუნდა 100.000 სეზონურად მომუშავე გლეხი. რომ ყოველ მათგანს თან ჩამოეტანა 150—200 მანეთი, მაშინ კალუგის სოფელი წამოაყენებდა ახალ მოთხოვნილებას 15—20 მილიონი მან. საქონელზე და ჩვენ ვერ დავაკმაყოფილებდით ამ მოთხოვნილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალურ მშენებლობაზე თანხების გადიდების დროს ჩვენ უნდა მოვამზადოთ საქონლის სათანადო მასა, ისე, როგორც ეს აუცილებელია მუშების ხელფასის რეალიზაციისათვის და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის.

ამგვარად, ჩვენში ერთდროულად მოქმედებს სამხედრო ფაქტორი, დიდი მასშტაბის კაპიტალური ხარჯები, ნედლეულის დამზადება და ფასების დაკლება, რომელიც საერთოდ წარმატებით ჩატარდა, მაგრამ რომელმაც მოსახლეობის მოთხოვნილება წარსული წლის მეორე ნახევრის განმავლობაში—1 ოქტომბრამდე გაადიდა 300 მილიონი მანეთით. ყველა ამ ფაქტორებმა, რომლებმაც ეს მოიყარეს მოკლე ხნის განმავლობაში, კიდევ უფრო მეტად გაამწვავა მდგომარეობა და უკანასკნელ თვეებში შექმნა დაბრკოლებანი.

პურის დამზადების კამპანია

პურის დამზადების შესახებ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ამჟამად დიდ დაბრკოლებებს განვიცდით ამ დარგში. ეს დაბრკოლებანი გამოიწვია ხმებმა ომის შესახებ წარსული სამეურნეო წლის გაზაფხულზე, ხოლო ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში ადგილი ქონდა მდგომარეობის ერთგვარ შემსუბუქებას და პურის დამზადების ზრდას. თუ ავიღებთ ცნობებს პურის დამზადების შესახებ მიმდინარე წლის ივლის-ოქტომბრის განმავლობაში, დავინახავთ, რომ ჩვენ 9 პროცენტით მეტი დავამზადეთ წარსულ წელთან შედარებით. შარშან კი 8 პროცენტით ნაკლები დავამზადეთ შარშანწინდელთან შედარებით. ოქტომბრიდან კვლავ იწყება პურის დამზადების შემცირება განსაკუთრებით ნოემბერში—პურის დამზადება შემცირდა შარშანდელი რაოდენობის ნახევრამდე. აქ მოქმედებდნენ დროებითი მიზეზები, — დაუდევრობა და სხ. ამჟამად ეს მიზეზები თავიდან არის აცილებული, მაგრამ ძირითადი მიზეზი კვლავ რჩება ძალაში.

მდგომარეობს, პირველი, იმაში, რომ პურის მთელ რიგ რაიონებში, სადაც ბევრია ხოლმე ზედმეტი პური, მოსავალი შარშანდელზე უფრო ცუდი იყო (ჩრდილო-კავკასია, ვოლგის მხარე, ორენბურგის გუბერნია, ყაზახისტანი); მეორე, საქონლის მასა არ შეეფერებოდა გლეხთა მოთხოვნილებას, ვინაიდან გლეხობამ ბევრი ფული მიიღო სხვა ხაზით. ჩვენის ანგარიშით, გლეხობამ მთელი თავისი წლიური მოთხოვნილების 40 პროცენტი წამოაყენა სწორედ პირველ კვარტალში. გარდა ამისა, უნდა ვსთქვათ, რომ პარტიისა და ჩვენი ორგანოების ყურადღება პურის დამზადებისადმი უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში შესუსტდა. ჩვენ არ შეგვიძლია ყველაფერი გადავაბრალოთ ობიექტურ პირობებს.

ჩვენი პარტია იმდენად ძლიერია, რომ ობიექტურ სიძნელეთა დროსაც კი შეუძლია იმგვარად იმოქმედოს, რომ უფრო უმტკივნეულოდ გამოვიდეს აუცილებელ დაბრკოლებათაგან. წარსული სამეურნეო წლის გაზაფხული და შემოდგომა ფასების დაკლების ნიშნის ქვეშ ჩავატარეთ. ჩვენ მოვახდინეთ მთელი აპარატის, მთელი მასის მობილიზაცია, და საერთოდ საქონლის ნაკლებობის პირობებში საკმაოდ წარმატებით გადავსწყვიტეთ ეს უძნელესი ამოცანა. ამის შემდეგ დაიწყო პარტიული დისკუსია, რომელიც უკვე ორი თვეა ჩვენს ყურადღებას იზიდავს. დაბოლოს უნდა ითქვას, რომ მთელმა რიგმა შეცდომებმა, რომლებიც ამასთან იყო დაკავშირებული, გააუარესა მდგომარეობა. საქონლის მასა ჩერდებოდა ქალაქებში და ვერ აღწევდა სოფლამდე, ვინაიდან მოთხოვნილება ყველგან დიდი იყო. რომ სერიოზულ გარდატეხას მივაღწიოთ პურის დამზადების მსვლელობაში, საჭიროა გადამწყვეტი ზომების მიღება. ეს გარდატეხა უნდა გამოიხატოს იმაში, რომ საქონელი ქალაქებიდან უნდა გავგზავნოთ სოფელში, იმ შემთხვევაშიც კი, რომ ქალაქის ბაზრები დაცარიელდება. სოფელში პურის გაგზავნით ჩვენ გლეხებისგან უნდა მივიღოთ პური. თუ ჩვენ ავიღებთ პურის დამზადებას, პურის დამზადების კამპანიის ხუთი თვის განმავლობაში, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს: ხორბალი, მაგალითად, დავამზადეთ 51 მილ. ფუთით ნაკლები წარსულ წელთან შედარებით, სამაგიეროდ შარშან სეზონ-გარედ 1 იანვრამდე გავიტანეთ 57 მილიონი ფუთი ხორბალი. წელს სულ გავიტანეთ 9 მილიონ ფუთამდი. ამ 51 მილიონი ფუთის რაოდენობიდან, რომელიც დაგვაკლდა პურის დამზადების მიმდინარე კამპანიაში წარსულ წლის კამპანიასთან შედარებით, 49 მილიონი ფუთი მოდის ექსპორტის შემცირებაზე. მიუხედავად ამისა, ჩვენ დაბრკოლებანი გვაქვს პურის დამზადებაში, ვინაიდან წელს შინაურ სამომხმარებლო ბაზარზე. კერძოდ ამიერ-კავკასიაში და შუა აზიაში, სადაც წელს მოუსავლობა იყო, ხორბლის ძლიერი მოთხოვნილებაა. ჩვენ ვცდილობდით, რომ შუა აზიაში არ განევითარებინათ პურეული კულტურა და პურის მაგივრად განვეითარებინათ მებამბეობა. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ შუა აზიას მივაწოდოთ პური, რომ წავაქეზოთ ბამბის ნათესის გაფართოებას. შუა აზიაში შარშან ჩვენ გავგზავნეთ 26 მილიონი ფუთი ხორბალი, შარშან წინ—19 მილიონი ფუთი, ომამდი მოუსავლიანობის წლებშიაც კი, შუა აზიაში არასოდეს არ შეუზიდავთ ამდენი პური. წელს შუა აზიას ჩვენ ვაძლევთ 34 მილიონს და ამბობენ, რომ ეს ცოტა არისო. ამიერ-კავკასიას შარშან მივეცით 16 მილიონი ფუთი ხორბალი, ეხლა კი ვაძლევთ 18 მილიონ ფუთ ხორბალს და 9 მილიონ ფუთ სიმინდს (ომამდე იგი 12—14 მილიონ ფუთზე მეტს არ იღებდა), მიუხედავად ამისა ამბობენ, რომ ეს არ კმარაო. მოთხოვნილება გაიზარდა. პურის ნაკლები რაოდენობით დამზადების გამო მოუსავლიან რაიონებში იზრდება მოთხოვნილება და მოსახლეობა პურს ყიდულობს მარაგისათვის, როგორც ქალაქში, ისე მომხმარებელი რაიონების სოფლებში, რაც უდიდეს დაბრკოლებებს ქმნის, რომლის გადალახვას ჩვენ ვერ შევძლებთ, თუ გადაჭრით არ მივიღებთ ზომებს პურის დამზადების გადიდებისათვის

თუ ჩვენ ავიღებთ ძირითად რაიონებს, რომლებიც პურს ამზადებენ, მივიღებთ შემდეგ სურათს: მხოლოდ ზოგიერთმა რაიონებმა გადააჭარბეს წარსული წლის რაოდენობას, ყველა დანარჩენმა რაიონებმა ნაკლები დაამზადეს. ასე, მაგალითად, 1 დეკემბრისათვის პურის დამზადებამ შარშანდელთან შედარებით მოიმატა—თათართა რესპუბლიკაში 90 პროცენტით, ბაშკირეთის რესპუბლიკაში—15 პროცენტით, ცენტრალურ შავმიწიან ოლქში, სადაც უდიდესი მოსავალია, მოიმატა მხოლოდ 29 პროცენტით, ყირიმში—14 პროცენტით, უკრაინაში მხოლოდ 3 პროცენტით. დამზადება ძალიან სწრაფად მიდიოდა წინ, მაგრამ ნოემბერში შეჩერდა და ხუთი თვის განმავლობაში შარშანდელ რაოდენობას გადააჭარბა მხოლოდ 3 პროცენტით. სხვა რაიონებში, მაგალითად, ციმბირში, დამზადებულია 32 პროცენტით ნაკლები შარშანდელთან შედარებით. ციმბირი გვიან შეუდგა მოქმედებას, მაგრამ მან ენერგიულად უნდა იმოქმედოს, ვინაიდან იქ პური ბევრია. ჩრდილო-კავკასიაში დამზადებულია 41 პროცენტით ნაკლები წარსულ წელთან შედარებით, ყაზახისტანში—42 პროცენტით, ვოლგის მხარეში—42 პროცენტით, ურალზე—15 პროცენტით ნაკლები. მაგრამ ურალიც მალე წავა წინ სწრაფად. ორენბურგის გუბერნიამ 90 პროცენტით ნაკლები დაამზადა წარსულ წელთან შედარებით. ორენბურგის გუბერნია წინედ იძლეოდა 18 მილიონ ფუთ ხორბალს, რომლითაც ჩვენ ვკვებავდით შუა აზიას.

შუა აზიას ჩვენ პურს მივაწოდებთ ციმბირის ხარჯზე. ციმბირს ბევრი პური აქვს და იქ უნდა გაეძლიერდეთ მუშაობა პურის დამზადების სფეროში. იგივე უნდა ითქვას ბაშკირეთისა და თათართა რესპუბლიკის შესახებ. დიდი მნიშვნელობა აქვთ ვორონეჟის და ტამბოვის გუბერნიებს, სადაც ბევრია პური ჩვენ ვღებულობთ ზომებს, მაგრამ პარტიის ყველა ძალების მობილიზაციის გარეშე ჩვენ ვერ დავაღწევთ თავს ამ სიძნელეებს. როცა ვლაპარაკობთ მიმდინარე წლის პურის დამზადების კამპანიაზე უნდა აღვნიშნოთ ერთგვარი მსგავსება 1925—26 წელთან, როცა ჩვენ დიდი მიღწევები გვქონდა ნედლეულის დამზადებაში, ხოლო პურის დამზადების საქმე კი ჩაიშალა. მაშინ სიძნელეებს ჩვენ თავი დავაღწიეთ ნედლეულზე ფასის დაკლების გზით. ამან შემდეგ 1926—27 წელში უარყოფითი გავლენა მოახდინა სასოფლო მეურნეობის ნედლეულის დარგების განვითარებას. წარსულ წელს ჩვენ დიდი მიღწევები გვქონდა პურის დამზადებაში და კრიზისი ნედლეულის დამზადებაში. მთელ რიგ ეკონომიურ ღონისძიებების შემწეობით ჩვენ გამოვასწორეთ 1925—26 წლის შეცდომები და ეხლა 1927—28 წელს ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები ნედლეულის დამზადების სფეროში, რაც უზრუნველყოფს მრეწველობის ზრდას, მაგრამ სამაგიეროდ მივიღეთ პურის დამზადების შემცირება. ეხლა ჩვენ კონიუნქტურის ზეგავლენით აღარ უნდა განვიმეოროთ 1925—26 წლის შეცდომები.

მარცვლეული მეურნეობა

მე მინდა შევჩერდე მარცვლეულობის მეურნეობის პრობლემაზე. ჩვენს წინაშე ამჟამად ეს საკითხი მწვავედ სდგას. გარდა მაკრატლისა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ფასებს შორის ჩვენ გვაქვს მაკრატელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემადგენლობაში. მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა არ არის სამრეწველო საქონელზე უფრო იაფი, მაშინ როცა, პურის რეალური ფასი ორჯერ უფრო ნაკლებია ომამდე არსებულ ფასებთან შედარებით. ვინაიდან ყველა რაიონები ერთნაირად არ აწარმოებენ ნედლეულის და პურის დამზადებას და რადგან ჩვენში არის უმთავრესად პურის და უმთავრესად ნედლეულის რაიონები, ამიტომ მაწარმოებელ და სასოფლო-სამეურნეო საქონლის ფასებს შორის არსებულ მაკრატლის სიმძიმე ერთნაირად არ აწვება ყველა რაიონებს. ნედლეულის მთელ რიგ რაიონებში მაკრატელი უმნიშვნელოა ან სრულებით არ არის, მაშინ როცა მისი სიმძიმე მთლიანად აწვება ხორბლეულ მეურნეობის რაიონებს.

უმთავრესად ამ მიზეზით და მთელ რიგ სხვა მიზეზებით აიხსნება ის ფაქტი, რომ თუ სასოფლო მეურნეობის მთელმა სათესმა სივრცემ მიაღწია ომამდე არსებულის 97 პროცენტამდე, სამაგიეროდ მარცვლეულის ნათესების სივრცე ავიდა მხოლოდ 87 პროცენტამდე, იმ დროს, როცა ტექნიკურ კულტურათა ნათესების სივრცე გაცილდა ომამდე არსებულ დონეს (134 პროცენტი). როცა ჩვენ ვლაპარაკობთ მარცვლეულის ნათესების სივრცის გაფართოების შესახებ, ჩვენ მხედველობაში არ უნდა გვქონდეს საბჭოთა კავშირის ყველა რაიონები, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული იმაში, რომ ძლიერ განვავითაროთ მარცვლეულის ნათესების სივრცე ყველგან, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ რაიონებში ამ მხრივ ომამდე არსებული დონე მიღწეულია. ისეთ რაიონებში, როგორიცაა შუა აზია, ჩვენ არ ვართ დაინტერესებული მარცვლეულის განვითარებაში. იგივე უნდა ითქვას ამიერ-კავკასიის შესახებ, სადაც ჩვენთვის საჭიროა ტექნიკურ კულტურების განვითარება, ამ რაიონებში, სადაც მოდის ხილი, ჩვენ გვინდა განვავითაროთ არა პურეული, არამედ ხილი; ხოლო ქარხნიან რაიონებში—ჭარხალი. როცა ვლაპარაკობთ პურეულ კულტურების სათესი სივრცის გაფართოების შესახებ, მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაპყროთ პურის უმთავრეს რაიონებისაკენ, როგორიცაა უკრაინა, ჩრდილოეთ-კავკასია, ვოლგის განაპირა მხარე, ურალი, შავმიწიანი ოლქი, ციმბირი და ყაზახისტანი — ჩვენი ქვეყნის პურის ფაბრიკები, რომლებიც კვებავენ და მომავალშიაც გამოკვებავენ ქვეყანას თავისი ნარჩენებით და მოგვცემენ პურს საექსპორტოთ. ამ რაიონებში სათესი სივრცე ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩენილია ომამდე არსებულ დონისაგან.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ჩვენი პარტია უკანასკნელ წლებში ვერ აქცევს საკმაო ყურადღებას მარცვლეულ მეურნეობის სათესი სივრცის განვითარებას. როცა სწარმოებს მარცვლეულ კულტურების თესვა, ჩვენში არავინ არ არის ამით სერიოზულად დაინტერესებული. ჩვენ შეგვეძლია ზოგიერთი რამე ვისწავლოთ ჩვენი წარსულიდან. სამეურნეო პოლიტიკის ზოგიერთი ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე იდგა სამხედრო კომუნიზმის პერიოდში, ვერ განხორციელდა და არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო სამხედრო კომუნიზმის მეთოდებით. ბევრი ასეთი ამოცანა ახალი ეკონომიური პოლიტიკის განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ახალი მეთოდების საშუალებით განსახორციელებელი ხდება.

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ სერიოზულად უნდა მოვემზადოთ საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის, უნდა წამოვაყენოთ პრაქტიკული ღონისძიებათა მთელი სისტემა, მიმართული ნათესების გაფართოების და პურეულობის მოსავლიანობის აწევისაკენ ხორბლეულის ფაბრიკების რაიონებში, ისე, როგორც ვშვრებოდით ჩვენ ამას დღემდე ტექნიკურ კულტურების მიმართ.

ეკონომიური ურთიერთობა უცხოეთსიან

მე გვერდზე ვტოვებ ჩვენი შინაური ეკონომიური პოლიტიკის დანარჩენ საკითხებს, მხოლოდ უნდა შევჩერდე საგარეო ვაჭრობის საკითხებზე საერთოდ და ჩვენს საგარეო ეკონომიურ ურთიერთობებზე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა მსოფლიო ბაზარსა და მსოფლიო მეურნეობასთან მიმდინარეობს სამი ძირითადი ხაზით, 3 კალაპოტით. პირველი ხაზი ეს არის საკონცესიო კალაპოტი უცხოეთის ტექნიკისა და უცხოელ კაპიტალისტების მისაზიდავად ჩვენს მეურნეობაში. მეორე ხაზი—ეს არის ტექნიკურ დახმარების მოზიდვა და მესამე ხაზი საქონლის ბრუნვა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიო ბაზარს შორის და უცხოეთის კაპიტალების მოზიდვა საგარეო ვაჭრობაში. საკონცესიო პოლიტიკამ არ მოგვცა ის შედეგები, რომლებსაც ჩვენ ვვარაუდობდით. მას შემდეგ, რაც გამოიცა დეკრეტი კონცესიების შესახებ, 1926 წლის სექტემბრამდე უცხოელების მიერ საკონცესიო წარმოებაში დაბანდებულია მხოლოდ 47 მილიონი მანეთი. დროის სიმცირის გამო დაწვრილებით არ შევჩერდები ამის მიზეზებზე, მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ საკონცესიო პოლიტიკამ არ მოგვცა ის შედეგები, რომლებიც შეიძლებოდა გვქონოდა.

მაგრამ არის სხვა დარგი, ახალი დარგი, რომელსაც დღემდე ჩვენ მცირე მნიშვნელობას ვაძლევდით, ეს არის დარგი უცხოეთის ტექნიკურ დახმარებისა ჩვენი მრეწველობისათვის.

(გაგრძელება იხ. მე-3-ე გვერდზე)

სამანდატო კომისიის მოხსენება

(16 დეკემბრის საღამოს სხდომა)

16 დეკემბრის საღამოს სხდომას ხსნის ამხ. რიკოვი. ყრილობა ისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას, რომელსაც აკეთებს ამხ. **მოსკვინი**. ამხ. მოსკვინი ამბობს, რომ სამანდატო კომისიამ დაამტკიცა 898 მანდატი გადამწყვეტი ხმით და 771 სათათბირო ხმით. სულ ყრილობას დაესწრო 1.669 დელეგ., პარტ. მე-13 ყრილობას დაესწრო 1.164 დელეგ., მე-14 ყრილობას 1.306 დელეგატი. ყრილობაზე ჩამოსული დელეგატები წარმადგენენ სულ 1.236.190 კომუნისტს. ამ რიცხვიდან პარტიის წევრებია 887.233 კაცი, კანდიდატები 348.957 კაცი. არა სრულ ათასეულებზე გაცემულია სულ 11 მანდატი. მე-14 ყრილობაზე ასეთი მანდატი იყო გაცემული 22, მე-13 ყრილობაზე კი 43. პარტიის 988 წევრზე მოდის ერთი მანდატი გადამწყვეტი ხმით. დელეგატების ყველაზე დიდი რიცხვი მოდის ცენტრალურ სამრეწველო რაიონზე — ყრილობის მთელი შემადგენლობის 46,6 პროც. სასოფლო - სამეურნეო რაიონებზე მოდის 34,1 პროც., ნაციონალურ რესპუბლიკებზე — 16,3 პროც. წევრთა შემადგენლობით ყველაზე უფრო ძლიერია უკრაინის, მოსკოვის და ლენინგრადის დელეგაციები აღნიშნულ სამ დელეგაციას ეკუთვნის მანდატების 37,5 პროც. გადამწყვეტი ხმით. მანდატები სათათბირო ხმით ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს 346. ასეთივე მანდატები ცენტრალურ დაწესებულებებს მიეცა 425. ცენტრალურ დაწესებულებებზე გაცემულ სათათბირო მანდატების რიცხვიდან თუ გამოვაკლებთ ადგილობრივ მუშაკებზე გაცემულ მანდატებს, მაშინ მანდატების განაწილების შემდეგ სურათს მივიღებთ: ცენტრალურ მუშაკებმა მიიღეს სათათბირო ხმის უფლებით მანდატების 40,6 პროც., ადგილობრივმა მუშაკებმა კი 4,4 პროც.

ყრილობის შემადგენლობა მნიშვნელოვნათ განახლდა. ყველა გადამწყვეტი ხმის უფლებით მქონე მანდატებიდან პარტიის ყრილობაში პირველად მონაწილეობს 50 პროც. თუ გავსინჯავთ მე-14 ყრილობის მონაწილეთა იმ ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა გადამწყვეტი ხმის უფლება, აღმოჩნდება, რომ მე-15 ყრილობაზე იგივე ჯგუფი განახლებულია 75 პროც-ით.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მე-15 ყრილობაზე, მე-14 ყრილობასთან შედარებით, პარტმუშაკების რიცხვი შემცირებულია. მე-14 ყრილობაზე ამ ჯგუფის ხელში იყო მანდატების 70 პროც. გადამწყვეტი ხმით. მე-15-ზე-კი მხოლოდ 54 პროც. გაიზარდა დაზგის მუშა-დელეგატების რიცხვი: მე-14 ყრილობაზე ეს ჯგუფი შეადგენდა 5 პროც., მე-15-ზე-კი 18,* პროც. გაიზარდა აგრეთვე საბჭოთა მუშაკების რიცხვიც. რამდენადმე, დაახლოვებით 1 პროცით, გაიზარდა სამხედრო მუშაკების რიცხვიც. დანარჩენი ჯგუფები-კი, პროფმუშაკების ჯგუფის გარდა, რომელიც მე-15 ყრილობაზე შემცირდა, უცვლელად დარჩა. დაზგის მუშები და ქვედა პარტიული და პროფესიონალური მუშაკები შეადგენენ გადამწყვეტი ხმების 30 პროცენტს, მე-15 ყრილობაზე მუშები შეადგენენ დელეგატების 71 პროც-ს. ეს რიცხვი მე-14 ყრილობის მუშა - დელეგატების რიცხვს აღემატება 8,8 პროც-ით, მე-13 ყრილობისას-კი 7,3 პროც-ით. მუშა დელეგატებიდან 87,8 პროც-ს შეადგენენ ფაბრიკა - ქარხნების კვალიფიციური მუშები. ამ რიცხვიდან მარტო მეთონენი შეადგენენ 57,6 პროც-ს. გლეხთა ხვედრითი წონა მე-15 ყრილობის შემადგენლობაში ისეთივეა, როგორც მე-14 ყრილობის დროს — 5,7 პროც. მოსამსახურეთა ხვედრითი წონა მე-15 ყრილობაზე შეადგენს 22,2 პროც-ს. ე. ი. 23,3 პროც-ით ნაკლებს, ვიდრე მე-14 ყრილობაზე, სადაც აღნიშნული ჯგუფი შეადგენდა 50,9 პროც-ს. მოსამსახურეთა ჯგუფში 52,9 პროც. ძველი, არალეგალური მუშაკებია, ამათგან-კი თავის მხრივ 70 პროც. ოქტომბრის წინადროინდელი სტაჟითაა.

წლიდან წლამდე, უკანასკნელი სამი ყრილობის განმავლობაში სჭარბობს ძველი არალეგალური მუშაკების რაოდენობის შემცირება დელეგატთა შემადგენლობაში. ეს მოვლენა ბუნებრივია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ პარტიაში ჩაბმულია მუშების ახალი კადრები და რომ არალეგალურ მუშაკების კადრები საერთოდ შემცირებულია პარტიის მთელ შემადგენლობაში, პარტიის მე-12 ყრილობაზე არალეგალურ მუშაკების რიცხვი შეადგენდა 50 პროც-ს. მე-15 ყრილობაზე კი 38,5 პროც-ს. ყრილობის შემადგენლობის თითქმის ერთ მესამედს პარტსტაჟი აქვს სამოქალაქო ომის დროიდან, ე. ი. 1917—20 წლიდან, ყრილობის მთელი შემადგენლობის 76 პროც-ს მონაწილეობა მიუღია სამოქალაქო ომში, ნამუშევარი არმიაში, ან უმუშავნია ფრონტთან ახლოს მდებარე რაიონებში. ეს ფაქტი აბათილებს ოპოზიციის მტკიცებას, თითქო პარტიის რიგებში სჭარბობდეს ძველი პარტიულების, არალეგალური მუშაკების ან სამოქალაქო ომში მონაწილეთა შევიწროება.

წლოვანობის მხრივ ყრილობის შემადგენლობა ასეთია: 30 წლამდე ყრილობის მთელი შემადგენლობის 14 პროც-ი. 30-40 წლამდე 62 პროც., 40-50 წლამდე 20 პროც. და 50 წლის ზევით — 4 პროც-ს. მე-14 ყრილობასთან შედარებით, მე-15 ყრილობაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა დელეგატების ჯგუფი 30-40 წლამდე და მნიშვნელოვნადვე შემცირდა ჯგუფი 30-40 წლამდე.

აღსანიშნავია, რომ მე-15 ყრილობაზე, მე-14 ყრილობასთან შედარებით, გაიზარდა ქალთა შემადგენლობა. მე-14-ე ყრილობაზე ქალები გადამწყვეტი ხმით შეადგენდნენ დელეგატთა საერთო რაოდენობის 2,4 პროც-ს, მე-15 ყრილობაზე კი 4,6 პროც-ს. სათანადოთ გაიზარდა ქალთა სათათბირო ხმების რიცხვიც: მე-14 ყრილობაზე იყო 5,5 პროც., მე-15 ყრილობაზე კი 7,5 პროც.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ტექნიკურ დახმარებას ჩვენი ტრანსპორტისა და მთელ სახალხო მეურნეობისათვის. საზღვარგარეთთან ეკონომიურ და [illegible] ფართოდ ვითარდება. წარსულ წელში ჩვენ დავხარჯეთ დაახლოებით 8 მილიონი მანეთი უცხოეთის ტექნიკურ დახმარებაზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიმდინარე წელში ეს ციფრი შეიძლება გაორკეცდეს. მე ვფიქრობ, რომ ეს პოლიტიკა, რომელსაც აწარმოებს მიმდინარე წელში ს. მ. უ. საბჭო, სწორია. მე მგონია, რომ ამ საქმეში სიძუნწე ჩვენ არ უნდა გამოვიჩინოთ. თუ ფართოდ არ გამოვიყენეთ ევროპისა და ამერიკის ყველა ტექნიკური მიღწევები, ჩვენ ათჯერ მეტს წავაგებთ, ვიდრე საჭიროა დავხარჯოთ ტექნიკურ დახმარებაზე. ჩვენში თვითეული ფიქრობს ამერიკის აღმოჩენას, იმ ამერიკის, რომელიც უკვე დიდი ხნის აღმოჩენილია. მაგრამ ეს არა თუ უსარგებლო, არამედ ძალიან ძვირი საქმეცაა. ჩვენ არ გვესაჭიროება მავნე თვითნებურობა ჩვენ გვესაჭიროება ევროპისა და ამერიკის უახლოეს ტექნიკის მიღწევები. ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ ტექნიკურ აზროვნების ყველა საფეხურები. თუ ჩვენ გვაქვს ყველაზე უფრო მოწინავე სოციალური წყობილება და მსოფლიო მუშათა კლასი ჩვენგან უნდა სწავლობდეს, თუ როგორ დაამხოს კაპიტალიზმი და აწარმოოს სოციალისტური მშენებლობა, სამაგიეროდ საუკეთესო ტექნიკა და საწარმოო მეთოდები აქვს მსოფლიო ბურჟუაზიას და ჩვენ მისგან უნდა ვისწავლოთ. ასეთ სწავლისათვის ჩვენ ფული უნდა გადავიხადოთ, არ ვიძუნწოთ ვინაიდან ის სახსრები აანაზღაურებს ხარჯებს სამმაგად—ეს არის საგარეო ვაჭრობა. ჩვენ შეგვიძლია ავაღორძინოთ ჩვენი მეურნეობა ინდუსტრიალურ საფუძველზე და ვაშენოთ სოციალიზმი მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენ, განსაკუთრებით პირველ ხანებში, შემოვზიდავთ მანქანებსა და ნედლეულის საკმაო რაოდენობას იმისათვის, რომ დავაყენოთ წარმოების საშუალებათა საკუთარი წარმოება. მაგრამ შემოზიდვა შეიძლება მხოლოდ იმ ფულით, რომელსაც ავიღებთ ექსპორტიდან, ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს არც ოქროს დიდი მარაგი, არც საზღვარგარეთის სესხები და ვინაიდან ჩვენი ექსპორტი ჩამორჩენილია, ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ ჩვენი ქვეყნის საიმპორტო მოთხოვნილებებს.

სულობრივი მოხმარების ზრდა

როდესაც იხმება საკითხი იმის შესახებ, თუ რა შევკვეცოთ ჩვენს საიმპორტო გეგმაში, ჩვენ სწორად ვიტყვით; რომ უწინარეს ყოვლისა ვკვეცავთ სამომხმარებლო მოთხოვნილებებს, ჩვენ ამას მიტომ ვშვრებით, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო საჭიროებანი. ჩვენი იმპორტის 90 პროცენტი მიმართულია წარმოების საჭიროებათა დაკმაყოფილებისაკენ, საქარხნო საფაბრიკო მოწყობილობის, ნახევარ ფაბრიკატებისა და ნედლეულის შემოზიდვისაკენ და მხოლოდ სრულიად მცირე ნაწილი მიდის მოხმარებაზე. სელდები ჩვენ შემოგვაქვს თითქმის ათ ჯერ ნაკლები ვიდრე ომის წინ, ბრინჯი ცოტა შემოგვაქვს, შედარებით ცოტა შემოგვაქვს ჩაი და სხვა საქონელი, ვინაიდან უმჯობესია ამის შეკვეცა, ვიდრე ბამბისა და მანქანების. ჩვენი ეხლანდელი იმპორტის შედარება შეუძლებელია ომის წინა დროინდელთან. ჩვენს მეურნეობაში, ჩვენს სოციალურ წყობილებაში მოხდა უდიდესი გარდატეხები. ამ ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ბევრი საქონლის საწარმოო პირადი მოხმარება, ისეთი საქონლის, რომელიც უწინ საზღვარგარეთ გადიოდა. ძველი რუსეთის ექსპორტი, თუ ავიღებთ ეხლანდელ საზღვრებში, უდრიდა 1.300 მილიონ მანეთს. პურის გარდა ეს იძლევა მრგვალი ციფრებით შვიდას მილიონს. ეხლანდელი ჩვენი ექსპორტი შეადგენს უპუროდ დაახლოვებით 600 მილიონ მანეთს, თუ ჩვენ აქ შევიტანთ შესწორებას ფასების განსხვავების გამო, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ყველა დანარჩენ საქონლის ექსპორტი; პურის გარდა, აღდგენილია თითქმის ორი მესამედით.

რამოდენიმე მაგალითი პირადი მოხმარების ზრდის შესახებ, რომლებიც გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის სოციალური განვითარების უდიდეს ფაქტს. ეს ზრდა გასაგებია: რა საჭირო იყო ოქტომბრის რევოლუციის მოხდენა, თუ რევოლუციის ათი წლის შემდეგ უფრო ცუდად ვიკვებებოდეთ, ვიდრე ომის წინ. ჩვენ მივდივართ და მომავალშიაც ვივლით ხალხის მასების კვების გაუმჯობესებისაკენ. ეს გაუმჯობესება ეხება მუშებსა და გლეხებს. ავიღოთ, მაგალითად, ცნობები მოხმარების შესახებ წარსულ და 1923 წელში. ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველოს გამოკვლევით, მუშათა და მოსამსახურეთა სულობრივი მოხმარება გამოიხატებოდა შემდეგი ციფრებით. პურის მოხმარების ნორმები, როგორც ხდება ეს უოველთვის კეთილდღეობის საერთო ზრდის დროს, შემცირდა 8 პროცენტით, სამაგიეროდ მოხმარებულ პურის შემადგენლობაში მოხდა შემდეგი ცვლილებები: ჭვავის ფქვილის მოხმარება 1923 წელთან შედარებით 51 პროცენტით, მაშინ, როდესაც ხორბლის მოხმარება გაიზარდა 52.5 პროცენტით. განსაკუთრებით დიდ ზრდას აქვს ადგილი კვების უფრო ძვირ, უფრო კვალიფიციურ პროდუქტებზე, მაგალითად; ხორცის მოხმარების ნორმა 1923 წლიდან 1926 წლამდე გაიზარდა 74 პროცენტით, ძროხის კარაქის—52 პროცენტით, კვერცხების—157 პროცენტით, რძისა და რძის პროდუქტების—74 პროცენტით; შაქრისა და შაქრის ნივთიერებების—133 პროცენტით. თუ ჩვენ ავიღებთ 1923 წელთან შედარებით, მაგალითად მოსკოვს, დავინახავთ, რომ მოსკოვში ძროხის კარაქის მოხმარება 1923 წელში უდრიდა 8 გირვანქას წლიურად, ამასთანავე იყვნენ ისეთები, რომლებიც მეტისმეტს სჭამდნენ, და იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სულ არ უნახავს ძროხის კარაქი. 1927 წელში თვითეულ მჭამელზე მოდის 20,7 გირვანქა. ლენინგრადში მოხმარება აგრეთვე მეტია ომის წინანდელზე. მე ხელთ არა მაქვს ცნობები სხვა ქალაქების შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქალაქებში ხდება იგივე პროცესი,—ზოგიერთ ადგილებში შეიძლება უფრო ჩქარა, ზოგიერთებში—უფრო ნელა.

ჩვენი პერსპექტივების თვალსაზრისით საინტერესოა მოვიყვანოთ ჩვენი და ამერიკის მოხმარების ზოგიერთი შედარება. ნაკლებ ძვირფასი პროდუქტების მოხმარება ამერიკაში უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენში, უფრო ძვირფას პროდუქტებისა კი, პირიქით, უფრო დიდი. აი მოხმარების ციფრები თვითეულ მჭამელზე. უოველგვარი ფქვილი შეერთებულ შტატებში თვითეულ მჭამელზე მოდის წლიურად 102 კილოგრამი, ჩვენში—247 კილოგრამი, ე. ი. ჩვენში მეტ ფქვილს სჭამენ, ვიდრე ამერიკაში; ღერღილი—ჩვენში 22 კილოგრამი, ამერიკაში—14 კილოგრამი, კართოფილი ჩვენში 162 კილოგრამი, ამერიკაში—104 კილოგრამი, თევზი ჩვენში 12.8 კილოგრამი; ამერიკაში—6;6 კილოგრამი, მცენარეული ზეთები ჩვენში 6.8 კილოგრამი, ამერიკაში 0.4 კილოგრამი. ამერიკაში ამ პროდუქტების მოხმარების ნორმა უფრო მცირეა, ვინაიდან იქ მათ მაგიერ იხმარება უფრო კვალიფიციური პროდუქტები. აი ის პროდუქტები, რომლებსაც ამერიკაში ბევრად მეტს სჭამენ, ვიდრე ჩვენში; და რომლების მოხმარება ეხლა ჩვენში იზრდება სხვა ბოსტნეულს, კართოფილს გარდა, ამერიკელი სჭამს 65 კილოგრამს; ჩვენში—57 კილოგრამს; ხილს ამერიკაში სჭამენ—62 კილოგრამს, ჩვენში მხოლოდ 25 კილოგრამს; ხორცის პროდუქტებს ამერიკელები—62 კილოგრამს. ჩვენ—53 კილოგრამს; რძეს ამერიკელები 181 კილოგრამს; ჩვენ—96 კილოგრამს, ძროხის კარაქს ამერიკელები—20.2 კილოგრამს, ჩვენ—14.2 კილოგრამს; კვერცხებს ამერიკელები—10 კილოგრამს, ჩვენ—3.7 კილოგრამს; შაქარს, ყავას და კაკაოს ამერიკელები—7.1 კილოგრამს, ჩვენ მხოლოდ—0.4 კილოგრამს. ეს არის—მთელი ქალაქის მოსახლეობის სულობრივი მოხმარების საშუალო ნორმები. მე მოვიყვანე ეს ციფრები სპეციალურად იმისათვის, რომ მეჩვენებინა, რომ კეთილდღეობის საერთო ზრდა იწვევს არამარტო მოხმარების ზრდას, არამედ უდიდეს ცვლილებებსაც მოხმარების შემადგენლობაში. ამ ფაქტს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. როდესაც ჩვენ ვაშენებთ სოციალიზმს და ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, მაღლა ვწევთ სახალხო მეურნეობისა და ხალხის მასების კეთილდღეობის დონეს, ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ არა მარტო ახალ ფაბრიკებისა და ქარხნების შენებაზე, არა მარტო ბინებზე მუშებისათვის, არამედ იმაზედაც, თუ როგორ მოვამზადოთ ჩვენი სოფლის მეურნეობა და რა ზომები მივიღოთ საკვებ პროდუქტების ისე გადასამუშავებლად, რომ მივაწოდოთ მოსახლეობას საკვები პროდუქტები მისი ახალი მოთხოვნილებების მიხედვით. ამიტომ კარაქის კეთებისა და რძის მეურნეობის საკითხები ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში, მეფრინველეობის, მაცივარების და სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ წარმოებათა მშენებლობის საკითხები წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, უნდა ავაგოთ ქარხნები და მათთან კარგი საცხოვრებელი ბინები, მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა კარგი მაცივარები, კარგი სარძეო მეურნეობანი და კარგი კოოპერატიული დუქნები.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია

ვუბრუნდები რა საგარეო ვაჭრობის საკითხებს, მე უნდა ვთქვა, რომ მიუხედავად ყველა იმ სიძნელეებისა, რომლებიც ჩვენ გვქონდა წარსულ წელში; ექსპორტის გეგმა ჩვენ მაინც შევასრულეთ 101 პროცენტით. მართალია პურის გაზიდვა ჩვენ ვერ შევასრულეთ 48 მილიონ მანეთით, სელის—11 მილიონ მანეთით, მაგრამ საერთოდ, სხვა მუხლების გადაჭარბების წყალობით, ჩვენ შევძელით 9 მილიონ მანეთით მეტ საქონლის გატანა, ვიდრე გათვალისწინებული გვქონდა გეგმით, სულ კი გავზიდეთ—771 ნახ. მილიონი მანეთის საქონელი. თუ ჩვენ ავიღებთ საგარეო ვაჭრობის ბალანსს უკანასკნელ წლებში, დავინახავთ, რომ თუ 1923—24 წელში ჩვენ გვქონდა 130 მილიონ მანეთზე მეტი აქტივი, სამაგიეროდ, დაწყებული 1924—25 წლიდან, ჩვენ გვაქვს უწყვეტლივ მწვავე პასიური ბალანსი. 1924—25 წელში პასივი შეადგენდა 164 მილიონს, 1925—26 წელში—79 მილიონს და მხოლოდ 1926—27 წელში ჩვენ გვაქვს გარდატეხა, რომელმაც მოგვცა აქტიური ბალანსი—37 მილიონი მანეთი მიმდინარე წელი ჩვენთვის იქნება მძიმე წელი; პური თითქმის გამორიცხულია ექსპორტიდან და გაზიდულ იქნება ძლიერ მცირე. ამიტომ უოველივე ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ ავსწიოთ ექსპორტის სხვა მუხლები. ექსპორტისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ თვითეული წვრილმანი, არ უნდა ვუკადრისოთ ათეული და ასეული ათასი მანეთით. მხოლოდ ასეთ გზით ავსწევთ ექსპორტს. ფაქტებმა გვიჩვენა, რომ ჩვენ უდიდესი მიღწევები გვაქვს. ექსპორტის გაძლიერება უნდა გახდეს ჩვენი მუშაკების ბოლშევიკურ ღირსების საკითხად. უნდა მოვახერხოთ სიძნელეების დროს, ნაკლებობის დროს ექსპორტის აწევა; გავაფართოვოთ ეს ვიწრო ადგილი; გზა გავუკაფოთ და გასაქანი მივცეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდას; აი რაშია ამოცანა. მაგრამ ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ იმპორტიც. ჩვენ აქ გვაქვს ნაკლულოვანებანი; უდიდესი ნაკლულოვანებანი: უეჭველია, რომ ჩვენი საგარეო ვაჭრობის აპარატი გაუმჯობესდა, მაგრამ ნაკლულოვანებანი მას კიდევ ბევრი აქვს.

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია კი უნდა დარჩეს და რჩება შეურყეველ პირობათ სოციალიზმის აღმშენებლობისათვის კაპიტალისტურ გარემოცვაში. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ნიშნავს ჩვენი ქვეყნის დაცვას არა მარტო ეკონომიურ ინტერვენციისა და მსოფლიო ბურჟუაზიისაგან, არამედ ის ნიშნავს აგრეთვე ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის გეგმიანი დასაწყისის დაცვას კაპიტალისტური ბაზრის სტიქიონისაგან. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სდგას და მომავალშიაც იდგომება, როგორც პროლეტარული დიქტატურის მიუდგომელი ციხე-სიმაგრე. მას ვერა ფერს დააკლებს ვერც ოპოზიციის ჩხავილი და ვერც ბურჟუაზიის იერიშები. თუ ჩვენ საკმაოდ არ ვიყენებთ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის უპირატესობას, ამის მიზეზია ჩვენი საგარეო ვაჭრობის აპარატის ნაკლულოვანებანი. ჩვენი საგარეო ვაჭრობის პრაქტიკა მოწმობს, რომ ჩვენ მუშაობის არცოდნის და ახალი რთული საქმის სიძნელის გამო, ჯერ კიდევ ვერ ვღებულობთ ყველა სარგებლობას საგარეო ვაჭრობის მონოპოლიიდან. ხდება, რომ ჩვენი მუშაობის მოუწესრიგებლობა, უცხოეთის ინფორმაციის მოუწყობლობა, უცხოეთის ბაზრების უცოდინარობა და მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების არასაკმაო ცოდნა იწვევს იმას, რომ ჩვენ ნაკლებს ვღებულობთ იმ საქონელში, რომელსაც ვყიდით და ზედმეტს ვიხდით იმაში, რომელსაც ვყიდულობთ. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია სავსებით მთლიანად გამართლდა. მაგრამ ჩვენ ის უნდა განვამტკიცოთ, ორგანიზაციული ზომებით, რომ მონოპოლიამ შესძლოს ჩვენი მეურნეობის კიდევ უფრო განვითარება და გაფართოება. აქ ჩვენთვის საჭიროა აგრეთვე ვაჭრობის მონოპოლიის კაპიტალისტური მსოფლიოსთან მუშათა სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის მთელი სტრატეგიის შექმნა. სწორედ ეს არის მუშათა სახელმწიფოს სამეურნეო ბრძოლა კაპიტალისტურ გარემოცვასთან, კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ მეთოდებს. ჩვენ არ გვაქვს საშუალება ვისწავლოთ რამე ვისმესაგან. ისტორიაში არ ყოფილა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს გვერდით მუშურ სახელმწიფოს არსებობის მაგალითი. ჩვენ ჯამი უნდა გავუკეთოთ ჩვენი წარსულ წლების მთელ გამოცდილებას და უნდა შევქმნათ პროლეტარულ რევოლიუციონურ სახელმწიფოს სამეურნეო ბრძოლის მთელი სტრატეგია და ტაქტიკა, ამ სახელმწიფოს, რომელსაც უხდება სოციალიზმის შენება კაპიტალისტურ გარემოცვაში. ამისათვის ჩვენთვის საჭიროა განსაკუთრებული კადრები, ფრონტზე მებრძოლთა კადრები. მათ უნდა წარედგინოთ დიდი მოთხოვნილებები: ენების ცოდნა, ბაზრების და ტექნიკის ცოდნა, საქმისადმი უდიდესი ერთგულება და სხვა. ამხანაგებს, რომლებიც მუშაობენ კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში, კაპიტალისტურ მსოფლიოს გამხრწნელ პირობებში, თვითვე მოელით ამ პირობების გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხე. ამიტომ, ისინი უნდა განირჩეოდნენ უდიდესი ბოლშევიკური სიმტკიცით. გარდა ამისა, მათ საქმე აქვთ კაპიტალისტურ წარმოებებთან, რომლებიც მუშაობენ სხვა მეთოდებით და უდიდესი მოქნილობით. ამიტომ ჩვენთვის საჭიროა სამეურნეო პირობების დიდი ცოდნა. ჩვენ გვესაჭიროება საუკეთესობოლშევიკები დამატებითი კადრები, რომლებიც ხელს მოჰკიდებენ ამ საქმეს, შეისწავლიან ენებს, ეკონომიკას და ტექნიკას, რომლებიც მართლაც შესძლებენ ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. ჩვენ გვაქვს სამეურნეო აპარატის დიდი ცვალებადობა საზღვარგარეთ. მიდიან ერთი ქვეყნიდან მეორეში, გადადიან ერთი ადგილიდან მეორეზე, მეორედან მესამეზე და სხვ. ჩვენ ჯერ არა გვაქვს ერთგულ, გამოცდილ და ამ საქმის მცოდნე მებრძოლთა მტკიცე კადრი. ჩვენ ის უნდა შევქმნათ.

უნდა ვისწავლოთ უცხოეთთან ვაჭრობა

მე უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ არ ვიცნობთ საკმაოდ გასაღების ბაზრებს. ჩვენ ჯერ არ გაგვიკეთებია უველაფერი იმისათვის, რომ ჩვენი საექსპორტო საქონელი შეეფერებოდეს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებებს. ხშირად ჩვენ ცუდად ვვაჭრობთ საუკეთესო საქონლით. აქედან გამოდის ის, რომ ნაკლებ ფასებში ვასაღებთ საქონელს, ე. ი. ჩვენი მუშების და გლეხების შრომის ნაწილი ხდება უცხოეთის კაპიტალისტის ზედმეტ მოგებათ. ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ კიდევ ცუდად ვვაჭრობთ, არ ვიცნობთ ბაზრის მოთხოვნილებებს, ხშირად ბიუროკრატიზმი გვღრღნის ჩვენ. ხშირად გამგე ფიქრობს, რომ ის დიდი კაცია და მას არაფერი საერთო არა აქვს საწყობებთან, მისთვის არ არის საჭირო საქმის შესწავლა. აი რატომ უნდა მიაქციოს პარტიამ სერიოზული ყურადღება გამოცდილი და ერთგული ხალხის ახალი კადრის შექმნას. ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად ვიცნობთ საზღვარგარეთის ტექნიკას. ჩვენი ინჟინრები ხშირად საზღვარგარეთს იცნობენ 1913 წლის კატალოგებიდან. არის შემთხვევები, როცა მოითხოვენ ისეთი მანქანების შემოზიდვას, რომლებსაც გერმანიაში უკვე აღარ ამზადებენ. ხშირად გერმანიის ქარხნები იძულებული არიან განაახლონ ამ მანქანების დამზადება, რათა დააკმაყოფილონ ჩვენი მოთხოვნილება. ბაზრის უცოდინარობა, იმ ქვეყნების ტექნიკის უცოდინარობა, სადაც გვითარდება ახალი მრეწველობა, უდიდეს ზიანს გვაყენებს ჩვენ. ზოგიერთ შემთხვევებში მანქანების დაკვეთის ვადა არ ხვდება შენობის აგების ვადას. ჩვენში იყო შემთხვევა, როცა ერთ ადგილას იდგა ცალიერი შენობები უმანქანოთ, რომლებიც ჯერ არ იყო ჩამოტანილი საზღვარგარეთიდან, ხოლო მეორე ადგილას უკვე ჩამოტანილი იყო მანქანები, ხოლო შენობის აგება ჯერ კიდევ სწარმოებდა. არის შემთხვევა, როცა დაკვეთების შესრულებას აფერხებს ბიუროკრატიზმი. ხოლო თვითეული ასეთი წვრილმანი ჩვენ მილიონები გვღირს. ჩვენ აქამდის ზედმეტს ვიხდით საიმპორტო საქონელში. ამ გადახდილ ზედმეტ თანხების რაოდენობის გამორკვევა, რასაკვირველია, მეტად ძნელია. ამ მხრივ დამახასიათებელია გერმანიიდან საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებიდან გატანილ ამა თუ იმ საქონლის წონის ერთეულის ღირებულების შედარება. თუ ჩვენ ავიღებთ დამზადებულ ნაწარმოებს, რომელიც გერმანიას გააქვს საბჭოთა კავშირში და სხვა ქვეყნებში, გამოდის, რომ ჯერ 1913 წელში სხვაქვეყნებში გატანილ ამ საქონლების წონის ერთეულის ღირებულება იყო 0,78, ხოლო რუსეთში გატანილ წონის ერთეულის ღირებულება—1,60. ამრიგად,—იმ დამზადებულ ნაწარმოების საშუალო ღირებულება, რომელიც იგზავნებოდა რუსეთში, იყო 105 პროცენტით უფრო ძვირი, ვინემ სხვა ქვეყნებში გაზიდულ საქონლის ღირებულება. 1924 წელს ეს პროცენტი შეადგენდა 105 პროცენტს. 1927 წლის პირველ ნახევარში ის შემცირდა 46 პროცენტამდე. მართალია, ეს განსხვავება უმთავრესად დამოკიდებულია იმისაგან, რომ რუსეთს შემოჰქონდა და შემოაქვს უფრო ძვირი ფასიანი ფაბრიკატები, ვინემ სხვა ქვეყნებს. მაგრამ [illegible] აიხსნება აგრეთვე იმით, რომ ჩვენ ზედმეტს ვიხდით საქონელში, რომ ეს ნამდვილად ასეა, სჩანს, მაგალითად, საწონ-საზომი ინსტრუმენტების წონის ერთეულის ღირებულებიდან, სადაც უფრო მაღალი ხარისხის გავლენა, ეჭვს გარეშე, ნაკლებია, ვინემ ყველა დანარჩენ დამზადებულ ნაწარმოების მიმართ. გერმანიიდან სხვა ქვეყნებში გაზიდულ საწონ-საზომი ინსტრუმენტების წონის ერთეულისა შუალო ღირებულება შეადგენდა საშუალოდ 10,5 მ, ხოლო საბჭოთა კავშირში შემოზიდულის ღირებულება 19,43 მ, ე. ი. დაახლოებით ნახევარჯერ მეტს, რომ აქ, გარდა განსხვავებისა ხარისხში, არის განსხვავება ფასებშიაც, ეს უოველივე ეჭვს გარეშეა. ჩვენ ვიხდით 10—20 პროცენტით მეტს, ხოლო ეს მთელი იმპორტისათვის ათეულ მილიონებს შეადგენს.

მეტი ყურადღება ექსპორტს

უბრუნდები იმ სიძნელეებს, რომლებიც შეიქმნა ინგლისთან ურთიერთობის ჩაშლის შედეგად ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ინგლისის კონსერვატორებმა ვერ შესძლეს ჩვენი სამეურნეო გეგმის ჩაშლა, ჩვენ გაუძლეთ ევროპის მხრით ბოიკოტის ცდას კრედიტის მიცემის საქმეში ისე, რომ არ გვქონებია მაინცა მაინც დიდი დაბრკოლებები, დავუბრუნეთ ინგლისს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი, რომელთაც ჩვენ მანამდე ვსარგებლობდით, და ამან ვერ ჩაშალა ჩვენი საიმპორტო გეგმები. მე ვფიქრობ, რომ სიძნელეებს ჩვენ გადავლახავთ და ექსპორტს განვავითარებთ, ჩვენ ამჟამად კრედიტი გვაქვს მთელ რიგ ქვეყნებში. ჩვენ კრედიტები გვაქვს ავსტრიაში და საიმპორტო კრედიტები ზოგიერთ სხვა ქვეყნებში. მაგრამ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ კრედიტის უკეთეს საბანკო პირობების მისაღწევად. მე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე.

ჩვენი საანგარიშო ბალანსი ფერხდება იმით, რომ დიდ ფულს ვიხდით ჩვენი საქონლის გადაზიდვაზე საზღვარგარეთ. ჩვენ საქონლის 90 პროცენტი მიდის ზღვით და მათ შორის მხოლოდ 7 პროცენტი გადაგვაქვს საბჭოთა გემებით, დანარჩენი გადააქვს უცხოეთის გემებს. წარსულ წელს უცხოეთის გემებს ჩვენ გადაუხადეთ 50 მილიონი მანეთი. ამიტომ როცა ჩვენ ვაყენებთ საკითხს ექსპორტის შესახებ, უნდა დაესვას საკითხი ჩვენი სავაჭრო ფლოტის გაფართოების შესახებ, რაც ვალუტის უდიდეს ეკონომიას მოგვცემს.

თუ შევხედავთ ჩვენს სავალუტო მდგომარეობას, მე უნდა განვაცხადო, რომ ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ექსპორტს და ჩვენი სავაჭრო ბალანსის აქტიობის გადიდებას. ჩვენი ქვეყნის სავალუტო მარაგი მცირეა. თუ ჩვენ ავიღებთ ციფრებს წლების მიხედვით, დავინახავთ, რომ 1924 წლის პირველ ოქტომბრისათვის ჩვენ გვქონდა 410 მილიონის სავალუტო საშუალებანი. 1926 წლის პირველ აპრილისათვის ჩვენი სავალუტო პოზიციები, ე. ი. ოქრო, უცხოეთის ვალუტის და სხ. რაოდენობა შემცირდა 254,5 მილიონ მანეთამდე. მაშასადამე, 1924 წლიდან შემცირდა 150 მილიონზე მეტი მანეთით. 1927 წლის პირველ ოქტომბრისათვის ჩვენ გვქონდა 332 მილიონი მანეთი—78 მილიონით მეტი, ვინემ 1926 წლის აპრილში, მაგრამ მაინც კიდევ ნაკლები, ვინემ 1924 წელს და ეს მაშინ, როცა გაიზარდა ჩვენი სავაჭრო ოპერაციები და ჩვენი კრედიტი საზღვარგარეთ. ამისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის სავალუტო მდგომარეობა, საჭიროა ავსწიოთ ექსპორტი და შევქმნათ აქტიური სავაჭრო ბალანსი.

მე-15 ყრილობამ უნდა მოგვცეს დირექტივა იმის შესახებ, რომ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ მეურნეობის ამ მტკივნეულ ადგილს—ჩვენს ექსპორტს. ჩვენი პარტია შესძლებს ყველა ძალების მოკრებას, გადალახავს ყველა ამ სიძნელეებს, მოხსნის დისპროპორციას, უზრუნველყოფს ჩვენი მეურნეობის უკიდურესად განვითარებას ახლობელ ხუთი წლის განმავლობაში და მის განვითარებას სოციალიზმისა და ინდუსტრიალიზაციის გზით და შეიძლება თამამად ითქვას, რომ ხუთი წლის შემდეგ ჩვენ გვექნება უფრო ძლიერი, უფრო მტკიცე; მსოფლიო მეურნეობისაგან უფრო დამოუკიდებელი და ჩვენ მიზანთან—სოციალიზმთან უფრო დაახლოვებული სამეურნეო მდგომარეობა. მიუხედავად ყველა ამ დაბრკოლებებისა, რომლებიც გვქონდა ჩვენ ოპოზიცია, მიუხედავად საერთაშორისო მდგომარეობის ყველა სიძნელეებისა, პარტია შესძლებს ყველაფრის დაძლევას და აშენებს სოციალიზმს ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც მიიღეს წინ. (ტაში).

ამხ. სუხომლინის სიტყვა

ამხ. სუხომლინი აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენის დროს არ უნდა გაგვიტაცოს შორეულმა პერსპექტივებმა, არამედ თვითეულ ცალკე ნაბიჯს უნდა მოუდგეთ ფრთხილათ და პრაქტიკულათ და ხუთწლიან გეგმის შედგენის დროს უნდა გამოვდიოდეთ იმ საერთო გეზიდან, რომელსაც იძლევიან მე-14 პარტყრილობის დირექტივები. პრაქტიკაში ჩვენ ვხვდებით მთელ რიგ მინუსებს ჩვენს გეგმიანობაში. როგორც მაგალითი ამხ. სუხომლინს მოჰყავს დნეპროსტროის პრობლემა. წინასწარი გეგმით გათვალისწინებული იყო მთელი დნეპროსტროის რაიონის ფართო სამრეწველო განვითარება. დნეპროსტროის საკითხთან აკავშირებდნენ ახალ წარმოებათა მოწყობის საკითხს. ამჟამად კი ეს პერსპექტივა თითქოს ირღვევა კიდეც. შედეგათ ამას შეიძლება მოჰყვეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც დნეპროსტროის ენერგია არ აღმოჩნდება ისეთი იაფი, როგორც ეს გამოანგარიშებული. სხვა ნაკლულოვანებებს ადგილი აქვს ჩვენს გეგმებში ლითონის მრეწველობის შესახებ. უკვე დღესაც, მიუხედავად მიღებულ დადგენილებებისა, უკრაინის მთელ რიგ ქარხნებში სწარმოებს პროგრამების შემცირება. შემდეგ ამხ. სუხომლინი აღნიშნავს, რომ არასაკმაო ყურადღება ექცევა აგრეთვე გემთამშენებლობის და ორთქლმავლების მშენებლობის საქმეს უკრაინაში და ილაშქრებს იმ ამხანაგების თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ სამრეწველო ცენტრების გადატანას და უკრაინის მთელ რიგ პუნქტების სამრეწველო განვითარების რამდენიმე შემცირებას.

— უკრაინაში—ამბობს ამხ. სუხომლინი—მეტად ხელსაყრელი პირობებია [illegible] საქმის და მთელ რიგ სხვა დარგების განვითარებისათვის. მე ვფიქრობ, რომ უ. ს. ს. რესპუბლიკის გეგმებს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა კავშირის საერთო გეგმაში.

ამხ. სუხომლინის შემდეგ გამოვიდა ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც ჩვენი კულტურულ ფრონტის საკითხებს.

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა

კულტურულ აღდგენის პერიოდი სრულდება. ჩვენ უკვე მივაღწიეთ ომის წინანდელ დონეს როგორც რაოდენობის, ისე ფორმალურად და ხარისხობრივად. მაგრამ თუ მიღწეულ შედეგებს შევადარებთ იმას, რასაც გვავალებს სამეურნეო განვითარების სწრაფი ტემპი, შევნიშნავთ, რომ ბევრ დარგებში ჩვენში ადგილი აქვს ჩამორჩენას. ყველაზე უფრო დამაფიქრებელ ფაქტს ამ მხრივ წარმოადგენს ჩვენი მასიური სკოლების ქსელის მდგომარეობა. ერთ-ერთ უკანასკნელ თავის წერილში ვლადიმერ ილიჩი პირდაპირ მიუთითებდა იმაზე, რომ განსაზღვრულ მსხვერპლის ხარჯზე სხვა კომისარიატების მხრივ (ე. ი. თუ ჩვენს ბიუჯეტში სახალხო განათლების ხვედრითი წონა არ გაიზარდა სხვა დარგებთან შედარებით) შეუძლებელია სახალხო განათლების საქმეში მნიშვნელოვან წარმატების მიღწევა. უამისოდ ჩვენ წინ ვერ წავწევთ დაწყებითი სკოლის საქმეს. პირველ საფეხურის სკოლებში ჩვენ უარს ვეუბნებით იქ შესვლის მსურველთა 25 პროცენტს, მეორე საფეხურის სკოლებში კი დაახლოებით 20 პროცენტს. უკანასკნელ წლებში ჩვენ უარით გავისტუმრეთ დაახლოვებით ნახევარი იმ პირთა, ვისაც სურდა მუშფაკებში მოხვედრა, ვინაიდან ადგილები არ გვყოფნიდა. ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა, თუ როგორ გადავაკეთოთ ჩვენი ქსელი, რომ მას შეეძლოს საკმაოდ მომზადებულ ახალგაზრდობის გამოშვება სტანდარტიზაციქმნილ და რაციონალიზაციაქმნილ ქარხნებში სამუშაოდ.

არც ისე დიდი ხნის წინად—განაგრძობს ამხ. ლუნაჩარსკი,—ჩვენ გვაფიქრებდა ჩვენ მიერ მომზადებულ უფრო მაღალი კვალიფიკაციის მუშაკების ღირსების საკითხი. ოპოზიციის დოკუმენტებში,სხვათა შორის ნათქვამია, რომ კლასობრივ შემადგენლობის მხრივ მუშფაკებში და უმაღლეს სასწავლებლებში მუშებს სჭარბობს მოსამსახურენი. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში მუშები და მუშის შვილები შეადგენენ 41,9 პროცენტს, მაშინ, როდესაც წარსულ წელში ისინი შეადგენდნენ 34,2 პროცენტს. გლეხები შეადგენენ 22,4 პროცენტს, წარსულ წელში კი 19,6 პროც. ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში მუშურ-გლეხური ჯგუფი გაიზარდა 4,9 პროცენტით. პროვინციის უმაღლეს სასწავლებლებში 14,3 პროცენტით. ერთი წლის, თუ წლის წინად [illegible] განსაკუთრებული კომისია ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესამოწმებლად. ჩვენ ძლიერ გვაფიქრებდა საქმების მდგომარეობა ამ მხრივ. ეხლა ჩვენ გვაქვს უდავო დოკუმენტები რომლებიც ამტკიცებენ, რომ ამ მხრივ შედეგები ძლიერ დიდია. ეს წარმატება მიღწეულია ჩვენი პროფესორების დიდი მუშაობისა და სტუდენტობის განსაცვიფრებელ შრომის უნარიანობის წყალობით.

აქ ამხ. მიქოიანი ამბობდა, რომ საჭიროა საზღვარგარეთიდან მოვიწვიოთ კვალიფიციური მუშაკები მრეწველობისათვის. მართალია, საჭიროა; რა თქმა უნდა, ეს ძლიერ სასარგებლო იქნება. მაგრამ ჩვენ ვერ შევდგებით ამ გზაზე, როგორც გადამწყვეტ გზაზე. საბჭოთა რუსეთი ვერ მიმართავს, როგორც ძველად ვარიაგებს და ვერ ეტყვის მათ: ჩვენი ქვეყანა დიდია და უხვი, მაგრამ იქ წესრიგი არ არის, მოდით და უხელმძღვანელეთ ჩვენს მრეწველობას. ამაზე ჩვენ ვერ წავალთ. მაგრამ რომ საკუთარი კვალიფიციური მუშაკები გვყოლოდ, მართლაც მნიშვნელოვანი ხარჯები უნდა გავიღოთ. ერთხელ ერთ ამერიკელ ჟურნალისტთან საუბარში მე განვაცხადე, რომ პროლეტარული სახელმძღვანელოების, პროფესიონალურ-ტექნიკური წიგნების და სამეცნიერო-ტექნიკური წიგნების წელს ჩვენ ათჯერ მეტი გამოვეცით, ვიდრე 1913 წელში, და რომ მიმდინარე წელში წიგნების რაოდენობა, რომ არაფერი ვსთქვათ, რა თქმა უნდა, გაზეთებზე და ჟურნალებზე, გადაჭარბებს შეერთებულ შტატებს. ამ [illegible] და სთქვა: არ ფიქრობთ თქვენ, რომ ესეც თავისებური შეიარაღება, რომელიც საშიშარი ხდება თქვენი მეზობლებისათვის?

როდესაც ჩვენ ვფიქრობთ ჩვენი მტრების და მეზობლების შესახებ, რომლებიც ჩვენ კონიუნქტურას ვაწყდებით მეურნეობის დარგში, მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს შეიარაღება წიგნებითა და ცოდნით, რომელიც ყველაზე საშიშარია ჩვენი მტრებისათვის და რომელსაც ესალმება ყველა ჩვენი მეგობრები, დავიწყებული არ უნდა იქნეს ხუთწლიან გეგმაში (ტაში).

ამხ. რუმიანცევის სიტყვა

თავის მოხსენებაში,—დაიწყო თავისი სიტყვა ამხ. რუმიანცევმა,—ამხ. კრჟიჟანოვსკიმ ძალიან დიდი ყურადღება მიაქცია გეგმიანობას, კიდევ მეტი, სიტყვის დასასრულში მან წამოისროლა ასეთი ლოზუნგი: იძლევი გეგმას! მოდი ვნახოთ, როგორ ვმუშაობთ, როგორ ვადგენთ გეგმებს, რამდენად თავის დროზე ვიღებთ ამ გეგმებს ჩვენ—ადგილებზე მომუშავენი. ჩემის აზრით, კრჟიჟანოვსკიმ გეგმიანობის საკითხში დაივიწყა ერთი რამ—აუცილებელია ეს გეგმები თავის დროზე მივაწოდოთ ადგილებს, რომ ყოველ საოპერაციო წელში შეიძლებოდეს მუშაობის დაწყება და ამ მუშაობის გაფართოება დამტკიცებული სამრეწველო-საფინანსო გეგმების საფუძველზე. აქ უმთავრესად მნიშვნელობა აქვს ფინანსიურ საკითხებს. რას ვხედავთ ჩვენ? მე მინდა ვილაპარაკო ბაქოს ნავთის მრეწველობაზე და აღვნიშნო, თუ როგორ ბრკოლდებოდა მუშაობა გეგმების თავის დროზე დაუმტკიცებლობის გამო. როგორი მდგომარეობა გვაქვს ამ დარგში? ჩვენ წლიდან წლამდე არასოდეს არ მიგვიღია თავის დროზე ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმები. ჩვენ გვაწვდიან საკონტროლო ციფრებს, დაახლოებითი გეგმებს. ამის მიხედვით იწყება მუშაობა რა გვაქვს მიმდინ. წელში? ბაქოს ნავთის მრეწველობისათვის „გლავგორტოპში" საკონტროლო ციფრები ნავარაუდევი იყო 85.700.000 მან. რაოდენობით. როცა ეს საკითხი განიხილეს „გლავგორტოპში", აღნიშნული თანხა შემცირებულ იქნა 4.000.000 მანეთით. მაშასადამე, თითქოს გვაქვს მტკიცედ განსაზღვრული თანხა—81.700.000 მანეთი. ბაქოს ნავთის მრეწველობა ამ ციფრის მიხედვით იწყებს მუშაობას. გადის პირველი კვარტალი, და ეხლა კი გვეუბნებიან, რომ მოსალოდნელია კაპიტალური ხარჯების კიდევ შემცირება 10-დან 15 მილიონ მანეთამდე. მე მინდა შევეკითხო იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ, რის ხარჯზე უნდა შემცირდეს ეს თანხა? დიდ, მოპასუხონ. მას შემდეგ, როცა ამ საკონტროლო ციფრების საფუძველზე ფართოდ იწყება მუშაობა, მას შემდეგ, როცა პირველი კვარტალი უკვე თავდება, ჩვენ გვეუბნებიან, რომ ხარჯები კიდევ უნდა შევამციროთ. რის ხარჯზე უნდა შევამციროთ? ამობურღვის ხარჯზე? მოდი, შევამციროთ ამობურღვის ხარჯზე და რა მოხდება მაშინ? მოხდება ის, რომ ჩვენ ვერ შევასრულებთ ნავთის ამოღების საწარმოო პროგრამას და ჩვენი ექსპორტის გეგმა ჩაიშლება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეუძლებელია. თქვენ გაიძახით გეგმებზე,—კეთილ ინებეთ და შეასრულეთ თქვენი ნათქვამი,—თავის დროზე მიაწოდეთ გეგმები ადგილებს. კეთილ ინებეთ და თავის დროზე მოგვაწოდეთ სამრეწველო-საფინანსო გეგმები, რომელთა საფუძველზე ჩვენ შეგვეძლება მუშაობის დაწყება.

1926—27 წელში ბაქოს ნავთის მრეწველობის საწარმოო პროგრამა ნავთის ამოღების დარგში განსაზღვრული იყო 417 მილიონი ფუთის რაოდენობით, ნავთის გადამუშავების დარგში—250 მილიონი ფუთი, ამობურღვის—258.000 მეტრი, ექსპორტის დარგში—90 მილიონი ფუთი. ასეთი სამრეწველო პროგრამის შესასრულებლად კაპიტალური ხარჯებისათვის მოგვცეს 90.500.000 მანეთი. რა მდგომარეობა გვაქვს ამ წელში? ნავთის ამოღებამ მიაღწია 460 მილიონ ფუთამდე, გადამუშავებამ—300 მილიონ ფუთამდე, ამობურღვამ—269.000 მეტრამდე, ექსპორტმა—131 მილიონ ფუთამდე—საორიენტაციო საკონტროლო ციფრების მიხედვით, და მას შემდეგ კი, როცა დამთავრდა პირველი კვარტალი, დაიწყეს დაკლება, დაიწყეს ამ კაპიტალური ხარჯების შემცირება, ამასთანავე გარკვეულად არ უთქვამთ, თუ როგორი რაოდენობით იქნება შემცირებული ჩვენი თანხა. განა შეიძლება ასე მუშაობა? ჩემის აზრით, არ შეიძლება, ჩვენი მუშაობა ჩაიშლება შემდეგ, ყველამ იცის, ცენტრშიაც და ბაქოელებმაც, თუ როგორ მდგომარეობაში იყო მთელი რიგი წლების განმავლობაში და როგორ მდგომარეობაში არის ჩვენი ნავთსაწმენდი ქარხნები—ბაქოს ნავთის გადამმუშავებელი მრეწველობის ეს ნერვი, საიდანაც მიდის ჩვენი ექსპორტი. მთელი რიგი წლების განმავლობაში ნავთის მრეწველობის რაციონალიზაციის მომენტიდან, ჩვენ, ცენტრი და ბაქოელები გაიძახოდნენ: იძლევი ამოღებას, იძლევი ამობურღვას. მაგრამ დღემდე სერიოზული ყურადღება არ მიუქცევიათ ნავთსაწმენდ ქარხნებისათვის. მხოლოდ მიმდინარე საოპერაციო წელში, ექსპორტის გაძლიერების დროს, მივაქციეთ სერიოზული ყურადღება ამ ქარხნებს. და აი, ეხლა, როცა მაქსიმალური ყურადღება უნდა მივაქციოთ ნავთსაწმენდ ქარხნებს, აქ, ცენტრში იწყება ჩვენი კაპიტალური ხარჯების საშინლად შემცირება, რაიც საფრთხის ქვეშ აყენებს ჩვენი საექსპორტო ამოცანების შესრულებას.

მაშინ როდესაც ნავთის ამოღების საქმეში უახლოვდებით ომამდე არსებულ—1913 წლის დონეს, მაშინ, როდესაც ექსპორტი მატულობს 3 ნახევარ ჯერ ომამდე არსებულ დონესთან შედარებით. ამ დროს წინ გვეღობებიან, აჩერებენ ნავთის მრეწველობის მუშაობის იმ ტემპს, რომელიც გვქონდა მთელი რიგი წლების განმავლობაში, და ამცირებენ იმ მიღწევებს, რომლებიც გვაქვს. საქმის ასეთი მდგომარეობა, ჩემის აზრით, უოვლად დაუშვებელია.

ამხანაგებო, თქვენ ალბათ, ყველამ კარგად იცით, რომ დიდი ხმაურობა იყო მთელი წლის განმავლობაში ბაქო-ბათომის ნავთსადენის ირგვლივ. რა კეთდება ამ მიმართულებით? როგორ პირობებშია ჩაყენებული ბაქოს ნავთსადენი? მილები და მოწყობილობის ნაწილი საზღვარ გარეთ გვაქვს შეკვეთილი. თითქოს უნდა გადაგვედო განსაზღვრული თანხა იმისათვის, რომ მოვემზადებულიყავით სამშენებლო სეზონის დასაწყისისათვის. რა მდგომარეობა შეიქმნა? სადღაც და ვიღაცამ სთქვა, რომ ამ საქმისათვის უნდა გადაიდოს ფული. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განაცხადა, რომ ნავთსადენის საქმე პირველი რიგის სამუშაოდ უნდა იქნას ცნობილი, მაგრამ ამ საქმისათვის ფულს არ იძლევიან. როცა „აზნეფტი" ამბობს, რომ უნდა დავიწყოთ მუშაობა, რომ ამისათვის საჭიროა ფული, მას უპასუხებენ რომ ფული არ გვაქვს. ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სამუშაოს, ყველამ იცის აგრეთვე, რომ მხოლოდ საზღვარ-გარეთის შეკვეთებისათვის, რომელნიც წელს დავამზადეთ, საჭიროა 8 მილიონი მანეთი და, გარდა ამისა მშენებლობისათვის აქ, ჩვენში, საჭიროა არა ნაკლებ 15 მილიონი მანეთისა. ლითონის მრეწველობის მთელი რიგი მუშაკები კი ძალას ატანენ „აზნეფტს" დიზელის და სხ. შეკვეთებისათვის. იმის საკითხი: შეუძლია თუ არა ლითონის მრეწველობამ მიიღოს ჩვენი შეკვეთები ისე, რომ ხელშეკრულების დადების დროს არ მოგვთხოვოს განსაზღვრული პროცენტი ნაღდი ფული? ლითონის მრეწველობის მუშაკები გვეუბნებიან: ხელშეკრულების დადების დროს შეკვეთის ღირებულების 25 პროც. წინდაწინ მოგვეცითო. საიდან ვიშოვოთ ეს ფული? როცა აზნეფტი უცხადებს, რომ ამ თანხის მიცემა არ შეუძლია, ამაში მას სდებენ ბრალს. მაგრამ ეს ასე არ არის. ამაში ბრალი მიუძღვით იმ პირებს, რომელნიც ასე საუცხოვოდ ადგენენ გეგმებს. მე მინდა შევჩერდე კიდევ ერთ საკითხზე,—ნავთიანი ადგილების გამოკვლევის საკითხზე. ნავთიანი ადგილების ზოგიერთი ნაწილი უკვე იშრიტება. ახალ ნავთიანი ადგილები საკმაოდ არ არის გამოკვლეული. ამისათვის საჭიროა განსაზღვრული თანხები. მართალია, წელს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო დაგვეხმარა და 39 ათასი მეტრის გამოსაკვლევად გადასდო თანხები. მაგრამ ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის საკმაო და ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ მე მინდა ვსთქვა: სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და „გლავგორტოპმა" უახლოეს მომავალში უნდა განუცხადონ აზნეფტს გარკვეულად, რა უნდა შევამციროთ და რის ხარჯზე. ამობურღვის ხარჯზე? ექსპლოატაციის ხარჯზე? ბათომის და ბაქოს ქარხნების აშენების ხარჯზე? ან საჭიროა თუ არა ეხლავე საჩქაროთ გადაისინჯოს ჩვენი ფინანსიური გეგმა მისი გადიდების მიმართულებით? ასე მუშაობა შეუძლებელია. არ შეიძლება ასე მოვეკიდოთ ნავთის მრეწველობას, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საერთო მეურნეობაში. ჩემის აზრით, ეს საკითხი არის ჩვენი ნავთის მრეწველობის მომავლის საკითხი. თუ ამ წელში არ იქნა შესრულებული საწარმოო გეგმა, ეს გავლენას იქონიებს არა მარტო ამ წელზე, არამედ მომავალ წლებზედაც, ვინაიდან ჩვენთვის ცხადია, რომ თუ ჩვენ ამ წელში არ განვაგრძობთ ამობურღვის გაძლიერებას სწრაფი ტემპით, ჩვენ ჩავშლით არა მარტო ამ წლის, არამედ მომავლის საწარმოო გეგმას. მე ამით ვათავებ ჩემს სიტყვას. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია აქ—ცენტრში საჩქაროდ გადაისინჯოს ნავთის მრეწველობისათვის ფინანსების მიწოდების საკითხი და შეძლებისდაგვარად გამონახულ იქნას თანხები, რომ გარკვეულ ფინანსიურ ფარგლებში მოგვეცეს მუშაობის საშუალება (ტაში).

15 დეკემბრის დილის სხდომა

15 დეკემბრის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ამხ. რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებების გარშემო.

ამხ. კოლოტილოვის სიტყვა

პირველად სიტყვით გამოდის ამხ. კოლოტილოვი (ივანოვო-ვოზნესენსკი). ამხ. კოლოტილოვი ყრილობის ყურადღებას მიაპყრობს საფეიქრო მრეწველობის საჭიროებებზე, ვინაიდან საფეიქრო მრეწველობის საჭიროებებმა საკმაო გამოხატულება ვერ პოვეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში. საფეიქრო რაიონების მთავარი უბედურებათ ამხ. კოლოტილოვს მიაჩნია ის გარემოება, რომ აღნიშნულ რაიონებს ეძლევა პურის არასაკმაო რაოდენობა. შემდეგ ამხ. კოლოტილოვის აზრით, ხუთწლიან გეგმაში არასაკმაო ყურადღება ექცევა აგრეთვე მსუბუქ ინდუსტრიის განვითარებასაც. მსუბუქ ინდუსტრიას, ისე როგორც მძიმეს უნდა მიეცეს შემდგომი განვითარების საშუალება. ეს გარკვევით და მტკიცეთ უნდა იქნეს აღნიშნული გეგმაში. ხუთწლიან გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნეს თანხების გადადება არა მარტო ახალ კაპიტალურ მშენებლობისათვის, არამედ დღეს არსებულ წარმოებათა განახლებისთვისაც.

ამხ. სოკოლნიკოვის სიტყვა

ამხ. სოკოლნიკოვი (მოსკოვი) ამბობს: „რაში მდგომარეობს ხუთწლიან გეგმის შედგენის ძირითადი პრობლემა. ეს პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნის შემდგომი სამეურნეო განვითარების საერთო პირობას წარმოადგენს ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ნედლეულის რესურსების ზრდა. ამ რესურსების განვითარება წარმოადგენს ფუძეს მოხმარებისა და წარმოების საშუალებათა დამზადების განსავითარებლათ. სასოფლო მეურნეობის მჭიდრო კავშირი მრეწველობასთან გვიკარნახებს სასოფლო მეურნეობის განვითარების უფრო ჩქარი ტემპის უზრუნველყოფის აუცილებლობას, იმ ტემპთან შედარებით, რომელიც დღეს გვაქვს, და ამ მიზნის განსახორციელებლათ საჭიროა გლეხობის უღარიბეს და საშუალო ფენების მეურნეობების აწევა კოოპერაციის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის და სხვ. საშუალებით. ამხ. სოკოლნიკოვი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი თვალსაზრისით ხუთწლიან გეგმის შესახებ სავსებით ეწინააღმდეგება ოპოზიციის თვალსაზრისს. სწორედ ამ გარემოებამ და აგრეთვე შინაპარტიულმა უთანხმოებამ აიძულეს ის დაშორებოდა ოპოზიციას, რომელსაც იცავდა ამ რამდენიმე ხნის წინად. სოკოლნიკოვმა განაცხადა, რომ არავითარი ძირითადი უთანხმოება პარტიასთან მას არა აქვს. შემდეგ ამხ. სოკოლნიკოვი შეეხო საქონლის ნაკლებობის საკითხს და სესხების შესახებ სთქვა:

— შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც იმყოფება საბჭოთა კავშირის მეურნეობა, გამოგვიყვანდა კაპიტალისტური სახელმწიფოების დახმარება სესხის სახით. ასეთი სესხი არა მგონია რომ შეგვიმსუბუქებდა მდგომარეობას. მეფის დროის რუსეთმა ომამდე 20 წლის განმავლობაში გადაიხადა პროცენტები საგარეო სესხებზე შვიდი მილიარდ ორასი მილიონი მანეთი მაშინ, როდესაც თვით სესხი შეადგენდა მხოლოდ 4 მილიარდ მანეთს. კაპიტალისტური სახელმწიფოების ასეთი „დახმარება" ჩვენ არ გვესაჭიროება. მასების შემოქმედებითი, რევოლიუციონური ენერგიის შეწყობით ჩვენ კაპიტალისტების დახმარების გარეშეც, დამოუკიდებლათ განვავითარებთ საბჭოთა კავშირის საწარმოო ძალებს.

ამხ. პოკროვსკის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. პოკროვსკი (განათლების სახკომისარიატი).

— ამ თეზისებში, რომელიც წარედგინა ყრილობას—ამბობს ამხ. პოკროვსკი—საკმაოთ გარკვევით არის ლაპარაკი სამეცნიერო მუშაობის შესახებ. მეცნიერებისათვის მიმართვა სავსებით გასაგებია, ვინაიდან არავითარ ინდუსტრიალიზაციაზე არ შეიძლება ლაპარაკი, თუ ამ ინდუსტრიალიზაციას არ ექნა მტკიცე მეცნიერული საძირკველი. მაგრამ თეზისები კი მიმართავენ მეცნიერებას, მხოლოდ არაფერს არ ლაპარაკობენ ახალ სამეცნიერო დაწესებულებების განვითარებისა და უკვე არსებულ დაწესებულებათა გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

ამხ. პოკროვსკი აღნიშნავს,რომ არ არსებობს სხვა ისეთი დარგი, სადაც სტიქია ბატონობდეს ისე, როგორც ის ბატონობს მეცნიერების დარგში. მსხვილ სამეცნიერო დაწესებულებებსაც კი არ მოეპოვება მუშაობის კარგათ დამუშავებული გეგმა. ხშირად სამეცნიერო დაწესებულებებს არავითარი კავშირი არ აქვს სამეურნეო დაწესებულებებთან, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება და სამეცნიერო დაწესებულებები მოწოდებულია ემსახურონ სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებს. უფრო მეტი, ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულებები თავს იწონებენ იმით, რომ ცხოვრობენ ისეთ ტრადიციებით, რომლებსაც აქვს ასი წლის წარსული. იმისათვის, რომ სამეცნიერო დაწესებულების მუშაობა დავუახლოვოთ ცხოვრებას, საჭიროა შეიქმნეს საბჭოთა კავშირისათვის სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობის ერთიანი გეგმა, რომელიც შევა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში, როგორც მისი ერთ-ერთი ნაწილი.

ამხ. ლაკობას სიტყვა

ამხ. სტალინის, რიკოვის და კრჟიჟანოვსკის მოხსენებები, — ამბობს ამხ. ლაკობა,—აშკარად გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების 10 წლის არსებობის დროს ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს სამეურნეო და კულტურულ წარმატებას. უაზრობა იქნებოდა, სადავოდ გაგვეხადა ის ფაქტი, რომ ჩვენ უდიდესი გამარჯვება მოვიპოვეთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაში და შინაური ეროვნული ურთიერთობის საქმეში.

ცეკას სწორ ლენინურ გეზს გვიდასტურებს ისეთი მაგალითი, როგორიც არის აფხაზეთი. აფხაზეთი წარსულში დაჩაგრული იყო და მას ფიზიკური გადაშენება მოელოდა: ეხლა ის, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში მოქცეული, სრულიად თავისუფალია კულტურულად და მეურნეობის მხრით და წლიდან-წლობით წინ მიდის. მხოლოდ ჩვენს პარტიას შეეძლო შექმნა და სული ჩაედგა ისეთი პატარა რესპუბლიკისათვის, როგორიც არის აფხაზეთი. ამ საერთო „მოწმის ჩვენებიდან" მე მინდა გადავიდე ზოგიერთ საკითხებზე, რომელთაც, ჩემის აზრით საზოგადო, საკავშირო მნიშვნელობა აქვთ და რომელთაც ასე თუ ისე უნდა შეეხოს სამეურნეო დირექტივები.

პირველი საკითხი შეეხება ტყვარჩელის ქვანახშირს. ამ ქვანახშირს 25 წელზე მეტი ისტორია აქვს. ჯერ ისევ რევოლიუციამდე კონცესიონერები რამდენჯერმე შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ იგი. უკვე 1918 წელს ილიჩი თავის ყურადღებას აქცევდა ამ ქვანახშირს. სამიოდე წლის წინათ ეს საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. იმ ინტერესის წყალობით, რომელიც ამ ქვანახშირისადმი ამხ. სერგომ გამოიჩინა, ჩვენმა ცენტრებმა მის შესწავლას ხელი მოჰკიდეს. ერთი წლის წინათ ამხ. [illegible] და კოსიორმა აქტიურად წინ წასწიეს ეს საქმე. შედეგები ბრწყინვალე მივიღეთ. ტყვარჩელის ქვანახშირის მარაგი (სამრეწველო მნიშვნელობისა) 13-ნახევ. მილიარდი ფუთით განისაზღვრება. ამ ნახშირის ღირსება, თურმე, ძალიან კარგია. როგორც მაკეევკის ლითონის ქარხნებში ჩატარებულმა ცდებმა დაგვანახვა, რომ ტყვარჩელის ქვანახშირიდან გამოდის კარგი კოქსი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა კავშირს მოეპოვება ქვანახშირის მსოფლიო რესურსების მხოლოდ 6 პროცენტი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მსუბუქი და მძიმე ინდუსტრია ამ სათბობ საწვავი მასალის გარეშე ვერასგზით ვერ იარსებებს, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ ტყვარჩელის ქვანახშირს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, ამ საქმის წინ წაწევას უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი, ვიდრე დღევანდლამდე.

მეორე საკითხი შავი ზღვის რკინისგზას შეეხება. ამ საკითხსაც 25 წლის ისტორია აქვს. არ მოვიყვან ეკონომიურ და სხვა მოსაზრებებს იმის დასამტკიცებლად, რომ ამ რკინისგზის დამთავრება აუცილებლად საჭირო და გადაუდებელია. მე მინდა აღვნიშნო, რომ არსებითად შემცდარია ის გავრცელებული აზრი, ვითომც ეს გზა მეფეს გაჰყავდა სტრატეგიული მოსაზრებით. შემცდარია იმიტომ, რომ შავი ზღვის რკინისგზა მეფეს კი არ გაჰყავდა, არამედ კერძო აქციონერთა საზოგადოებებს. ეს საზოგადოებანი, პირველ ყოვლისა, იმ მოსაზრებას ემყარებოდნენ, რომ იგი ეკონომიურად სასარგებლო იქნებოდა და არა რაიმე სტრატეგიულ ან სხვა მოსაზრებას. მე არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რანაირი სატრანზიტო და საკურორტო მნიშვნელობა აქვს ამ გზას საბჭოთა კავშირისათვის და ამიერ - კავკასიის ფედერაციისათვის. საკმაოა აღვნიშნოთ, თუნდაც მხოლოდ ის გარემოება, რომ ეს გზა, როგორც როსტოვის მხრიდან, ისე სტალინგრადის მხრიდან მანძილს ამიერ - კავკასიამდე ექვსასზე მეტი ვერსით შეამოკლებს. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ეს გზა იქნება უმოკლესი გზა, რომელიც საბჭოთა კავშირს სპარსეთთან და ოსმალეთთან დააკავშირებს. შავი ზღვის რკინისგზაზე უკვე რამდენიმე მილიონია დახარჯული. ეს გზა უნდა დავამთავროთ თუნდაც ტყვარჩელის ქვანახშირის საკითხის გარეშეც, რადგან უამისოდაც ამ გზის აუცილებელი საჭიროება დაამტკიცეს ჩვენი კავშირის საუკეთესო სპეციალისტებმა.

მესამე საკითხი, რომელსაც მე მინდა შევეხო, ეს არის ტყის საკითხი. აფხაზეთში არის 500.000 დესეტინა ძვირფასი ტყე. ამ ტყის ექსპლოატაციას ჯერ არ შევდგომივართ. თუ ამხ. კუიბიშევი აცხადებს, რომ მარტო ტყეების დამუშავებაც კი ჩვენს ინდუსტრიას მძლავრად წასწევდა წინაო, საჭირო არის, რომ აფხაზეთის ტყეები, ზღვის სანაპიროებზე გაშენებული, გამოვიყენოთ როგორც ჩვენი ინდუსტრიისათვის, ისევე საექსპორტო მიზნებისათვის. ამ მიმართულებით, მართალია, ცოტა რამ უკვე კეთდება, მაგრამ ეს საკმაო არაა. საჭიროა უფრო სერიოზული ღონისძიებების მიღება ამ ტყეების ექსპლოატაციისათვის.

მეოთხე საკითხი შეეხება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზატკეცილს. აფხაზეთი ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც მოკლებულია წესიერ სატრანსპორტო კავშირს, მიუხედავათ აფხაზეთის ხვედრითი წონისა საბჭოთა კავშირში (კურორტები, თამბაქო და სხვ.). რკინისგზები ჯერ არ არსებობს, ნავთსადგურები ჯერ არ არის, არის მხოლოდ აფხაზური მზე და აფხაზური სტუმართმოყვარეობა. მაგრამ უგზოობის გამო აფხაზეთის ხალხს ცოტა არ იყოს უჭირს, რადგან ისეთი გზატკეცილი, როგორიც ახლა არსებობს, წარმოადგენს ნამდვილ ხაფანგს არა მარტო თვით აფხაზეთისათვის, არამედ ამიერ - კავკასიისა და რუსეთისათვისაც. ეს გზა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა აღვადგინოთ, რადგან უახლოეს ხუთ წელში აფხაზეთის კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის ეს გზატკეცილი უდიდესი კულტურულ - ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორი იქნება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ ოთხ საკითხს ალექსი ივანეს ძის მეთვალყურეობა და მფარველობა არ მოაკლდება. თუ გვერდს აუხვევთ დიდ საკავშირო საქმეებს და ვილაპარაკებთ აფხაზეთის ადგილობრივ საქმეებზე, მაშინ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მზიან აფხაზეთში ჭაობების წყალობით ჯერ ისევ არსებობს ხალხის საშინელი მტერი — მალარიის კოღო. ამ ჭაობების დაშრობა არც ისე ძვირად დაჯდება. ზოგჯერ საბჭოთა კავშირის მშრომელები აფხაზეთის კლიმატიური პირობებით ვერ სარგებლობენ, რადგან მათ აფხაზეთის მალარიის კოღო აშინებთ.

აი ყველა ის საკითხები, რომელსაც მინდოდა შევეხებოდი არა უკმაყოფილების გამოსახატავად, არამედ იმიტომ, რომ თუ ყველა აღნიშნული საკითხის გადაჭრას ხელს მოვკიდებთ, აფხაზეთს უკეთესი პირობები შეექმნება.

ამხ. მიხაილოვის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ამხ. მიხაილოვი (ლენინგრადი). ამხ. მიხაილოვი აღნიშნავს მიღწევებს მანქანათმშენებლობის განვითარების საქმეში. დიდი წარმატებით სწარმოებს ტურბინების მშენებლობის საქმე. ლენინგრადში, მაგალითად, ამჟამად აშენებენ 80.000 ცხ. ძალ. ტურბინას. ასეთივე წარმატებით სწარმოებს დიზელების მშენებლობის საქმე. უკანასკნელ წლებში ძლიერ განვითარდა აგრეთვე საფეიქრო მანქანების მშენებლობის საქმეც. მაგრამ მიუხედავათ მანქანათმშენებლობის ასეთი განვითარებისა, ეს დარგი მაინც ვერ აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებებს და ამ დარგში მრავალი ნაკლია. ამჟამად მანქანათმშენებლობის განვითარების ინტერესები მოითხოვს ლითონის ღირსების გაუმჯობესებას და მის რაოდენობის გადიდებას. ხუთწლიანმა გეგმამ ანგარიში უნდა გაუწიოს მანქანათმშენებლობის შემდგომ განვითარების აუცილებლობას.

ამხ. რიაბოვის სიტყვა

ამხ. მიხაილოვის შემდეგ გამოვიდა ამხ. რიაბოვი (ბრიანსკი), რომელიც შეჩერდა ჩვენი მეურნეობის ნაკლულოვანებებზე. დიდ ნაკლად მიაჩნია მას წლიური საწარმოო პროგრამებისა და კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების ხშირი შეცვლა. საჭიროა, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების სამეურნეო პროგრამები უფრო ყურადღებით მუშავდებოდეს და სრულდებოდეს მათში სერიოზული ცვლილებების შეუტანლად. ამხ. რიაბოვს შეცდომად მიაჩნია ახალი ქარხნების აშენება იმ დროს, როცა ამ ჟამად არსებული ქარხნები, თუ ისინი კაპიტალური სამუშაოსათვის საჭირო თანხებს მიიღებენ, შესძლებენ პროდუქციის გადიდებას, ღირსების გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

ამხ. ელიავას სიტყვა

ამხ. რიაბოვის შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ელიავა.

მე მინდა შევჩერდე ერთ საკითხზე,—ამბობს ამხ. ელიავა,—რომელსაც ყურადღება მიაქცია ალექსი ივანესძემ, მაგრამ შეეხო მხოლოდ ზოგადად. ალექსი ივანესძემ აღნიშნა, რომ ხუთწლიან გეგმის შედგენის სიძნელეთა რიცხვს, სხვათა შორის ეკუთვნის ის გარემოებაც, რომ არ არსებობს რაიონული გეგმები და მიზნობრივი დაბულებები რესპუბლიკის რაიონებისათვის.

მე ვფიქრობ, რომ ეს არის ერთ-ერთი უველაზე უფრო არსებითი დაბრკოლება გეგმის შედგენის საქმეში. ჩვენი კავშირის ცალკე რაიონებში, გეგმების შედგენის დროს, ჩვენ რა თქმა, უნდა არა გვაქვს საშუალება ვიმსჯელოთ და გეგმები შევადგინოთ მეურნეობის ისეთ დარგებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ რაიონული გეგმების ბედიღბალს. ჩვენი თვალთახედვიდან გაშვებულია ფულის სისტემის და ტრანსპორტის საკითხები, ფოსტა-ტელეგრაფისა და მეურნეობის სხვა დარგების საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ჩვენი გეგმების ბედიღბალს. თუმცა ბევრსა მგონია, რომ ეს გარემოება აადვილებს რაიონული გეგმების შედგენის ამოცანას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ ამ ყრილობაზე უნდა დავადგინოთ, რომ ჩვენმა ცენტრალურმა საგეგმო ორგანოებმა და ჩვენმა ცენტრალურმა მთავრობამ მტკიცე მიზნობრივი პრინციპები მისცენ რაიონებს შრომის განაწილების ნიადაგზე კავშირის ფარგლებში. სამწუხაროდ, ჩვენი საგეგმო ორგანოები და ის ორგანიზაციები, რომლებიც წინასწარ ამუშავებენ ამ საკითხებს, დღემდე ამ თვალსაზრისით არ უდგებიან გეგმების შედგენას. ყველა გეგმებს, რომლებსაც ამუშავებენ ადგილებზე, აკრიტიკებენ არა ამ პრინციპის მიხედვით, არამედ სულ სხვა პრინციპით: ხშირად კავშირს უპირდაპირებენ რაიონსა და რესპუბლიკას, ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ რაიონებისა და რესპუბლიკებისათვის უცხო არ არის ისეთ მოთხოვნილებათა წარდგენის ტენდენციები, რომელთა მიზანს შეადგენს მეურნეობის უნივერსალურ ტიპის შექმნა ამა თუ იმ რაიონში, ან რესპუბლიკაში. თვითეულ რესპუბლიკას სურს ჰქონდეს თავისთვის უოველგვარი წარმოება, და სრულებითაც არ უწევს ანგარიშს იმას, თუ რა შეეფერება მთელი კავშირის სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის ინტერესებს. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ამას სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ, რათა აღმოვფხვრათ ის გაუგებრობანი, არევ-დარევა და გაურკვევლობა, რომლებზედაც ლაპარაკობდა ამხ. კრჟიჟანოვსკი, როდესაც ის შეეხო საკავშირო და ადგილობრივი მრეწველობის გამიჯვნის საკითხს. კერძოდ ჩვენში, ამიერ-კავკასიაში, რაიონულ გეგმების შედგენა აწყდება კიდევ იმ სიძნელეებსაც, რომ ჩვენ წარმოვადგენთ მრავალი ერით დასახლებულ ქვეყანას, ისეთ ქვეყანას, რომელიც განვითარების ახლანდელ საფეხურზე უმთავრესად მომხმარებელია, და დასასრულ, ისეთ ქვეყანას, სადაც არ არსებობს ძველი ტექნიკური ბაზა. ძველ კაპიტალისტურ წესწყობილებისაგან ჩვენ არ მიგვიღია არავითარი მემკვიდრეობა, გარდა ნავთისა და მარგანეცისა, რომლებსაც არა აქვს ორგანიული კავშირი პერიფერიის მთელ დანარჩენ მეურნეობასთან. ჩვენ გვიხდება აღმშენებლობის წარმოება ახალ ადგილზე და ეს გარემოება ართულებს ჩვენს მუშაობას გეგმის შედგენის დროს. შემდეგ მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ვიხელმძღვანელოთ რაიონების სპეციალიზაციის პრინციპით. თვითეულ რაიონისათვის გეგმა უნდა შესდგეს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად შესაფერი ობიექტიური წინასწარი პირობები არსებობს იქ ინდუსტრიის მოსაწყობათ, სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის შრომის განაწილების ნიადაგზე მთელ საბჭოთა კავშირში. ვხელმძღვანელობთ რა ამ მოსაზრებით, მე მინდა მივითითოთ ამიერ-კავკასიის მდგომარეობაზე. დღემდე ჩვენ ვაყენებდით ისეთ გეგმებს, რომლებიც საკმაოდ ვერ უწევდენ ანგარიშს ამ მომენტს და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მუშაკები ჩვენ ხშირად გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ წვრილმან პროექტებს ადგენთ და არ იძლევით იმას, რაც შეიძლება გახდეს სერიოზულ და დიდ საქმის საფუძვლადო, როდესაც კი ხმას ამოვიღებდით, სერიოზულ და დიდ საქმეზე, ჩვენ გვეუბნებოდენ: თქვენ მეტისმეტად ბევრს მოითხოვთ, ჩვენ არ გვექნება საამისო საშუალებებიო. ამ რიგად, ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის საკითხებში ერთმანეთს უპირისპირებდენ საკავშირო ამოცანებს და რესპუბლიკების ინტერესებს. მე ვფიქრობ, რომ ეს წესი სრულებით უნდა უარვყოთ. ამიერ-კავკასიას ალბათ ბევრი თქვენთაგანი იცნობს. იმათ უმრავლესობას, ვინც აქ ზის, ნახული აქვს ეს ქვეყანა, როგორც გამვლელ მოგზაურს, ვაგონის ფანჯრიდან, მაგრამ თქვენმა უმრავლესობამ არ იცის, რომ რკინის გზის ფარგლებს იქით ამ რაიონს მოეპოვება ძლიერ დიდი რესურსები, რომლებითაც შეიძლება დაინტერესებული იყოს საკავშირო მრეწველობა და საკავშირო სახალხო მეურნეობა (ხმა: „ვიცით"). უოველ შემთხვევაში ამას ძლიერ მცირე ყურადღება ექცევა. საქმე იმაშია, რომ ჩვენი რაიონი წარმოადგენს ძვირფას კულტურების რაიონს, რომლებიც შეიძლება გამოადგეს ძვირფას ნედლ მასალად როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანურ მრეწველობას. ჩვენს ქვეყანაში გლეხობა უნივერსალურ მეურნეობას აწარმოებს თავის პატარა ნაჭერ მიწაზე: ის სთესავს თამბაქოს და ბამბას, მოჰყავს ჩაი და აბრეშუმი, იმის მაგიერ, რომ შემოღებულ იქნას სტანდარტი, შემოღებულ იქნას მასიური წარმოება ძვირფას კულტურების, რომლებიც შეიძლება გადაიქცეს მრეწველობის საფუძვლად. ჩვენ გვაქვს დიდი ბუნებრივი სიმდიდრენი, ჩვენ გვაქვს ქვანახშირი, რომლის შესახებ ილაპარაკა ამხ. კუიბიშევმა, მარგანეცი და სხვა მადნები, რომლებიც შეიძლება გამოდგეს ურყევ საფუძვლად სერიოზულ სამრეწველო საქმის დასაწყებად. ეს კი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ჩვენს დაქსაქსულ გლეხურ და ამავე დროს მრავალერიან ქვეყანაში. ჩვენში არის მთელი რაიონები, სადაც შეიძლება მოეწყოს სამკურნალო მცენარეების მოყვანის საქმე, რომლებიც ჩვენ შემოგვაქვს საზღვარგარეთიდან და გვეხარჯება ოქროს ვალიუტა. მაგრამ დღემდე პრაქტიკულად ამ გარემოებას ანგარიში არ ეწეოდა და ჩვენი კავშირის ერთად - ერთი სუბტროპიკული რაიონი არ არის გამოყენებული ჩვენი მეურნეობის ასაწევად. მე არ უდგები საკითხს საკუთარ კუთხის თვალსაზრისით. მე ვამბობ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ კავშირის უაღრესად თავისებურ შემადგენელ ნაწილს. მთელი ეს საქმე — ჩვენი ინდუსტრიის, ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმე, ჩვენი ძვირფასი კულტურების განვითარების საქმე, რაშიაც დაინტერესებულია მთელი კავშირი, რომელთა განვითარებითაც შესაძლებელი იქნებოდა მთელ რიგ პროდუქტების შემოზიდვის შეწყვეტა საზღვარგარეთიდან — მთელი ეს საქმე შეიძლება მოეწყოს ელექტროფიკაციის ნიადაგზე, სამელიორაციო სამუშაოთა ნიადაგზე. სამელიორაციო სამუშაოებს კი სწორედ ამიერ - კავკასიაში ვლადიმერ ილიჩი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა. მართლაც სამელიორაციო სამუშაოებს ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა, მაგრამ დღემდე მხოლოდ მებამბეობის თვალსაზრისით. მებამბეობის რაიონების მორწყვა ჩვენში კიდევ მეტი ენერგიით უნდა გავაგრძელოთ, მაგრამ ბამბის გარდა, ჩვენ სხვა კულტურებიც მოგვეპოვება, რომელთაც ესაჭიროება სამელიორაციო ღონისძიებები: სამელიორაციო ღონისძიებები ჩვენში წარმოადგენს განსაკუთრებულ პრობლემას. ჩვენი მრეწველობა, რომელიც ეხლა შენდება, მოითხოვს იაფ ელექტრონის ენერგიას. სწორედ ამიტომ ჩვენს მეურნეობას ამიერ - კავკასიაში საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი წყლის რესურსების ერთდროულად გამოყენება, როგორც მელიორაციის, ისე ელექტროფიკაციისათვის. სწორედ ელექტრონის ენერგიისა და მელიორაციის ნიადაგზე ჩვენში შეიძლება მოწყობილ იქნას ეს საქმე დიდი საკავშირო მასშტაბით. ჩვენ არ ვიდავებთ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ხელმძღვანელობა სახალხო მეურნეობის ამ დარგებში. ამ ტრიბუნიდან გაისმა ხმები, რომ ამ მხრივ ავიწროვებენ ადგილობრივ ინიციატივას. ჩვენთვის ეს სულ ერთია, ჩვენთვის მეორეხარისხოვან საკითხს წარმოადგენს, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ხელმძღვანელობა, ჩვენ უნდა შევძლოთ ავაღორძინოთ და გადავამუშაოთ მთელი კავშირის სოციალისტური მეურნეობის მოწყობის ინტერესებისათვის ის სიმდიდრენი, რომელთაც შეუძლია ჩვენი ფეხზე წამოყენება. განვითარებულ ელექტროფიკაციის გარეშე ამიერ - კავკასიის ინდუსტრიალიზაციას ჯვარი უნდა დაესვას.

ელექტროფიკაციის საკითხზე მე იმიტომ შევჩერდი, რომ აქ ამხ. რიკოვმა, აღნიშნა რა ჩვენი კაპიტალური აღმშენებლობის დეფექტები, უსაყვედურა ამიერ - კავკასიის მუშაკებს, რომ ზემო - ავჭალის ახლად აგებული სადგური დატვირთულია მხოლოდ 25 პროცენტით. ნაწილობრივ ამაში, რა თქმა უნდა, ჩვენც ვართ დამნაშავე,მაგრამ დანაშაულის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეკისროს იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც დღემდე ვერ შესძლეს შეესრულებიათ ხელშეკრულება შეკვეთილ აგრეგატების მიწოდებაზე, რომ ახალი ენერგია გამოგვეყენებია ჩვენს წარმოებებში. ქალაქისა და ს. მ. უ. საბჭოს ყველა ჩვენი წარმოებები მუშაობენ ჯერ კიდევ ძველი ენერგიით. საყვედური, რომლითაც აქ ჩვენ მოგვმართა ამხ. რიკოვმა, შეიძლება საფუძვლად დაედოს შემდგომ ბრალდებებს ამიერ - კავკასიის ელექტროფიკაციის შესახებ. ამ საყვედურის მიხედვით აქ შეუძლიათ გამოიტანონ დასკვნა, რომ რაკი თითქოს გამოუყენებელი არ არის ზემო - ავჭალის სადგური, საჭირო არ არის სხვა სადგურების აგებაც.

მე ვფიქრობ, რომ საკითხის ასეთი დასმა არ იქნებოდა სწორი. აგებულ სადგურის არასაკმაო დატვირთვამ გავლენა არ უნდა მოახდინოს ამიერ - კავკასიის ახალი ძლიერ - სადგურების აგების ბედიღბალზე. ეს არის აუცილებელი წინასწარი პირობა ჩვენი ინდუსტრიის განვითარებისა და ჩვენი კავშირის იმ კუთხის ინდუსტრიალიზაციისათვის, რომელიც იმყოფება ოსმალეთისა და სპარსეთის მიჯნაზე. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი საგეგმო ორგანოები საკმაო ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს სწორედ იმ თვალსაზრისით, რომელზედაც მე აქ ვილაპარაკე. ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების ყრილობაზე ჩვენ საკმაოდ დაწვრილებით განვიხილეთ ეს საკითხები და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა ავიღოთ ხელი აღმშენებლობის პარტიზანშჩინაზე, უნივერსალიზმზე და უოველგვარ ტენდენციებზე, რომლებიც მიმართულია კარჩაკეტილ მეურნეობის ორგანიზაციისაკენ. ჩვენ მიგვაჩნია თავი საკავშირო მეურნეობის ერთ-ერთ უბნად. სწორედ ამ თვალსაზრისით ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენ ყურადღება უნდა მოგვექცეს. ამხ. კრჟიჟანოვსკი აქ ლაპარაკობდა კავშირისა და რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება მიეცეს ადგილებსა და რესპუბლიკებს მტკიცე ლიმიტები მაგრამ აუცილებლად საჭიროა მიეცათ მათ მტკიცე მიზნობრივი პრინციპები, ზოგადი გეგმები, რომ ამ დასახულ მიზნების ფარგლებში აგებულ იქნას რაიონული გეგმები. უამისოდ გაგრძელდება მუშაობა კუსტარულად, თვითეული რაიონი მოინდომებს მეურნეობის ყველა დარგების მოწყობას, და უოველივე ეს არ მიგვიყვანს იქამდე, საითაც ჩვენ მივისწრაფვით. ვფიქრობ, რომ საკითხის ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რა თქმა უნდა, ჩვენსა და ჩვენი რაიონის წინაშე სდგას მძიმე საკითხები: ჩვენ არ მოგვეპოვება საკუთარი გამომკვლევი ძალები, რომლებიც შესძლებენ ჩვენი წინადადებების მეცნიერულად დასაბუთებას. ჩვენ არ მოგვეპოვება სათანადო კვალიფიციური მუშა ხელი. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ გეგმის სწორი აგებით და სწორი ორიენტაციით ჩვენი რაიონი მთელ კავშირთან ერთად მაინც წავა წინ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზით, მისი სოციალისტურად გადაკეთების გზით (ტაში).

ამხ. სობოლევის სიტყვა

კამათში უკანასკნელად გამოვიდა ამხ. სობოლევი (ს. ა. ლ. კ. კ. ცეკა).

— სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა—ამბობს ამხ. სობოლევი,—გვერდს ვერ აუვლის იმ ძირითადი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ამ ჟამად მუშათა ახალგაზრდობის წინაშე სდგას. მუშათა ახალგაზრდობის მომზადება წარმოებაში ჩასაბმელად უნდა სწარმოებდეს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებისა, შვიდწლედებისა, პროფტექნიკური კურსებისა და მუშფაკების ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მთელი ჯავშანი საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან გამოდიოდეს.

ამხ. სობოლევის სიტყვის შემდეგ, ყრილობამ დაადგინა შესწყვიტოს კამათი და მოისმინოს მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები.

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

15 დეკემბრის დილის სხდომა

უსაფუძვლო საყვედური

მოსკოვი, 18 დეკემბერი. ამხანაგებო, იმ კამათიდან, რომელიც სწარმოებდა ჩემი და ამხ. კრჟიჟანოვსკის მოხსენების გარშემო, მე მგონია, უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მე-15 ყრილობა იწონებს ცეკას წინადადებებს და მიმდინარე ყრილობაზე უნდა დავკმაყოფილდეთ ნაკაზით ხუთწლიანი გეგმის შედგენისათვის. ზოგიერთ ორატორებმა უსაყვედურეს მომხსენებლებს, კერძოდ მე, რომ ჩვენ არ შევეხეთ მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების გეგმასთან. ვერ დაგპირდებით, რომ ამ საკითხებს შევეხები მაშინაც კი, როცა გაგაცნობთ თვით ხუთწლიან გეგმას. ამისთვის საჭირო იქნება არა ორი და შვიდი საათი, არამედ ვფიქრობ ოთხჯერ-ხუთჯერ მეტი. (ხმები: „როგორც ქემალ-ფაშამ ილაპარაკა 36 საათი". სიცილი).

მომავალშიაც პარტიის ყრილობებზე ხუთწლიანი გეგმის განხილვის დროს ჩვენ იძულებული ვიქნებით დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მნიშვნელოვან, ძირითად საკითხების განხილვით. კერძო მნიშვნელობის საკითხებში კი საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ფართო დისკუსიის შესაძლებლობა პრესაში, უოველგვარ კრებებზე და თათბირებზე, როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მათი გადაწყვეტა მოგვიხდება, ალბათ, კოლეგიებში უფრო ვიწრო შემადგენლობით. ისეთი ქვეყნის ეკონომიური განვითარება, როგორიცაა ჩვენი საბჭოთა კავშირი, განსაკუთრებით ისეთ რევოლიუციონურ პერიოდში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, აყენებს მრავალ კონკრეტულ საკითხებს, რომლებზედაც გეგმა მისი დამუშავების ეხლანდელ სტადიაში ჯერ კიდევ ვერ გასცემს პასუხს. მაგრამ [illegible] რომ გვქონდეს უკვე სამეურნეო განვითარების დეტალურად დამუშავებული ხუთწლიანი გეგმა ,ვფიქრობ, არ შეიძლებოდა იმის მოთხოვნა,—რომ მე ჩემს მოხსენებაში შევჩერებულიყავი ისეთ შედარებით კერძო საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, საკითხი—როგორია არხანგელსკის გუბერნიის განვითარების პერსპექტივები. ამიტომ მე დავკმაყოფილდი საერთო საკითხებით.

პურის დამზადებების საკითხი

კამათის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აქ გამოსული ორატორები საკმაო ყურადღებას არ აქცევდენ მიმდინარე წლის კონიუნქტურის საკითხებს. მე თავის მოხსენებაში აღვნიშნე, რომ ეხლანდელ სამეურნეო კონიუნქტურიდან საჭიროა გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნები, მახლობელ წლების და მთელი ხუთწლიანი გეგმის მიმართ. ეხლანდელ სამეურნეო მდგომარეობაში არსებული ძირითადი დაბრკოლებები შეეხება არა მთელს საქონლის ბრუნვას ქალაქსა და სოფელს შორის, არამედ მის ნაწილს, სახელდობრ, პურის დამზადებას. მაგრამ ეს კერძო დაბრკოლება შეიძლება გადაიქცეს საერთო სამეურნეო კრიზისად, ვინაიდან, თუმცა პურის რეალიზაცია შეადგენს გლეხობის მთელი ფულადი შემოსავლის 20 პროცენტს, მაგრამ პურის მომარაგების კრიზისი, რომ ადგილი ექნეს მას, აუცილებლად ზიანს მიაყენებს მრეწველობის ნედლეულის ბაზისს. თუ ჩვენ ვერ შევძლებით პურის მიწოდება ბამბის, სელის და ხე-ტყის დამამზადებელ რაიონებისათვის, ეს უდიდეს ზიანს მიაყენებს ისეთ სამეურნეო ელემენტებს, რომლებისაგან დამოკიდებულია მთელი მეურნეობის მდგომარეობა ასეთ მდგომარეობიდან შეიძლება წარმოიშვას საერთო სამეურნეო დაბრ-

(გაგრძელება იხ. მე-4-ე გვერდზე)

კოლებზე. ცვლილებები, რომლებიც ეხლა ხდება სასოფლო მეურნეობაში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გატარებასთან და მრეწველობის ნედლეულის ბაზისის გაფართოებასთან დაკავშირებით, ესაჭიროება სახელმწიფოს მხრივ მებამბეობის, სელის წარმოების, მესაქონლეობის განვითარების და სხვ. წაქეზების პოლიტიკას. ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც აძლიერებს მრეწველობის ნედლეულის ბაზისის განვითარებას, არის ტექნიკურ კულტურათ რაიონებისათვის, სელის, ბამბის და სხვ. რაიონებისათვის იაფფასიანი პურის მიწოდება საკმაო რაოდენობით. ტვერის ან სმოლენსკის გუბერნიის გლეხი, მაგალითად, სელს დასთესავს მხოლოდ იმ პირობით, თუ ის უზრუნველყოფილია პურით, ისეთ ფასებში, რომლებიც მომგებიანად ხდის სელის წარმოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, როგორც ეს დაგვანახვა სამხედრო კომუნიზმის პერიოდის გამოცდილებამ, სელს მოსპობს და პურის თესვას, სწორედ ასევე უზბეკისტანის დეხკანებს მებამბეობის განსავითარებლად სჭირდებათ იაფფასიანი პურის შეზიდვა შუა აზიაში. ამრიგად, მრეწველობის ნედლეულის ბაზისის განვითარება მჭიდროთ დაკავშირებულია პურეულის წარმოების გადიდების საკითხთან და ამ პურის ტექნიკურ კულტურის რაიონებში ხანგის დაუბრკოლებლივ მიწოდებასთან. ამიტომ მე კიდევ ერთხელ მიუთითებ საფრთხეზე, რომელიც დაკავშირებულია პურის დამზადების მსვლელობასთან, საფრთხეზე, რომელიც უნდა მოვსპოთ რაც შეიძლება საჩქაროდ. თვით ხუთწლიან გეგმაში კი გათვალისწინებული უნდა იქნეს დამატებითი ზომები ხორბლეულის კულტურის განსავითარებლად. თუ ის კერძო დაბრკოლებები ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის სფეროში, რომელსაც ჩვენ განვიცდით ამჟამად და რომელიც ჯერ-ჯერობით ეხება მხოლოდ პურის დამზადებას, შემდეგში განვითარდა, ისინი უდიდეს ზიანს მიაყენებენ მთელს სახალხო მეურნეობას და ჩაშლიან სამეურნეო განვითარების ხუთწლიან გეგმას. პურეულის კულტურების და პურის დამზადების საკითხის უდიდესი მნიშვნელობის გამო, მოვიყვან კიდევ ორ ციფრს სათეს სივრცეების შესახებ საბჭოთა რუსეთის პურის რაიონებში. ამ რაიონებში (ციმბირი აქ არ შედის) მარცვლეულ კულტურების სათესი სივრცე 1916 წელს შეადგენდა 86 მილიონ დესეტინას. ხოლო 1926—27 წ. მხოლოდ 80 მილიონ დესეტ. მართალია სათესი სივრცე ამ რაიონებში დაახლოვებით უდრის 1916 წელში არსებულ სივრცეს, მაგრამ მარცვლეულ კულტურების სათესი სივრცე 6 მილიონი დესეტინით ნაკლებია 1916 წელთან შედარებით.

მსუბუქი და მძიმე ინდუსტრიის განვითარება

ეს საკითხები მრეწველობის ნედლეულის ბაზისის განვითარებისა და ქვეყნის პურით უზრუნველყოფის შესახებ მჭიდროთ დაკავშირებულია მსუბუქ ინდუსტრიის განვითარებასთან. მსუბუქ ინდუსტრიაზე გადადებულ თანხების გადიდების მომხრეები ფარულ ფორმებში მისაყვედურებენ, რომ მე სათანადოთ არ ვაფასებ მსუბუქ ინდუსტრიის მაქსიმალურ კაპიტალურ მშენებლობის აუცილებლობას. დღემდე მსუბუქ ინდუსტრიის ლიმიტს, როგორც ლაპარაკობენ ამჟამად, წარმოადგენდა არა ფაბრიკების რაოდენობა და მათი მოწყობილობის მდგომარეობა, არამედ ნედლეულის ნაკლებობა; სწორედ ნედლეულის ეს ნაკლებობა აბრკოლებდა უმთავრესად მსუბუქ მრეწველობის გაძლიერებულ განვითარებას. ამ მრეწველობის შემდგომი განვითარება მჭიდროთ არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენი ექნება სახელმწიფოს და მრეწველობას ბამბა, მატყლი და ტყავი. ამ კულტურების შემოზიდვა საზღვარგარეთიდან, როგორც ამას ვაწარმოებთ დღემდე ფართო მასშტაბით, არ შეიძლება ჩაითვალოს მთავარ წყაროდ ჩვენი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის საქმისათვის. ჩვენი მრეწველობა ნედლეულით უნდა უზრუნველვყოთ უმთავრესად საშინაო ბაზრის საშუალებით. მრეწველობის უფრო ჩქარი განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე უნდა შევქმნათ ნედლეულის ფართო ბაზისი. ამ მიზნით საბჭოთა კავშირში ნედლეულის მეურნეობის პროდუქციაზე ვაწესებდით უფრო მაღალ ფასებს, ვიდრე პურზე. და ნედლეულის კულტურების განვითარების დარგში მივაღწიეთ მეტად მნიშვნელოვან შედეგებს. მაგრამ პურის დამზადების კამპანიის მსვლელობა ნოემბერში გვეუბნება, რომ ჩვენ შეიძლება დავმარცხდეთ არა მარტო საექსპორტო გეგმის შესრულების ასპარეზზე, არამედ ჩვენი მრეწველობის ნედლეულის ბაზისის დარგშიაც.

უკვე მიღებულ მიღწევათა განსამტკიცებლად, ტექნიკური კულტურების განავითარებლად და მრეწველობის უზრუნველსაყოფად ნედლეულით, საჭიროა გაძლიერდეს მარცვლეულის კულტურების წარმოება და სისტემატიურად, ყოველწლიურად უნდა ვითარდებოდეს ჩვენი პურის დამზადების საქმე.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს დამოკიდებულებათა ჯაჭვი: მსუბუქი მრეწველობის ზრდა დიდათაა დამოკიდებული ამ მრეწველობისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა ჩვენ პურის საკმაოდ ხელმისაწვდომ ფასებში მიცემას სელის, ბამბის და სხვა ნედლეულის მწარმოებლთათვის.

მოხსენების შემდეგ მე მივიღე ბარათი, რომელშიც ნათქვამია, რომ დირექტივაში ხუთწლიანი გეგმის შესახებ საჭიროა უფრო გარკვევით აღნიშვნა იმის, რომ მძიმე მრეწველობას არ შეუძლია მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე განვითარება.

რას ნიშნავს ეს? ეს მხოლოდ იმას შეიძლება ნიშნავდეს, რომ ბარათის ავტორს სურს, რომ ყრილობამ აკრძალოს საშუალებების გადანაწილება მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მეჩვენია, რომ ამ დირექტივის მიღება არ შეიძლება ისევე, როგორც დირექტივის, რომელიც კრძალავს საშუალებების გადანაწილებას სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შორის. რატომ არ შეიძლება უკვე ეხლავე უარის თქმა საშუალებების გადანაწილებაზე სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შორის?

იმიტომ, რომ მრეწველობის განვითარების თანამედროვე პირობებში, იმ ხვედრითი წონის დროს, რომელიც მას აქვს ჩვენი ქვეყნის მთელს ეკონომიკაში, თვით მრეწველობის შიგნით ჩვენ არ შეგვიძლია გამოვნახოთ საკმაო საშუალებები, რათა უზრუნველვყოთ ინდუსტრიალიზაციის საჭირო ტემპი, რომელიც ამჟამად დაკავშირებულია მთელი მეურნეობის განვითარებასთან საერთოდ, მათ რიცხვში სასოფლო მეურნეობის განვითარებასთანაც, რაიც შეუძლებელია მანქანებისა, მიწის სახნისა და სამრეწველო საქონლის მოუმარაგებლად. ამიტომ ამჟამად აუცილებელია საერთო-სამეურნეო რესურსების გადანაწილება მრეწველობის სასარგებლოდ.

მომავალში, როცა მრეწველობა უფრო მაღალ დონეს მიაღწევს, შესაძლებელი იქნება სასოფლო მეურნეობისათვის დახმარება მრეწველობის ხარჯზე. თვით მრეწველობის შიგნითაც ვერ ვიტყვით უარს საშუალებების ერთი ნაწილის მსუბუქ მრეწველობიდან მძიმე მრეწველობაში გადატანაზე. მსუბუქი მრეწველობა უკვე დიდიხანია მომგებიანია, მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგები კი დღემდე ან საზარალო იყო ან და მოგების მცირე დონით ხასიათდებოდა. სამრეწველო რესურსების გაფართოების მთავარ წყაროს ჩვენში მსუბუქი ინდუსტრია წარმოადგენს. დირექტივის მიღება მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიას შორის საშუალებების აკრძალვის შესახებ დიდათ საზარალო იქნებოდა მძიმე ინდუსტრიისათვის და, მაშასადამე, მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მთელი საქმისათვისაც, რადგან მთელი მეურნეობის განვითარება ამ სტადიაში დიდათაა დამოკიდებული მძიმე ინდუსტრიისა და, კერძოდ, მანქანათმშენებლობის განვითარებისაგან. როგორ ნაწილდება ამჟამად კაპიტალური ხარჯები მსუბუქ და მძიმე ინდუსტრიას შორის? მე ხელთ არა მაქვს სწორი ციფრები, მაგრამ, რამდენადაც მახსოვს; ყოველ კაპიტალური ხარჯების დაახლოვებით ორი მესამედი ხმარდება მძიმე ინდუსტრიას.

მე ჩემს მოხსენებაში უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ეხლანდელ დასაწყის ეტაპზე, როცა აუარებელ თანხებს ვხარჯავთ კაპიტალურ სამუშაოებზე და ჯერ კიდევ ვერ ვიღებთ საქონლის მასის სათანადო მატებას,—ჩვენ არ შეგვიძლია მთელი წლის განმავლობაში სავსებით დავაკმაყოფილოთ მოთხოვნილება ყველა საქონელზე. ცალკე მომენტებში შესაძლოა ამა თუ იმ საქონლის ნაკლებობა. მაგრამ ამ ნაკლებობამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიგვიყვანოს საქონლის კრიზისის ისეთ გამწვავებამდე, რომელიც საქონლის ბრუნვის კრიზისს გამოიწვევს. მსუბუქი მრეწველობა უნდა განვითარდეს ისეთი ტემპით, რომ უზრუნველყოფილი იქნას, ჯერ ერთი, საქონლის ბრუნვის ზრდა ქალაქსა და სოფელს შორის, და, მეორე, მუშურ-გლეხური მასების საარსებო დონის აწევა. სხვა კრიტერიუმი მძიმე და მსუბუქი ინდუსტრიის განვითარების ტემპის შეფარდებისათვის, ჩემის აზრით, არ არსებობს.

ამხ. სოკოლნიკოვმა დაივიწყა

მე არ ვეთანხმები ინდუსტრიალიზაციისა და სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხის ისეთ დასმას, როგორც ამხ. სოკოლნიკოვმა დასვა. მან სთქვა: „ის საერთო საზღვარი, რომელიც დაედება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის გაფართოებას უახლოესი პერიოდის განმავლობაში, ის საერთო საზღვარი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობას, რაიც სოციალიზმისაკენ ჩვენი წინსვლის ძირითადი კანონია, ეს საერთო საზღვარი არის ჩვენი სასურსათო და ნედლეული რესურსების ზრდა, რომელიც ექნება ჩვენს მეურნეობას ამ პერიოდის განმავლობაში. მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაკმაყოფილებულ იქნება მარტივი პრიმიტიული მოთხოვნილებანი, ამ საფუძველზე, ამ ბაზარზე შეიძლება გადავიდეთ ტექნიკის გაუმჯობესებაზე, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კაპიტალის გადიდებაზე და ტექნიკური დონის აწევაზე“-ო.

მე მგონია, რომ ამხ. სოკოლნიკოვმა ცოტა დაივიწყა. ვლადიმერ ილიჩი დაახლოებით ამასვე ამბობდა სამხედრო კომუნიზმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის დროს (ხმა: „1922 წელში!“). მაშინ, 1922 წელში ვლადიმერ ილიჩი ამბობდა, რომ პირველ რიგში აუცილებელია შევქმნათ ნედლეულის და სასურსათო ბაზა მრეწველობისათვის. ერთ ერთი მნიშვნელოვანი საშუალება ამისათვის იყო მსუბუქი ინდუსტრიის დაჩქარებით განვითარება, რომელსაც ჩვენ ნეპის პირველ პერიოდში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით, რომ მისი ზრდის საფუძველზე გაგვეძლიერებია სამრეწველო საქონლის მიწოდება სოფლისათვის. მე ვფიქრობ, რომ ელემენტარული წინასწარი პირობები ტექნიკის გასაუმჯობესებლად, ჩვენი ქვეყნის ძირითადი კაპიტალის გასადიდებლად და ტექნიკური დონის ასაწევად, ამ ჟამად თითქმის უკვე შექმნილია. ეხლა საკითხი მდგომარეობს არა იმაში, რომ უზრუნველვყოთ,—როგორც ამბობს ამხ. სოკოლნიკოვი,—„მარტივი, პრიმიტიული მოთხოვნილებანი“,—ეს განვლილი ეტაპია. საკითხი მდგომარეობს იმაში, რომ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული შედეგებიდან ფართო ფრონტით გადავიდეთ იმისაკენ, რასაც ამხ. სოკოლნიკოვი სახავს მომავლის ამოცანად და რაიც, ჩემის აზრით, აწმყოს ეკუთვნის. „ჩვენი ქვეყნის ტექნიკის გაუმჯობესებისა და ძირითადი კაპიტალის გადიდება“ ამხ. სოკოლნიკოვი მომავლის ამოცანად სთვლის. ნამდვილად კი ეს ამოცანა მთელი სიგრძე-სიგანით ეხლავე დგას ჩვენს წინაშე. ამგვარად, განსხვავება მდგომარეობს შეფასებაში ჩემსა და ამხ. სოკოლნიკოვს შორის „დროის“ საკითხში. (ხმა: „იგი ჩამორჩა!“). იმას, რასაც იგი აკუთვნებს აწმყოს, მე უმთავრესად ვაკუთვნებ წარსულს, იმას, რასაც ის აკუთვნებს მომავალს, მე ვაკუთვნებ აწმყოს.

კაპიტალურ მშენებლობის ნაკლოვანებანი

ეხლა გადავდივარ სხვა საკითხებზე, რომლებსაც შეეხენ ჩემი მოხსენების გარშემო გამართულ კამათში. კამათში დიდი ყურადღება მიაქციეს კაპიტალური მშენებლობის ნაკლოვანებებს. ამ ნაკლოვანებებზე მე ბევრი ვილაპარაკე ჩემს მოხსენებაში, ამიტომ ჩემი მოხსენების „ტონი“ კრიტიკული იყო. ეს განსაკუთრებით იმიტომ მოხდა, რომ მე სრულიად არ მილაპარაკნია იმ უდიდეს მიღწევებზე, რომლებიც, მიუხედავად ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა, მაინც გვაქვს მეურნეობის დარგში. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი წარმატებანი ცნობილია არა მარტო ყრილობის ყოველი წევრისათვის, არამედ ყოველი მუშისა და გლეხისათვის, საბჭოთა კავშირის ყოველი მოქალაქისათვის, იგი ცნობილია აგრეთვე საზღვარ-გარეთაც. ამიტომ ზედმეტად ვსთვლი დავასურათო თქვენს წინაშე ის უდიდესი მუშაობა, რომელიც პარტიის ხელმძღვანელობით ჩაატარეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში. ამ თემას მე პირადად ყრილობამდე უძღვენი რამოდენიმე მოხსენება და მას ამომწურავად ვსთვლი. ეხლა უფრო მიზანშეწონილია ყურადღება მივაქციოთ სწორედ ჩვენს ნაკლოვანებებს, ფართოდ გავამუქოთ ისინი, გავაკრიტიკოთ, რომ რაც შეიძლება მალე აღმოვფხვრათ. შეცდომა იქნებოდა, რომ ამ კრიტიკაში დაგვენახა გალაშქრება სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ. პარტია და მუშათა კლასი სამეურნეო სამუშაოზე აყენებს თავის საუკეთესო მუშაკებს. სამეურნეო მუშაობას პარტია, რასაკვირველია, პარტიის წევრთა ამა თუ იმ ნაწილის საქმედ არ სდის. სოციალისტური მეურნეობის მშენებლობა—მთელი პარტიის, მთელი მუშათა კლასის საქმეა (ტაში, ხმები: „მართალია!“). ჩვენი სამეურნეო მუშაობის კრიტიკა არ არის სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ მიმართული კრიტიკა — ეს არის მთელი პარტიის თვითკრიტიკა, სამეურნეო მუშაობის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სიძნელის გამო ეს კრიტიკა ამ ჟამად აუცილებელია.

ახალი აღმშენებლობის დარგში დაშვებული შეცდომების ცალკე მაგალითების გამო, რომელიც მე მოვიყვანე, მოყვანილ იქნა საწინააღმდეგო მოსაზრებანი. მე ვშიშობ, რომ ეს მოსაზრებანი ნაკარნახევი იყო საქმის არა არსებითი მხარით. ნაკლოვანებათა დასახათებაში ზოგიერთები ხედავენ „თავდასხმას“ ამა თუ იმ ორგანიზაციაზე. მე აღვნიშნე, რომ ბალახანის ელექტრო-სადგურის ნახევარზე ნაკლებად არის დატვირთული. ამხ. [illegible] გამოდის ამ ტრიბუნაზე და გვამშვიდებს, რომ 1928 წლის განმავლობაში სორმოვის ქარხანა იქნება გადაყვანილი ამ სადგურის ენერგიაზე და მაშინ ეს სადგური სავსებით იქნება დატვირთული. განა ეს ჩემი შენიშვნის გაბათილებაა? სადგური ხომ 1925 წელში, ორი წლის წინედ გახსნეს. სორმოვის ქარხანა კი ძველი ქარხანაა და მრავალი ათეული წლის განმავლობაში არსებობდა ბალახანის სადგურის გახსნამდე. რატომ დღემდე არ გადაიყვანეს ეს ქარხანა ამ სადგურის ენერგიაზე განა ეს შედარებით ხარჯი არ არის, განა ეს უყაირათობა არ არის, როცა სადგური ნახევრადაა დატვირთული, და ამავე დროს არსებობს ელექტრონის ენერგიის მომხმარებელი — ქარხანა, რომელიც მთელი წლების განმავლობაში არ გადაჰყავთ ამ სადგურის ენერგიაზე. ჩემი აზრის უარყოფას შეეცადა ამხ. ელიავა. მან სთქვა, რომ ამიერ-კავკასიაში რამდენიმე ხნის განმავლობაში დაამთავრებენ ქარხნის აშენებას ზემო-ავჭალის სადგურისათვის, რომელიც უკვე აგებულია. მე ეჭვი არ შემდის იმაში, რომ ეს როდისმე მოხდება, რომ ადრე თუ გვიან ზემო-ავჭალის სადგური შესძლებს თავისი ოთხი ტურბინის გამოყენებას. მაგრამ ეს არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ამჟამად იგი მხოლოდ 20 პროცენტით არის დატვირთული. ჩემის აზრით, შეუძლებელია ასეთი მოვლენების გამართლება გეგმიანი მეურნეობის პირობებში.

ძალიან ბევრი მაგალითები გვაქვს იმისა, რომ ცუდად იყო შედგენილი ახალი წარმოებების პროექტები, ცუდად არის დაყენებული მუშაობა ახალი მოწყობილობების ასაგებად და, დაბოლოს, საკმაოდ არ არის გამოყენებული ის, რაც უკვე აშენებულია. ასეთი მაგალითები ჩემს გარდა მოიყვანა ამხ. კუიბიშევმა, მოიყვანეს სხვა ორატორებმაც. იმის გამო, რომ პირვანდელი გეგმის მიხედვით, ამა თუ იმ ქარხნების ასაგებად ნავარაუდევი გვქონდა 3 მილიონი მან. დახარჯვა, და შემდეგ მუშაობის პროცესში ირკვევა, რომ ამ ქარხნის აგება დაჯდება არა 3, არამედ 5—6 მილიონი მანეთი, ჩვენ დიდი ფინანსიური დაბრკოლებები გვხვდება. კაპიტალური ხარჯები ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევია 25 მილიარდი მან. რაოდენობით (მეურნეობის ყველა დარგებში სახელმწიფო სექტორით, ოპტიმიური ვარიანტით). ამასთან ერთად მხედველობაში არის მიღებული, რომ ამ თანხებით აგებულ იქნება ახალი ქარხნები, რკინიგზები, ელევატორები და სხ. განსაზღვრული რაოდენობა. დაუშვათ, რომ შენების პროცესში ყველა ეს ქარხნები, რკინიგზები, ელევატორები და სხ. დაჯდა 1 ნახ.—2 ჯერ მეტი. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად ჩვენ უნდა დავხარჯოთ არა 25 მილიარდი მან., არამედ 1 ნახ.—2-ჯერ მეტი, ე. ი. 40—50 მილიარდი მან. მილიარდები ქუჩაში არ ყრია. ეს ნიშნავს ხუთწლიანი გეგმის ჩაშლას, ვინაიდან ჩვენ ან უნდა გამოვნახოთ ახალი ათეული მილიარდები, ე. ი. უფრო მეტად გავაძლიეროთ თანხების ამოღება ნაციონალური შემოსავლიდან (ეს კი შეუძლებელია) ან შევაწყვეტინოთ დაწყებული სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი.

სამეურნეო მუშაკები ხშირად სჩივიან, რომ ახალ მშენებლობას თავის დროზე არ აწვდიან ფინანსებს. მე მინდა ვიხილო ისეთი ბრძენი, რომელიც კაპიტალურ მუშაობათა გეგმის დამტკიცების შემდეგ—20—25 მილიარდი მან. რაოდენობით, შესძლებს თავის დროზე მიაწოდოს ფინანსები ამ გეგმის „შესასრულებლად“.

წარმოებულ სამუშაოებს, რომელნიც ჯდება 40—50 მილიარდი მან. ([illegible]) რომ მშენებლობის [illegible] „მართალია, დიახ, სცადეთ“!). ის გარემოება, გეგმით დასახულ თანხას, აიხსნება საქმისადმი არაჩვეულებრივად ზერელე დაუდევარი მოპყრობით. ფიქრობენ, რომ რადგან მიიღებ თანხმობა ამხ. რიკოვისაგან და მისი დახმარებით მიიღებ შრომისა და თავდაცვის საბჭოს ნებართვა, ახალ მშენებლობაზე პირველი სართულისათვის დახარჯავენ მთელ თანხას, და იმედი აქვთ, რომ თანხებს დანარჩენი სართულების ასაშენებლად აუცილებლად მისცემენ. (სიცილი). თუ არ გვინდა ხუთწლიანი გეგმის ჩაშლა, აუცილებელია ბოლო მოუღოთ ასეთ მოვლენებს.

საჭიროა, რომ მე-15 ყრილობიდან დაწყებული ყველა გამოდიოდეს იმ თვალსაზრისიდან, რომ ასეთ განსხვავებას მშენებლობის ხარჯთაღრიცხვასა და მის ფაქტიურ ღირებულებას შორის პარტია ბოროტმოქმედებად ჩასთვლის და ამისათვის სამართალში მისცემს ხოლმე. (ტაში).

უნდა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა

ორიოდე სიტყვა ჩვენი სამეურნეო მუშაკების პასუხისმგებლობის შესახებ ნაკისრი სამუშაოს გამო.

პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ პარტიის ყრილობებმა და ცენტრალური კომიტ. ბევრი გადაწყვეტილება გამოიტანეს მაგრამ მიუხედავად ამისა,მე დღევანდლამდე ხშირად ვერ ვპოვვი ხოლმეიმას, ვინც მაგრამ მიუხედავად ამისა, მე დღევანდლამდე ხშირად ვერ ვპოვვი ხოლმე იმას, ვინც ნამდვილად პასუხს აგებს ამა თუ იმ სამუშაოსათვის. სამეურნეო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობის სათავეში ამჟამად კომუნისტები დგანან, უმეტეს მათგანს არა აქვთ ტექნიკური განათლება და საკმაო ტექნიკური ცოდნა. მიუხედავად ამისა, მათ ხშირად მიაჩნიათ შესაძლებლად, რომ იკისრონ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ სპეციალური ტექნიკური საკითხების გადაწყვეტაში. მე ვფიქრობ, რომ ეს საუკეთესო მეთოდია, რათა საქმეში სრული უპასუხისმგებლობა შევიტანოთ. ევროპისა ან ამერიკის ყოველ ქვეყანაში ამა თუ იმ ტექნიკური პროექტისათვის პასუხს ტექნიკოსები აგებენ. ჩვენში პასუხისმგებლობა გადატანილია კომუნისტ-ხელმძღვანელებზე. ისინი ყველაფერს ხელს აწერენ და ამით სრული უპასუხისმგებლობა შეაქვთ თავის ორგანიზაციაში. სამეურნეო მუშაკმა—ხელმძღვანელმა საქმე ისე უნდა მოაწყოს, რომ ტექნიკის საქმეში პასუხს ტექნიკოსი აგებდეს. რომ ფაბრიკის აგების გეგმისათვის, რომელიც დასამტკიცებლად უმაღლეს ორგანოებს წარედგინებათ ხოლმე, პასუხს აგებდეს ის ტექნიკოს-სპეციალისტები და პროფესორი, ვინც გეგმა შეადგინა. სპეციალისტის სახელი, მამის სახელი და გვარი პროექტში უნდა იყოს აღნიშნული. (ხმები: „მართალია“). ჩვენში ახლა ფეხი მოიკიდა მეტად მავნე ჩვეულებამ: ჩვენი პასუხისმგებელი მუშაკები, მათ შორის, სახალხო კომისრებიც,სხვისას ძალიან ბევრ რამეს აწერენ ხელს, თავისი კი ძალიან ცოტა შეაქვთ. (ხმები: „მართალია“. ტაში). საქმეთა მმართველების, მდივნების, მეცნიერ და არა-მეცნიერ სპეციალისტებისა და მოადგილეების მთელი სისტემა ხელისმოსაწერად წარუდგენენ ხოლმე ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკს აუარებელ ქაღალდებს. ასეთი მუშაკი შემცდარია, თუ ფიქრობს, რომ დიდ საქმეს აკეთებს, როცა ზის და სათავეში უდგია ქაღალდების საქმის წარმოების მთელ კონვეიერულ სისტემას, თანაც შტემპელებს არტყამს ხელისმოსაწერად წარდგენილ დადგენილებათა, დასკვნათა და მიმართვათა პროექტებს. (სიცილი). ფაქტიური უპასუხისმგებლობის გარდა ასეთი წესისაგან არაფერი გამოსულა და არც არაფერი გამოვა. (ხმები: „მართალია“, ტაში). თვითეული პასუხისმგებელი მუშაკი, თვითეული მუშაკი საერთოდ, უნდა შევაფასოთ არა სხვების აზრებისა და წინადადებათა რაოდენობის მიხედვით, რომლებსაც ის მექანიკურად ხელს აწერს, არამედ იმისი მიხედვით, თუ რამდენი შეაქვს საქმეში თავისი საკუთარი რამ, როგორ დარაზმა მუშაობისათვის თავისი თანამშრომელნი, რა პასუხისმგებლობა დააკისრა თვითეულ მათგანს. (ხმები: „მართალია“, ტაში).

დასასრულ, კიდევ რამდენიმე სიტყვა ხუთწლიანი გეგმისა და სოციალისტური მშენებლობის ტემპის შესახებ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხუთწლიანი გეგმის ამოცანა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ საუკეთესო შეფარდება დამყარდეს მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებაში სოციალისტური მშენებლობის მიზნით, არამედ იმაშიაც, რომ ეს ხუთწლიანი გეგმა უნდა იყოს და აუცილებლად გადაიქცევა კიდეც ჩვენი ქვეყნის არა მარტო სამეურნეო, არამედ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდ ორგანიზაციულ საფუძვლად. ხუთწლიანი გეგმა სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტი პროგრამაა. ისეთი პროგრამა, რომლის გარშემოც უახლოესი წლების მანძილზე ყველა ძალებისა და ყველა საშუალებების მობილიზაცია უნდა მოხდეს. რაც შეეხება სამეურნეო განვითარების პროგრამას, ცხადია, რომ მისი ციფრობრივი გამოხატულება მეტის მეტად პირობითია. საჭიროა იმ თვალსაზრისიდან გამოვდიოდეთ, რომ დღევანდელი დღის სამეურნეო სინამდვილის პირობებში ჩამარხულია იმის შესაძლებლობა, რომ სოციალისტური მიმართულებით ჩვენმა სამეურნეო განვითარებამ სხვადასხვანაირი ტემპს (ცოტად თუ ბევრად სწრაფს) მიაღწიოს. ჩვენ ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული; რომ ჩვენს პირობებში მეურნეობის განვითარების ტემპი დიდად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მუშაობის ღირსებაზე.

ამიტომ აქ თვითკრიტიკა განსაკუთრებით არის საჭირო. მე-15 ყრილობამდე ჩვენ მოვედით დიდი მიღწევებით მეურნეობის დარგში, მაგრამ არა მგონია სადავო იყოს, რომ უკეთესი მუშაობით შეგვეძლო უფრო მეტი წარმატება მოგვეპოვა. მაგალითად, აქ ამხ. ლობოვი ამბობდა: ტყუილად აკრიტიკებენ ვოლხოვის სადგურის აგებას, ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ვოლხოვის სადგური უდიდეს წარმატებას წარმოადგენს ელექტროფიკაციის დარგში. უდიდესი წარმატება ელექტროფიკაციის დარგში—ეს სრულიად უეჭველია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ამ წარმატების მოპოვება შეიძლებოდა ნაკლები თანხების დახარჯვით, ვიდრე ეს ნამდვილად მოხდა, ჩვენი ელექტრო-სადგურები დაათვალიერეს ამერიკელმა ინჟენრებმა. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ მათ კარგი აზრი გამოსთქვეს ამ სადგურების შესახებ. თანაც დაუმატეს, რომ საბჭოთა კავშირის ზოგიერთი ელექტროსადგურები „სიმფონიას“ წარმოადგენენ, მაგრამ ოღონდ ამერიკელებისათვისაც ეს „სიმფონია“ ძალიან ძვირია. საჭიროა, რომ შემდეგ საბაბი აღარ მივცეთ ასეთი ქებისათვის.

სოციალისტური მშენებლობის ტემპი

განვითარების რანაირ ტემპს მივაღწევთ უახლოესი წლების მანძილზე? ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის პირობებში, ესეც, ვიმეორებ; დიდად დამოკიდებული იქნება იმაზე თუ რანაირ უნარსა და ცოდნას გამოვიჩენთ მთელი მეურნეობის ორგანიზაციის დარგში მუშათა კლასის, გლეხთა ფართო მასების და მთელი მშრომელი მოსახლეობის ორგანიზაციის საქმეში სოციალისტური აღმშენებლობის მიზნით.

საჭიროა, რომ ამ მუშაობის პროცესში ყურადღება მივაქციოთ თვითეულ ჩვენს შეცდომას, გაკვეთილად გამოგვადგეს ეს შეცდომები, გამოვასწოროთ ისინი, არ გავიმეოროთ იგივე შეცდომები მუშაობის სხვა დარგებში. მაშინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენ მაქსიმალურ ტემპს მივაღწევთ. (ხანგრძლივი ტაში. ფეხზე წამომდგარი დელეგატები სალამს უძღვნიან ამხ. რიკოვს).

კომისიის არჩევა

რეზოლიუციის შესამუშავებლად ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენებათა გამო

ამხ. კრჟიჟანოვსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ, საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. რიკოვი. შემდეგ ყრილობა, როგორც საფუძველს, ერთხმად ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტის თეზისებს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. რეზოლიუციის შესამუშავებლად ამხ. რიკოვისა და კრჟიჟანოვსკის მოხსენებების გამო ყრილობა ირჩევს კომისიას 48 კაცის შემადგენ. შემდეგ ყრილობა ერთხმად იღებულობს რეზოლიუციას ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ანგარიშის შესახებ. სხდომა სწყდება მეორე დღემდე.

საღამოს სხდომა 15 დეკემბერს არ შემდგარა.

ყრილობის დღიური

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 19 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობაზე გამოქვეყნდა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტისა და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის არჩევნების შედეგები.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. რიკოვი, რის შემდეგ ყრილობა დაიხურა. (ადს).

მზადება საარჩევნო კამპანიისათვის

(სამაზრო აღმასკომების ორგან. განყოფილებათა გამგეების თათბირი)

გუშინ 19 დეკემბერს საღამოს საქართველოს ცაკის თავმჯდომარეს კაბინეტში ამხ. შ. მათიკაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს სამაზრო აღმასკომების ორგანყოფილებათა გამგეების თათბირი, რომლის დღის წესრიგში დასმული შემდეგი საკითხები: 1) 1927-28 წლის საბჭოების გადარჩევის კამპანია, 2) საბჭოების კომისიების (სექციების) დებულების პროექტის განხილვა, 3) მოხსენებები ადგილებიდან, 4) საორგანიზაციო განყოფილების მორიგი ამოცანები და მუშაობა.

1927-28 წლების საარჩევნო კამპანია

მომხსენებელი ამხ. ხოშტარია

მომავალი საარჩევნო კამპანიის მიზანს,—განაცხადა მომხსენებელმა,—შეადგენს საბჭოების კიდევ უფრო მეტი გამოცოცხლება, მშრომელთა ყველა ფენების აქტივობის გადიდება, საბჭოებში პროლეტარული ხელმძღვანელობის განმტკიცება, ღარიბი გლეხობის საშუალო შეძლების გლეხობასთან კიდევ უფრო მეტი შეკავშირება, მოჯამაგირეების მეტი რიცხვის ჩაბმა საბჭოების მუშაობაში, მშრომელთა ყურადღების გაძლიერება ქვეყნის თავდაცვის ,ინდუსტრიალიზაციის, სახელმწიფო აპარატის განმარტივების საკითხებისადმი. ეს ამოცანა შესრულებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ გათვალისწინებული იქნება წარსული წლების არჩევნების დროს, განსაკუთრებით კი 1927 წლის არჩევნების დროს შემჩნეული დეფექტები, რომელთაგან მომხსენებელი აღნიშნავს შემდეგს: საარჩევნო ინსტრუქციისათვის გვერდის ახვევას, რასაც ზოგ შემთხვევაში შედეგად მოჰყვა საშუალო შეძლების გლეხებისათვის საარჩევნო უფლების ჩამორთმევა, საარჩევნო კამპანიაში მოჯამაგირეების არასაკმაოდ ჩაბმა, პროფესიონალურ, კოოპერატიულ ორგანიზაციების, გლეხკომების, ქალთა სადელეგატო კრებების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების სუსტი მონაწილეობა არჩევნებში და სხვა. შემდეგ მომხსენებელი თათბირს აცნობს საარჩევნო კამპანიის გეგმას. საარჩევნო კამპანია დაყოფილია სამ პერიოდათ. პირველ პერიოდში, რომელიც 20 იანვრისთვის უნდა დამთავრდეს, იწარმოებს ორგანიზაციულ-ტექნიკური სამზადისი (საარჩევნო კომისიების მოწყობა, საკალენდარო გეგმის შედგენა, ამრჩეველთა და საარჩევნო უფლებამოკლებულთა სიების შედგენა, საარჩევნო უბნების გამოყოფა და სხვა).

მეორე პერიოდში, რომელიც 1-ლი მარტისთვის უნდა დამთავრდეს, ჩატარდება წინასწარი საანგარიშო საარჩევნო კამპანია (მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების გაერთიანებულ კრებები, საშუალო შეძლების გლეხობასთან, ქალთა სადელეგატო, პროფკავშირთა, ყოფილ წითელ არმიელთა კრებები, თემაღმასკომების ფართო საანგარიშო კამპანიების ჩატარება, შავ სიების გამოკიდება, საარჩევნო უბნების ჩაბარება, საარჩევნო ინსტრუქციების და ნაკაზის პროექტების განხილვა, სადეპუტატო კანდიდატების წამოყენება, მათი პერსონალური შეფარდება და სხვა). მომხსენებლის აზრით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არჩევნების ჩატარების ორგანიზაციას ეროვნულ უმცირესობათა შორის.

მესამე პერიოდში: მაზრებში პირველ მარტიდან იწყება არჩევნები და გრძელდება 1-ლ აპრილამდე, ხოლო ავტონომიურ ოლქებში იწყება 1-ლ აპრილს და თავდება 15-ში.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სისტემატიურად უნდა ეგზავნებოდეს ცნობები ადგილებიდან და ქვეყნდებოდეს პრესაში ანგარიშები.

ამხ. ხოშტარიას მოხსენების შემდეგ ამხ. ბირცხალავამ თათბირს გააცნო ახალი სტატისტიკური საარჩევნო ფორმები, რომელთა რიცხვში შედის ამრჩეველთა სახელობითი სიები, საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა სახელობითი სიები, საარჩევნო უწყებები, საარჩევნო ოქმების ფორმები და სხვა. გასულ წელთან შედარებით ფორმების რიცხვი ხუთცალით არის გადიდებული და აღწევს სულ 28-ს.

ამხ. რიჟამაძე ეხება საარჩევნო ინსტრუქციებში შეტანილ ცვლილებებს და ამბობს, რომ ინსტრუქციებში არსებითი ცვლილება არ არის შეტანილი, მხოლოდ უფრო სწორად, უფრო ნათლადაა გარკვეულია ის მუხლები, რომელნიც განსაზღვრავენ ამრჩეველთა და არჩევის უფლებამოკლებულთა წრეს.

სახალხო მსაჯულების არჩევნები

სახალხო მსაჯულების გადარჩევის შესახებ თათბირს მოხსენებას უკეთებს იუსტ. სახკომის წარმომადგენელი ამხ. სიჭინავა. უმაღლესი ორგანოების დადგენილებით,—ამბობს მომხსენებელი,—გადაწყვეტილია, რომ საბჭოთა არჩევნებთან პარალელურად ჩატარდეს სახალხო მსაჯულების გადარჩევა. იმ საარჩევნო კრებებზე საბჭოებში დეპუტატათ ასარჩევ კანდიდატებთან ერთად წამოყენებულ იქნებიან სახალხო მსაჯულების კანდიდატებიც. ოქმები სახალხო მსაჯულთა არჩევის შესახებ უნდა შესდგეს ცალკე. აგრეთვე სახალხო მსაჯულთა არჩევნებს წინ უნდა წაუმძღვაროს სათანადო მოხსენება. საბჭოთა არჩევნებთან სახალხო მსაჯულების გადარჩევა დაკავშირებულია იმ მოსაზრებით, რომ სახალხო სასამართლოების გამრავლების შემდეგ ცალკე არჩევნების ჩატარება დიდ ტექნიკურ სიძნელეს წარმოადგენს, მოითხოვს დიდძალ სახსარს და სხვა.

ამხ. სიჭინავას მოხსენება თათბირმა მიიღო ცნობად.

საარჩევნო კამპანიის შესახებ გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ამხ. ბოჭუა საჭიროდ სცნობს, რომ საანგარიშო კამპანიის დროს მეტი ყურადღება მიექცეს საბჭოების მუშაობის საქმიან კრიტიკას და თავისუფალ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. ამხ. მელნიკოვი წინადადებას იძლევა, რომ ამრჩევლებს უწყებები დაეგზავნოს ორჯერ. ერთხელ საანგარიშო კრებებზე მოსაწვევად და მეორედ საარჩევნო კრებაზე. ამხ. ტაბიძე მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს საქართველოში ქალთა წამოყენებას არჩევით თანამდებობაზე. იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანში საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია 23 ქალი, საქართველოში საბჭოს თავმჯდომარედ არც ერთი ქალი არ არის არჩეული. ამ მოვლენას ორატორი ხსნის ერთგვარი გაუბედაობით და იმის შიშით, თითქოს ქალები საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აქტივობას ვერ გამოიჩენენო. ამხ. ქურულორია აღნიშნავს, რომ გასულ წელს სათანადოთ შესწავლებული არ ყოფილა მოქალაქეთა უფლებებში აღდგენის საკითხი. ცენტრი, რომელსაც ევალება მოქალაქეთა უფლებების აღდგენა, ხშირად პასუხსაც არ იძლეოდა ამ საქმეზე ადგილებიდან წარმოდგენილ შეკითხვებზე. ამხ. შაველაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რაჭის მაზრაში, ამრჩეველთა დიდი ნაწილის მაზრის გარეთ ყოფნის გამო, შეუძლებელი ხდება ამრჩეველთა მინიმუმის შეკრება. ამიტომ მოითხოვს მაზრისათვის შემცირდეს დამსწრეთა ნორმა. ამხ. ანანოვი მიზანშეუწონლად სთვლის ზოგიერთ თემებში სადეპუტატო სიების გამოკვრას. ამხ. კოზაევი ფორმების დაბეჭდვა ადგილებზე მეტად ძნელ განსახორციელებელ საქმედ მიაჩნია.

ამხ. შ. მათიკაშვილი ზედმეტად სთვლის საარჩევნო უწყებების რიცხვის გადიდებას და მოითხოვს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საარჩევნო სამზადისს. ამხ. ტაგიევის წინადადება, რომ სამაზრო საბჭოთა ყრილობის დელეგატები უშუალოდ საარჩევნო კრებებზე იქნეს არჩეული, ამხ. მათიკაშვილს ნაადრევად მიაჩნია. ამხ. შაველაძის საპასუხოთ ამხ. მათიკაშვილი აცხადებს, რომ მაზრის გარეთ მყოფი მოქალაქეები უნდა იქნენ შეტანილი არა იმ კუთხის საარჩევნო სიაში, სადაც ისინი მოსახლეობენ, არამედ იმ ადგილების საარჩევნო სიებში, სადაც ისინი არჩევნების დროს იმყოფებიან.

რეაქციის თარეში კანტონში

მუშტი-კრივი სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

მდგომარეობა ჩინეთში

ხანკოუს საბჭოთა საკონსულოს ბედი

შანხაი, 18 დეკემბერი. ჩინური გაზეთები და რეიტერის სააგენტო იტყობინებიან, რომ ხანკოუს საბჭოთა საკონსულო დაკავებული აქვთ თავდაცვის კომისარის ჯარებს და საკონსულოს მთელი შემადგენლობა დაპატიმრებულია. ჩინელ ჯარისკაცებმა მოახდინეს მასიური ჩხრეკა რუსეთის და გერმანიის ყოფ. კონცესიებში კომუნისტების აღმოჩენის მიზნით. დაპატიმრებულ რუსებს ქალაქში ნახევრად ტიტველს და ფეხშიშველს ატარებდენ. ჩინეთის ტერიტორიის და საფრანგეთის კონცესიის საზღვარზე დაყენებულია გუშაგები.

საბჭოთა კომერციულ სააგენტოების დახურვა

შანხაი, 18 დეკემბერი. 18 დეკემბერს მუნიციპალურმა პოლიციამ დახურა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის, „ცენტროსოიუზის“ და შორეულ აღმოსავლეთის ბანკის განყოფილებები. საბჭოთა დაწესებულებების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს შენობებში შესვლის უფლებას არ აძლევენ. პოლიციამ დაიკავა სავაჭრო წარმომადგენლობის და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის დაწესებულებები, რომელნიც მოთავსებული არიან საკონსულოს შენობაში. (ადს).

დაპატიმრება და დასჯა

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. „ასოშიეტედ პრეს“-ს კანტონიდან ატყობინებენ, რომ იმ საბჭოთა 13 მოქალაქის რიცხვში, რომელნიც დაპატიმრებულნი იყვნენ გადატრიალების ლიკვიდაციის შემდეგ, 12 კაცი საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელია.

კანტონის ხელისუფლება აცხადებს, რომ თითქოს საბჭოთა საკონსულოს შენობაში მათ აღმოაჩინეს ვინტოვკები და სხვა საომარი მოწყობილობა.

კომუნისტების წინააღმდეგ გრძელდება მკაცრი რეპრესიები. (ადს).

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. ნიუ-იორკის გაზეთებში მოთავსებულია კანტონიდან მიღებული ჯერ კიდევ შეუმოწმებელი ცნობები, რომელშიაც ნათქვამია: „სიკვდილით დასჯილია ასეული ჩინელი და რუსი კომუნისტები, მათ შორის ვიცე - კონსული ხასისი. (ადს).

ლონდონი, 18 დეკემბერი. რეიტერის გონკონგელი კორესპონდენტის ცნობით, საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული თავის ოჯახობით და კანტონის საბჭოთა საკონსულოს თანამშრომელნი დაპატიმრებული არიან. საკონსულოში მოახდინეს ჩხრეკა და წაიღეს დოკუმენტები.

ნიუ-იორკი, 18 დეკემბერი. „ასოშიეტედ პრესის“ შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, კანტონში დახვრეტილია არა ნაკლებ 6 რუსისა, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ საკონსულოს პერსონალთან, დანარჩენები კი ყველანი დაპატიმრებული არიან და მოელიან სიკვდილს. 15 კაციდან, რომელნიც სიკვდილით დასაჯეს, 13 კაცს არავითარი დამოკიდებულება არ აქვთ საკონსულოსთან. დაპატიმრებულ რუსებს სიკვდილის წინ ატარებდენ ქუჩა - ქუჩა და სცემდენ.

სააგენტოს კანტონელი კორესპონდენტის ცნობით, ჯარები ხვრეტენ თმა შეკრეჭილ ქალებს. ჯერ - ჯერობით აღნიშნულია 14 ასეთი შემთხვევა. (ადს).

ცნობები კანტონიდან

შანხაი, 18 დეკემბერი. კანტონიდან კვლავ მოდის ერთი - მეორის საწინააღმდეგო ცნობები. ერთი ცნობის მიხედვით მთლიანათ დაპატიმრებულია საბჭოთა საკონსულოს შემადგენლობა. სხვა ცნობების მიხედვით, კონსული, ვიცე - კონსული და კიდევ ერთი ქალი დახვრეტილია.

გაზეთებს მოჰყავთ შემდეგ დაწვრილებითი ცნობები:

„ექვსი რუსი გაგზავნეს სიკვდილით დასასჯელად. მათ თან მისდევდა ბრბო. თითეულ დაპატიმრებულს ზურგზე მიკრული ჰქონდა პატარა დროშები, რომლებზედაც აღნიშნული იყო მათი „დანაშაული“. გზაზე დაპატიმრებულებს ჩხვლეტდენ ბუტაფორული დანებით და სცემდენ. იაპონიის კონსულმა ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა ცნობა იმის შესახებ, რომ საკონსულო კორპუსმა გადასწყვიტა საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლების დაცვა, მათი გამგზავრების დროს.

შანხაის საბაჟოს განკარგულება

შანხაი, 18 დეკემბერი. შანხაის საბაჟომ საბჭოთა გემებს აუკრძალა ნავთსადგურში შესვლა და გასვლა. საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე პოლიცია ყურადღებით ჩხრეკავს ყველა იმ რუსებს, რომლებიც გადადიან საფრანგეთის კონცესიაზე.

შეუმოწმებელი ხმები

ტოკიო, 18 დეკემბერი. „შიმბუნრენგოს სააგენტოს ცნობით, ხმები კანტონის საბჭოთა ვიცე - კონსულის მოკვლის შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს.

საკონსულოს შემადგენლობა დაპატიმრებულია ჩინეთის ხელისუფლების მიერ.

ხუთი რუსის სიკვდილით დასჯა კანტონში

ლონდონი, 18 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო, შენიშვნით, რომ პასუხისმგებლობას არ კისრულობს, იუწყება გონკონგიდან: „კანტონიდან მიღებულ, ნდობის ღირს, ცნობებით, ვიცე-კონსული ხასისი იმყოფება იმ ხუთი რუსის რიცხვში, რომლებიც 14 დეკემბერს სიკვდილით დასაჯეს კანტონში. სიკვდილით დასჯილთა ფოტოგრაფიულ სურათში, რომელიც მიღებულია კანტონიდან, მოსჩანს ხასისიც. მას ხელები უკან აქვს შეკრული, არ აცვია ჩექმები და წინდები, რომლებიც მიწაზე ჰყრია, სახე გვერდზე აქვს მიბრუნებული. საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული კანტონში და საკონსულოს პერსონალი ჯერ კიდევ დაპატიმრებული არიან. ამჟამად იხილავენ რუსულ საბუთებს, რომლებიც ბევრი ჩაიგდეს ხელში საკონსულოზე თავდასხმის დროს“ (ადს).

მუშტი-კრივი სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

ვენა, 18 დეკემბერი. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ სამხრეთ-სლავიის სკუპშინაში (პარლამენტში) ოპოზიციური ბლოკის წინადადების გარჩევის დროს, რომელიც მოითხოვს ერთიანი საგადასახადო სისტემის შემოღებას მთელი ქვეყნის მაშტაბით, ადგილი ჰქონდა დიდ მუშტი - კრივს მთავრობის პარტიების დეპუტატებსა და ოპოზიციას შორის. სხდომა შეწყვეტილი იქნა. სხდომის განახლების შემდეგ ოპოზიციური ბლოკის სახელით პრიბიჩევიჩმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც ბრალს სდებს მთავრობას ერთიანი საგადასახადო სისტემის პროექტის საბოტაჟში. (ადს).

გერმანიის ვალები

ბერლინი, 18 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „რეპარაციების აგენტმა გილბერტმა თავის წლიურ ანგარიშში ხაზი გაუსვა დაუესის გეგმის წარმატებით განხორციელებას გერმანიაში და მეგობრული დამოკიდებულების ფაქტს გერმანიის მთავრობასა და დაუესის ორგანიზაციებს შორის. გილბერტმა დაადასტურა სარეპარაციო ვალდებულებათა ლოიალური შესრულება გერმანიის მიერ. (ადს).

კონფლიქტი გერმანიის რკინის მრეწველობაში

სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება უარყოფილია

ბერლინი, 18 დეკემბერი. მას შემდეგ რაც პროფკავშირებმა უარყვეს სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება, რკინის მრეწველობის მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ ისინიც უარყოფენ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებას. (ადს).

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

საერთაშორისო კომისია

სტოკჰოლმი, 18 დეკემბერი. ნორვეგიის პროფკავშირების გაერთიანების სამდივნომ დანიშნა საერთაშორისო კომისია. კომისია დაუყოვნებლივ შეუდგება მუშაობას და გამართავს მოლაპარაკებას საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენლებთან ყრილობის მოწვევის შესახებ. (ადს).

კონფლიქტი სამხედრო გაწვევის გამო სპარსეთში

თეირანი, 18 დეკემბერი. პრემიერი და სასახლის მინისტრი დაბრუნდენ კუმიდან, სადაც ისინი წასული იყვნენ სასულიერო პირებთან მოსალაპარაკებლად. სასულიერო პირებს თავი შეფარებული ჰქონდათ ბესტში პროტესტის ნიშნად სპარსეთში სამხედრო გაწვევის წინააღმდეგ. მოლაპარაკების შედეგად კუმის სასულიერო პირებმა დასტოვეს ბესტი და გაუგზავნეს შაჰს დეპეშა, რომელშიაც მადლობას უცხადებენ მას კუმში მთავრობის წარმომადგენლების გაგზავნისათვის, რომლებმაც მოახერხეს კონფლიქტის მოგვარება. საპასუხო დეპეშაში შაჰი კმაყოფილებას გამოსთქვამს კონფლიქტის მოგვარების გამო.

წაართვეს ხელშეუხებლობის უფლება

ათინა, 18 დეკემბერი. პარლამენტმა დაადგინა ხელშეუხებლობის უფლება წაერთვას კომუნისტური ფრაქციის წევრს მაქსიმოსის გამოკლებით.

კენჭს ყრა იყო საიდუმლო და ცალ-ცალკე თითეულ კომუნისტ-დეპუტატისათვის.

კომუნისტების წინადადება უარყოფილია

პარიზი, 18 დეკემბერი. პარიზის მუნიციპალიტეტმა უარყო კომუნისტების წინადადება მეტროპოლიტენის ლოკაუტში მოქცეულ მიწისმთხრელებისათვის 100.000 ფრანკის გადადების შესახებ (ადს).

ყინვები დასავლეთ ევროპაში

ბერლინი, 18 დეკემბერი. მთელ დასავლეთ ევროპაში ძლიერი სიცივეებია. 18 დეკემბერს პარიზში ტემპერატურამ მიაღწია 15 გრადუსამდე ნულის ქვევით. პროვანსში (საფრანგეთი) ყინვები აღწევს 11 გრადუსამდე. ყველა მდინარეები გაყინულია. სენ-რაფაელი იმყოფება თოვლ-ქვეშ. ვარის დეპარტამენტში მოდის დიდი თოვლი. რივიერაზე ყინვებმა მიაღწია 10 გრადუს ნულს ქვევით. ნიცა დაფარულია თოვლით. მთელი ჩრდილოეთი იტალია დაფარულია თოვლით, გაიყინა პატარა მდინარეები. მილანი თოვლით არის დაფარული. ინგლისში სიცივეები და ქარბუქი დაიწყო აღმოსავლეთ ირკიდან და გავრცელდა მთელ კუნძულზე. ლონდონში არის თოვლი. 18 დეკემბერს ყინვამ მიაღწია 12 გრადუს ნულს ქვევით.

მთელ გერმანიაში სდგას ყინვები, რომელნიც აღწევს 15—20 გრადუს ნულს ქვევით.

აღმოსავლეთ პრუსიაში ყინვამ მიაღწია 23 გრადუსს ნულს ქვევით.

დიდი თოვლი, რომელიც მოდის მთელ დასავლეთ ევროპაში, ხელს უშლის წესიერ სარკინიგზო მიმოსვლას.

ექსპრესები დადიან დიდი დაგვიანებით. ფიქრობენ, რომ უახლოეს დღეებში ყინვები გაძლიერდება (ადს).

ამხ. სტალინის პასუხი უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს

„სტალინის“ ყალბი წერილების შესახებ

მოსკოვი, 19 დეკემბერი. უცხოეთის პრესის მოსკოვის წარმომადგენლების (ასოშიეტედ პრეს, ვოლფის სააგენტო, „ნოიე ფრეიე პრესე“ და სხვ.) შეკითხვების საპასუხოდ „სტალინის“ ყალბი წერილების გამო, ამხ. სტალინმა განაცხადა შემდეგი:

„არა მგონია, რომ საჭირო იყოს „ნიუ-იორკ ამერიკენ“-ის, „უაიდ უორლდ ნიუსი“-ს სააგენტოს, ან „ენგლიშ - ამერიკენ ნიუსპეიპერ სერვის“-ის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ გამოსვლა, რომლებიც ავრცელებენ ყოველგვარ ჭორებს არ არსებულ „სტალინის წერილების“ სახით საბჭოთა კავშირის „საჰაერო ძალების“ შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების „შერიგების“ შესახებ „მართლმორწმუნე ეკლესიასთან“, საბჭოთა კავშირში კაპიტალისტებისათვის „ნავთიანი ადგილების დაბრუნების“ შესახებ და სხ. საჭირო არ არის ამის უარყოფა, ვინაიდან ეს ვაჟბატონები თვითონ ამხილებენ პრესაში თავის თავს, როგორც პროფესიონალურ ფალსიფიკატორებს, რომლებიც ცხოვრობენ ყალბი საბუთების ვაჭრობით. საკმაოა გადავათვალიეროთ ამ ვაჟბატონების „განმარტებები“, რომლებიც მათ ამ დღეებში პრესაში გამოაქვეყნეს, სადაც ისინი ცდილობენ გაამართლონ თავისი არამზადული ოინები, რათა გავიგოთ, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა პრესის წარმომადგენლებთან, არამედ კალმით შეიარაღებულ ყაჩაღებთან.

მიუხედავად ამისა, პრესის წარმომადგენლების შეკითხვის საპასუხოდ მე მზად ვარ განვაცხადო, რომ: არავითარი „გერმან გოტფრეი“ ან უცხოეთის პრესის სხვა რომელიმე წარმომადგენელი, რომლებმაც მე თითქოს ინტერვიუ ჩამომართვეს, მე არასოდეს თვალითაც არ მინახავს და უკანასკნელი წლის განმავლობაში არავითარი ინტერვიუ არ მიმიცია. არც ამ ვაჟბატონებისათვის, არც უცხოეთის პრესის რომელიმე სხვა წარმომადგენლისათვის, არავითარი სიტყვები არც „მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმში“, არც პარტიის „მოსკოვის კომიტეტში“ არ წარმომითქვამს, არც კაპიტალისტებისათვის საბჭოთა კავშირში „ნავთიანი ადგილების“ „დაბრუნების“ შესახებ, არც „მართლმორწმუნე ეკლესიის“ შესახებ, არც საბჭოთა კავშირის „საჰაერო ძალების“ შესახებ, არავითარი ამ ხასიათის წერილები ან შენიშვნები პრესაში არ მიმიცია.

არამზადები „ნიუ-იორკ ამერიკენ“-იდან „უაიდ უორლდ ნიუს“-იდან და „ინგლიშ-ამერიკენ ნიუსპეიპერ სერვის“-იდან ატყუებენ მკითხველებს და არწმუნებენ მით, რომ „სტალინის“ „წერილები“ თავის დროზე არ გაუბათილებია მოსკოვს. ყალბი წერილების არსებობა საბჭოთა კავშირის „საჰაერო ძალების“ შესახებ და „მართლმორწმუნე ეკლესიასთან შერიგების“ შესახებ ჩვენ გავიგეთ მოსკოვში 1927 წლის ნოემბრის ბოლოს. ისინი მაშინვე ამხილა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა, როგორც სიყალბე, რის შესახებაც ეცნობა ასოშიეტედ პრესის წარმომადგენელს მოსკოვში, ბ. რეზვიკს. ამის გამო მან მაშინვე გაუგზავნა 1-ლ დეკემბერს ასოშიეტედ პრესს შემდეგი დეპეშა: „დღეს მე გარეშე საქმეთა კომისარიატში გამიცხადეს, რომ აქ სერიოზულად ფიქრობენ აღძრან საჩივარი ნიუ-იორკში გაზეთ „ნიუ-იორკ ამერიკენ“-ის და საერთოდ ხერსტის გაზეთების წინააღმდეგ იმ მიზნით, რათა ბოლო მოუღოს წერილების გავრცელებას სტალინის ხელმოწერით. ხელისუფლება განსაკუთრებით ძლიერ ილაშქრებს „ნიუ-იორკ ამერიკენ“-ში მოთავსებულ შენიშვნის წინააღმდეგ, სათაურით: „ეკლესიის გამოყენება საბჭოების დასახმარებლად“, რომელიც ვითომ წარმოადგენს სტალინის საიდუმლო მოხსენებას მოსკოვის პრეზიდიუმის სხდომაზე. გარეშე სახალხო კომისარიატის განმარტების თანახმად ეს წერილი წარმოადგენს აშკარა სიცრუეს. რეზვიკი. 1-ლი დეკემბერი 1927 წ.“

დაიბეჭდა თუ არა ეს დეპეშა? და თუ არა, რატომ?

მიტომ ხომ არა, რომ რეზვიკის დეპეშის გამოქვეყნება დაარღვევდა ამერიკელ უნგრელის ან უნგრელ ამერიკელის, ხერსტის შემოსავლის წყაროებს.

„ნიუ-იორკ ამერიკენ“ პირველად არ ცდილობს იხარგებლოს სტალინის არ არსებულ „ინტერვიუებისა“ და „წერილების“ ფალსიფიკაციის საშუალებით. მე ვიცი მაგალითად, რომ 1927 წლის ივნისში „ნიუ-იორკ ამერიკენ“-მა გამოაქვეყნა „სტალინის“ ყალბი „ინტერვიუ“ ვიღაც ხსენებულ ვინჩენსტერთან „ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის გამო მსოფლიო რევოლიუციაზე“ ხელის აღებისა და „არკოსში“ ჩხრეკის შესახებ.

ამონაჭრების ბიურო „არგუს“-მა მაშინ მე წინადადება მომცა დამედასტურებია ინტერვიუს სინამდვილე და გავმხდარიყავი ერთ-ერთი მისი კლიენტი. ვინაიდან მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საქმე მაქვს არამზადულ ოინთან, მე მაშინვე გავგზავნე ნიუ-იორკის გაზეთ „დეილი უორკერ“-ში შემდეგი წერილი:

„პატივცემულო ამხანაგებო! ამონაჭრების ბიურო „არგუს“-მა გამომიგზავნა ამონაჭერი გაზეთ „ნიუ-იორკ ამერიკენ“-იდან, რომელიც შეიცავს ჩემს მიერ ვიღაც სესილ ვინჩესტერისათვის ვითომდა მიცემულ ინტერვიუს. ამით, ვაცხადებ, რომ არავითარი ინტერვიუ არ მიმიცია არც მისთვის, არც ვინმე სხვისთვის და აბსოლიუტურად არავითარი დამოკიდებულება არა მაქვს „ნიუ-იორკ ამერიკენ“-თან.

თუ ამონაჭრების ბიურო „არგუს“-ი არ არის არამზადების ბიურო, უნდა ვიფიქროთ, რომ ის შეიყვანეს შეცდომაში, რომელსაც კავშირი აქვს „ნიუ-იორკ ამერიკენ“-თან. სტალინი“.

მიუხედავად ამისა ფალსიფიკატორები ხერსტის ორგანიზაციიდან განაგრძობენ თავის არამზადულ ოინებს.

რა აზრი აქვს ამ ოინებს? რა მიზანს ისახავენ თავისი ოინებით ხერსტი და კომპანია? შეიძლება მათი მიზანია სენსაციები? არა, არა მხოლოდ სენსაციები. მათი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გააქარწყლონ ის ეფექტი, რომელიც მოახდინა საბჭოთა კავშირის დელეგაციამ ჟენევაში თავისი დეკლარაციით საყოველთაო განიარაღების შესახებ. მიაღწევენ თუ არა ისინი თავის მიზანს? რა თქმა უნდა, ვერა. სიყალბე გამოაშკარავდება. (ის უკვე გამოაშკარავებულია). ფაქტები დარჩება. ფაქტები კი იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთ ქვეყანას მსოფლიოში, რომელიც აწარმოებს ჭეშმარიტ მშვიდობიან პოლიტიკას, და რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს ერთად-ერთ ქვეყანას მსოფლიოში, რომელმაც პატიოსნად დასვა საკითხი ნამდვილი განიარაღების შესახებ. ის ფაქტი, რომ კაპიტალის აგენტები საბჭოთა კავშირის მშვიდობიან პოლიტიკასთან ბრძოლაში იძულებული არიან მიმართონ ყოველგვარ საეჭვო პირებისა და კალმით შეიარაღებულ სხვადასხვა ყაჩაღების დახმარებას, ეს ფაქტი საუკეთესოდ აშკარავებს იმ პოზიციის მორალურ სიმძლავრეს და პრინციპიალურ ძალას, რომელსაც დაადგა საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში განიარაღების საკითხში“.

სოციალისტურ პარტიების კონფერენცია

ბერლინი, 18 დეკემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„მეორე ინტერნაციონალის მდივან ფრიდრიხ ადლერის თავმჯდომარეობით გაიხსნა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიების კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდენ ლიტვის, პოლონეთის, გერმანიის, ლატვიის, შვეციის, დანიის, ჩეხო-სლოვაკიის; დანციგის სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლები და აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერები (ესერები), ქართველი და უკრაინელი სოციალისტები. კონფერენციამ იქონია მსჯელობა კონფერენციაზე მონაწილე ცალკე პარტიების ურთიერთობათა შესახებ და განიხილა დაწვრილებითი ანგარიშები ლიტვაში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ“ (ადს).

წითელ მოედანზე

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 18 დეკემბერს წითელ მოედანზე სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ათი წლის თავის გამო შესდგა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ჯარებისა და სამხედრო სკოლების აღლუმი. მოედანზე თავი მოიყარა სამხედრო ნაწილებმა, მოწვეულმა საპატიო ჩეკისტებმა, ყრილობის დელეგატებმა, სახელმწ. პოლიტსამმართველოს თანამშრომლები და ფაბრიკებისა და ქარხნების მუშათა დელეგატები. აღლუმს სარდლობდა განსაკუთრებულ დანიშნულების დივიზიის სარდალი ამხ. კობელევი. აღლუმი მიიღეს გაერთიანებულ სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე და გაერთ. სახელმწ. პოლიტსამმართველოს ჯარების სარდალი ამხ. იაგოდა, გაერთ. სახელმწ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტრილისერი, სანაპირო დაცვის მთავარ სამმართველოს უფროსი და სხვები, რომლებმაც დაათვალიერეს დაწყობილი ჯარები და სამხედრო სკოლები. მათ ხვდებოდენ აღტაცებულ „ურა“-ს ძახილით. აღლუმი დასრულდა ჯარების ცერემონიალური მარშით გავლით ლენინის მავზოლეუმის წინ (ადს).

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა 1) თბილისის მაზრის კეთილმოწყობა და საბჭოთა არჩევნების ჩატარება თბილისის მაზრაში.

თბილისის მაზრის კეთილმოწყობა

თბილისის მაზრის კეთილმოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიხარულიძემ, რომელმაც აღმასკომის პლენუმს გააცნო კეთილმოწყობის დარგში შესრულებული მუშაობა თბილისის მაზრაში და კეთილმოწყობის 5-წლიანი გეგმა ამავე მაზრისათვის. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში უმთავრესი ყურადღება ექცეოდა გზების გაყვანას, წყალსადენის და აბანოების მოწყობას და სხვა. ალბულაღში გაყვანილია გზა 7 ვერსის მანძილზე, რაზედაც დახარჯულია 17.400 მანეთი, წალკაში ორი ვერსის მანძილზე,—დახარჯულია 23 ათასი მანეთი(თიანეთის გზაზე გაკეთდა უმთავრესად ხიდები, რაზედაც დაიხარჯა 34 ათასი მანეთი. ხიდებია აგებული აგრეთვე სიღნაღის გზაზე, რაც დაჯდა 24 ათასი მანეთი. სულ 95.700 მანეთი.

თბილისის მაზრის სოფლების დიდი ნაწილი დიდ გაჭირვებას განიცდის უწყლობის გამო. ამის გამო წყალსადენების გაყვანას აღმასკომმა დიდი ყურადღება მიაქცია. 1926-27 წლის განმავლობაში წყალსადენი გაყვანილია წყნეთში, გოუბანში, დიდ-თიანეთში, ვაკეში., ალბულაღში, ბაგებში, შინდისში, ხაშმში. სულ წყალსადენის გაყვანაზე დახარჯულია 31.000 მანეთი.

ელექტროფიკაცია. ზაჰესის ამუშავების შემდეგ თბილისის ქალაქის სადგურებიდან ძალების განთავისუფლებამ აღმასკომს საშუალება მისცა მკვიდრ ნიადაგზე დაეყენებია სოფლების ელექტროფიკაცია. უკვე დადგმულია თბილისთან გაღებული მოტორები მანგლისში, ალბულაღში და ასურეთში. მომავალში კიდე უფრო გაძლიერებული იქნება ელსადგურების მშენებლობა. შემდეგ მომხსენებელი ეხება მიმდინარე წლის კეთილმოწყობის გეგმას. მიმდინარე წლის ბიუჯეტით წალკის გზის გასაყვანად გადადებულია 14.800 მანეთი, ალბულაღის—14.500 მან., თიანეთის—22.000 მან., სიღნაღის გზისათვის—26.000 მან. და საგარეჯოს—2.000 მანეთი.

წყალსადენების გასაყვანად გადადებულია 80.000 მანეთი. მიმდინარე წელს წყალსადენები გაყვანილი იქნება ლოლოუბანში, გურანში, შინდისში, წინწყაროში, მანგლისში, ზემო-თიანეთში, პავლიანში, ბალეეის-ხევში და სხვაგან. გადაწყვეტილია აგრეთვე დილომის ბორანის აგება მტკვარზე, რისთვისაც გადადებულია 12 ათასი მანეთი.

5 წლიანი გეგმით, მაზრის მშენებლობისათვის გამოთხოვილია 2.038.000 მანეთი; აქედან გზებზე განზრახულია დაიხარჯოს 1.160 ათასი მანეთი; დანარჩენი თანხა მოხმარდება ელექტროფიკაციას, წყალსადენებს და აბანოების აგებას. წყალსადენების გაყვანას მოხმარდება 550.000 მანეთი. პირველ რიგში აბანოები აგებული იქნება საგარეჯოში, მანგლისში, ალბულაღში და წალკაში. ელექტროლობაში თბილისის მაზრა მთლიანად დაქსელილი იქნება ელექტრო-ქსელით. დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საგზაო მშენებლობის წარმატებით ჩატარებას მაზრაში აბრკოლებს საგზაო ბეგარის არა სრულად გატარებაო.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღმასკომის პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც იგი იწონებს მაზრის კეთილმოსაწყობად ჩატარებულ მუშაობას და საჭიროდ სცნობს ყურადღება მიექცეს საგზაო ბეგარის სისრულით გატარებას, წყალსადენის და გამოსაყვან წყალთა სანიტარულ-ჰიგიენურ შემოწმებას. პლენუმმა დაამტკიცა მიმდინარე წლის კეთილმოწყობის გეგმა და აგრეთვე 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

არჩევნების ჩატარება თბილისის მაზრაში

თბილისის მაზრაში არჩევნების ჩატარების გეგმა პლენუმს გააცნო ამხ. აკოპოვმა. საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაიწყო. არჩევნები დამთავრდება აპრილში. დეკემბერში მოწვეულია მაზრის ძირითადი ორგანოების თათბირი არჩევნების საკითხების შესახებ. იანვარში ჩატარდება გლეხთა კონფერენციები, ხოლო თებერვალში—საანგარიშო კამპანია. მარტში დაიწყება არჩევნები.

პლენუმმა დაამტკიცა წარმოდგენილი გეგმა.

სამაზრო საარჩევნო კომისია

პლენუმმა სამაზრო-საქალაქო კომისიაში აირჩია ამხ. სუხიშვილი (თავმჯდომარედ), ივანოვ-კავკასიელი (მოადგილედ), ბოლქვაძე, მესხი, თხილავა, აკოპოვი, სვანიძე. ასრიბეკოვი, მზარეულაშვილი, ფანცულაია, ტერვართანოვი, სილაძე, ბელიაევსკაია, ტაქტაევი, პატარაია, ზარიძე, საკოევი, მგელაძე, კოპაძე, მაჩაიძე ქაიხოსროშვილი და აიდინოვი.

ამიერ-კავ. სოფლების ელექტროფიკაცია

ა. კ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა ა. კ. სოფლების ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. გეგმას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: 1) სოფლის რაიონების ელექტროფიკაციისათვის პირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს რაიონული და ადგილობრივი სადგურები; 2) განვითარებული და გაძლიერებული უნდა იქნეს მცირე სიმძლავრის ის სადგურები, რომლებიც დატვირთული არიან მთლიანად და ემსახურებიან შინა მრეწველობას და მუშაობენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებაზე; 3) ცალკე წვრილი სადგურები აგებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი აგება იაფი დაჯდება და შესაძლებელი იქნება მათი სრულიად დატვირთვა.

გეგმა, რომელიც შემდგომ დამუშავებას მოითხოვს, ხუთი წლის განმავლობაში ითვალისწინებს 85 ახალი სადგურის აგებას; ყველა ეს სადგურები დაჯდება 5.142.000 მანეთი.

იმ სადგურებიდან, რომლებიც ამუშავებული უნდა იქნეს უახლოეს წლებში; გეგმა ითვალისწინებს აბასთუმანის, ახალციხის და ახალქალაქის სადგურების გაფართოვებას, ონის სადგურის დამთავრებას და ახალი სადგურების აგებას მესტიაში (სვანეთი) და ცაგერში. ეს სამუშაოები დაჯდება 459.000 მან.

ამასთან ერთად განზრახულია ზემო ავჭალის და ერევანის სადგურების გამოყენება ახლო მდებარე სოფლების გასანათებლად და მიწების მექანიკური წესით მოსარწყავად.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

საბჭოთა კავშირის წითელი ფლოტი

სამოქალაქო ომის გათავებისას ჩვენი წითელი საზღვაო ფლოტი მოკლებული იყო ყოველგვარ საბრძოლო მნიშვნელობას. ბალტიის ფლოტის თითქმის ყველა გემები დაზიანებული იყვნენ და უქმად იდგნენ ნავთსადგურებში. პირადი შემადგენლობა ნაწილობრივ დაიღუპა ფრონტებზე, ნაწილობრივ იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში, ნაწილი კი გაშვებულ იქნა უვადო შვებულებაში დემობილიზაციით. უფრო უსუგეშო იყო შავი ზღვის ფლოტის მდგომარეობა. აქ გემები თითქმის არც კი მოგვეპოვებოდა. ამ გემების ნაწილი ზოგი ჩაიძირა, ზოგი კი გაიტაცა ვრანგელმა გაქცევის დროს.

ამის გამო უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის მიღწევები, რომლილიც ჩვენ გვაქვს ექვსი წლის შეუდრეკელ მუშაობის შედეგათ ფლოტის მშენებლობაში. დღეს ჩვენი ფლოტი საკმაო ძალას წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის.

სამოქალაქო ომის გათავებისა და ძველი მეზღვაურების დემობილიზაციის ჩატარების შემდეგ საჭირო იყო დიდი მუშაობის წარმოება, რათა უზრუნველეყო ფლოტი სამხედრო-საზღვაო სპეციალისტთა კადრით, ფლოტის პირველი შეკრება დაწყებული 1922 წლიდან, შესდგებოდა მეტ წილად მუშებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში მუშების პროცენტი რამოდენიმეთ შემცირდა, ფლოტის პირად შემადგენლობაში მუშათა რიცხვი მაინც აღწევს 40 პროცენტს. ამასთან ერთად მუშების 42,3 პროც. ფლოტში პარტიისა და კომკავშირის წევრია.

პარტორგანიზაცია ფლოტში სავსებით სალი და ბოლშევიკურად გამობრძმედილია, მისი მნიშვნელოვანი ზრდა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამტკიცებს, რომ წითელ არმიელთა უპარტიო მასა უაღრესად ნდობით უყურებს კომუნისტურ პარტიას. 1927 წლის 1 იანვრისათვის ფლოტის პარტორგანიზაციის სოციალური შემადგენლობა ასეთია: მუშები—56,8 პროცენტი, გლეხები—31,2 პროცენტი, მოსამსახურენი და სხვა—12;5 პროცენტი.

ორი წლის განმავლობაში მეთაურთა შემადგენლობის ხვედრითი წონა პარტორგანიზაციაში გაიზარდა 9.5 პროც. (1925 წელი)-35 პროცენტამდე (1927 წელი). აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პარტიულების ზრდა უმცროს მეთაურთა შემადგენლობაში: 1925 წელში უმცროს მეთაურთა შემადგენლობაში იყო პარტიული 116 კაცი, ამჟამად ეს რიცხვი ავიდა 1470-მდე.

თუ ავიღებთ უმაღლეს, უფროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობას დავინახავთ, რომ მათ შორის პარტიულის რიცხვი უდრის 36.3 პროცენტს, რაც შეეხება უმცროს მეთაურებს, აქ პარტიულების და კომკავშირელების რიცხვი უდრის 59,9 პროცენტს. მუშათა რიცხვი უმაღლეს, უფროს და საშუალო მეთაურთა შორის ამჟამად აღწევს 15.85 პროცენტს, ხოლო, თუ მივუმატებთ უმცროს მეთაურთა შემადგენლობას ეს რიცხვი დიდათ გაიზრდება.

ჩვენმა სამხედრო საზღვაო ძალთა მშენებლობამ, ცხადია, გადალახა ის კრიტიკული პერიოდი; რომელშიაც ის იმყოფებოდა სამოქალაქო ომის გათავებისას. გემების რიცხვის ზრდა და ფლოტის ძლიერების წლით-წლობით სისტემატიურად ამაღლება მოწმობს იმას, რომ ჩვენ ვადგვიართ სწორ გზას. პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციის მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს პირდაპირ დასკვნას, რომ მათი სახით პარტიას ჰყავს წითელ ფლოტელთა მასების ძლიერი და ლენინურად გაწვრთნილი პოლიტიკური ხელმძღვანელი. ფლოტის მეთაურთა პარტიულ და სოციალურ შემადგენლობასთან ერთად ჩვენ გვყავს ფლოტში უპარტიო მეთაურთა შემადგენლობა, რომელიც სავსებით ერთგულია და თავდადებული პროლეტარული რევოლიუციის საქმისათვის. ყველაფერი ეს აძლიერებს ჩვენს რწმენას იმაში, რომ ფლოტი იყო; არის და იქნება საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო დასაყრდენი ბრძოლაში ბურჟუაზიული მსოფლიოს წინააღმდეგ.

ა. რ.

შვებულნი

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელი ჯარის რიგებიდან გაშვებული იქნენ გრძელვადიან შვებულებაში მრავალი ათასი წითელი არმიელნი, რომლებიც ორი წლის ყოფნის შემდეგ ყაზარმაში დაუბრუნდნენ თავის მეურნეობას სოფლად და ფაბრიკა-ქარხნებს ქალაქად. ორი წლის განმავლობაში წითელმა ყაზარმამ მისცა მათ ისეთი ცოდნა, რომელიც საჭირო იყო მეომრისათვის ბრძოლის დროს და მოქალაქისათვის მშვიდობიან შრომაში.

შვებულ წითელ არმიელებმა საუკეთესოდ გამოიყენეს ყაზარმაში მიღებული ცოდნა. სოფლებიდან და ქალაქებიდან მოსული ცნობების თანახმად, შვებულნი ჩაებენ საზოგადოებრივ მუშაობაში და სცდილობენ შეიტანონ თავისი წვლილი საერთო საქმიანობაში.

მთავარი მუშაობა, რომელსაც ასრულებენ შვებული წითელ არმიელნი სოფლად, არის მშრომელთა ფართე მასების გასამხედროება. შვებულთა თითქმის 40 პროცენტი მუშაობს სამხედრო კუთხეებში. მათ წითელ ყაზარმაში შეისწავლეს გასამხედროების საქმის მეთოდები და პროპაგანდის წარმოება და ეხლა ადგილებზე ეწევიან ამ დარგში აქტიურ მუშაობას. ბევრმა შვებულმა წითელ არმიელმა ითავა სოფლად სამხედრო კუთხის დაარსება და სამხედრო ცოდნათა წრეების ხელმძღვანელობა.

გასამხედროების საქმის გარდა შვებული წითელ არმიელნი ეწევიან აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ ხასიათის მუშაობას. ნაწილი შვებულებისა, უფრო კი მათი აქტიური ნაწილი, მუშაობენ სოფლის საბჭოებში, გლეხკომებში; სასოფლო კოოპერაციაში და დავალებულ სამუშაოს ასრულებენ პირნათლად.

შვებულთა მიერ არ არის დავიწყებული აგრეთვე კულტურული დარგი. ქოხ-სამკითხველო გლეხის სახლები—ყველგან მოიძებნება ყოფილნი წითელ არმიელნი, რომლებიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ შეიტანონ თავისი წვლილი საერთო კულტურულ მუშაობაში.

მაგრამ, ამასთანავე ერთად უნდა აღინიშნოს რომ შვებულ წითელ არმიელნი ყველგან არ არიან სათანადოთ გამოყენებული, არის ცნობები; რომ ზოგ ადგილას შვებულებს არ აძლევენ სამუშაოს; ან აძლევენ ისეთ სამუშაოს; რომლის ასრულება შვებულებს არ შეუძლიათ, საჭიროა და აუცილებელი; რომ ხელისუფლებამ ადგილებზე: პირველ რიგში კი ჩვენმა პარტორგანიზაციებმა მიაქციონ მეტი ყურადღება შვებულებს მათი მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ზ.

წვევამდე მზადება

ქ. ჭიათურა

მეცადინეობა ჭიათურის წვევამდელთა წერტზე დაიწყო 5 დეკემბერს. დილის რვა საათზე წვევამდელებმა მოიყარეს თავი წერტზე, ყველანი გამოცხადდნენ უკლებლივ. წვევამდელებს მიესალმენ ასეულის მეთაური და უფროსი პოლიტ. ხელმძღვანელი. მათ თავის სიტყვებში აღნიშნეს წვევამდელთა ერთსულოვანი გამოცხადება და უსურვეს მათ, რომ წარმატებით შეესწავლათ ყველა საგნები, რომელიც საჭიროა მომავალ მეომრებისათვის საპასუხო სიტყვებში წვევამდელებმა აღუთქვეს უფროსებს, რომ პირნათლად შეასრულებენ ყოველივე დავალებას.

საერთოდ; უნდა აღინიშნოს; რომ წინასწარი სამზადისი წვევამდე მზადებისათვის ჭიათურის რაიონში ჩატარდა წარმატებით. სამზადისში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ყველა ორგანიზაციებმა, მოსახლეობამ და მუშებმა. ყველა ეს თავდებია იმის, რომ წვევამდე მზადება გამოიღებს შესაფერ ნაყოფს.

ხ. კურტანიძე.

ს. გომი, (გორის მაზრა)

მეცადინეობა ჩვენ წერტზე მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. წვევამდე მზადებით დაინტერესებული არიან არა მარტო წვევამდელნი, არამედ მთელი მოსახლეობა. ადგილობრივი ხელისუფლება უწევს წერტს დიდ დახმარებას: მოწყობილია ბინა ვათბობით, განათებით, შეძენილია ყველა საჭირო ხელსაწყოები.

წერტთან არსებობს ლენინის კუთხე და სამკითხველო; აქ თავისუფალ დროს მიმდინარეობს სკოლის გარეშე მუშაობა.

არ არის დავიწყებული აგრეთვე სპორტი. წერტს აქვს სასპორტო იარაღი, რის გამო შესაძლებელია ფიზიკური ვარჯიშის წარმოება.

კმაყოფის საქმე კარგათ არის დაყენებული. წვევამდელები ჩარიცხული არიან კმაყოფაზე და ღებულობენ კუთვნილ ულუფას.

სისტემატიურად მოსდის წერტს შემდეგი გაზეთები „კომუნისტი", „წითელი არმიელი"; „ახალგაზრდა კომუნისტი" და „მუშა".

მეთვალყურე.

ახალწვეულნი

ჩვენთან

(პირველი ქართული დივიზია)

დივიზიის ნაწილები უკვე შეივსნენ 1905 წელში დაბადებულ ახალწვეულებით. როგორი შეხვედრა ჩატარდა სოფლად გაწვევასთან დაკავშირებით?

ყაზარმაში მოსული ახალწვეულები აცხადებენ, რომ არ იყო თემში არც ერთი ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდა წარმოდგენა წითელ არმიაზე. გაწვევის პირობებზე და შეღავათებზე ყველამ იცის, რომ წითელ არმიაში სწავლობენ არა მარტო სამხედრო საქმეს, არამედ იქიდან დაბრუნდებიან კარგად მომზადებულნი და აწარმოებენ საზოგადოებრივ მუშაობას. ამის გამო გაწვევის პირველ დღიდანვე დიდი ლტოლვა ეტყობოდა მშრომელ ახალგაზრდობას წითელ არმიაში.

გაწვევაზე გამოცხადდა ახალგაზრდობის მთელი 100 პროცენტი. დარჩენილები შურით უყურებდნენ მათ ვინც მიდიოდა წითელ არმიის რიგებში „ბედნიერი ხარ რო წითელ არმიაში მიდიხარო". მშრომელ ახალგაზრდობაში ეტყობოდა ზრუნვა და პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმისათვის.

ახალ წვეულ წითელ არმიელები, ყაზარმაში მისვლისთანავე გატარებულ იქნენ კარანტინში.

აქ ახალწვეულებმა გაიცნეს თავის ერთეულის უფროსები და ძველი მსახური წითელ არმიელები. განსაკუთრებით არიან კმაყოფილი ძველ მსახურ წითელ არმიელებით დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მათზე ლენკუთხეები, სკოლები, კლუბები, გასართობები და სხვა, დიდი ინტერესით ათვალიერებენ სამხედრო საქმის თვალსაჩინო ნივთებს. კითხულობენ აგრეთვე წითელ არმიაში წარმოებულ პარტიულ მუშაობის შესახებ, პარტიაში შესვლის პირობებს და სხვა.

სათანადო სიმაღლეზე არის დაყენებული დისციპლინა, რაც ერთ ერთი შედეგია იმ დიდი ახსნა განმარტებითი მუშაობისა, რომელიც წარმოებდა ჯერ კიდევ ახალ წვეულების კარანტინში ყოფნის დროს. ახალწვეულთა შემადგენლობიდან ნახევარზე მეტს აქვს გავლილი წვევამდელთა მზადება, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ სამხედრო საგნების უფრო წარმატებით შეთვისებას.

ტ. რუდოვსკი.

სამხედრო ქრონიკა

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოში დაიწყო მზადება წითელი არმიის ათი წლის იუბილეს ჩასატარებლად. დღესასწაულის ჩატარებაში მიზიდულ იქნებიან საკავშირო პროფსაბჭო, კომკავშირის ცეკა, პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა და თავდაცვა-ავიაქიმი. დღესასწაულის ჩატარებაში აგრეთვე მიზიდულ იქნებიან თადარიგის მეთაურნი და სამოქალაქო ომის ინვალიდები წითელი არმიის პოლიტსამმართველო უშვებს მთელ რიგ მხატვრულ გამოცემებს: პიესებს, ალბომებს, პლაკატებს და სხვა.

მუშაობა ცვალებადელთა შორის

№ დივიზიის პოლიტგანყოფილების და შტაბის მიერ დაეგზავნა ნაწილებს მითითებები შეკრებათაშორისო მუშაობის შესახებ. მთავარი ყურადღება მიქცეული ექნება ცვალებადელთა შორის პრაქტიკულ მუშაობის წარმოებას. პირველ ადგილზე იდგება სასროლო საქმე და სპორტი. აგრეთვე ყოველ ცვალებადელს მიეცემა მეთაურების მიერ ინდივიდუალური დავალებები, რაც წინ წასწევს ცვალებადელის მომზადებას.

ახალწვეულნი

1905 წელში დაბადებულ ახალწვეული წითელი არმიელები გადავიდნენ საცხოვრებლად ყაზარმაში. მათ შორის დაიწყო სისტემატიური სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა. უპარტიო წითელ არმიელნი გამოყოფილ არიან ცალკე ჯგუფებად. უკვე დაიწყო მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინართა [illegible].

კოლექტიურ ხელშეკრულებების განხილვა

კლუბებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლხელშეკრულების გადასინჯვაში.

კოლექტიური ხელშეკრულების გადასინჯვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. ბევრ პროფკავშირმა უკვე დაამთავრა ხელშეკრულების პროექტის განხილვა და გადატანა მუშათა ფართო მასის სამჯავროს წინაშე. მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ პროექტების განხილვაში. ისინი აყენებენ თავიანთ მოთხოვნილებებს და მოითხოვენ ახალი მუხლების შეტანას კოლხელშეკრულებაში.

მაგრამ იმისათვის, რომ მუშას წარმოდგენა ჰქონდეს ახალ კოლხელშეკრულებაზე და მის ყველა მუხლებზე, არ კმარა მარტო საერთო კრებების მოწვევა და მოხსენებების გაკეთება კოლხელშეკრულების შესახებ. მით უმეტეს რომ მიმდინარე კოლხელშეკრულების განხილვას თან სდევს შრომის ხელფასის რეფორმაც. ეს საკითხი კი მოითხოვს უფრო ფართოდ გაშუქებას მუშებში და ამ რეფორმის ძირითადი პრინციპების საფუძვლიანად შესწავლას.

ამ მხრივ მუშათა კლუბებს, რომლებიც დღემდე თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ კოლექტიურ ხელშეკრულებების გადასინჯვაში დიდი საქმის გაკეთება შეუძლიათ. კლუბებში მოწყობილი უნდა იქნის სპეციალური კითხვა-პასუხის საღამოები, სადაც მუშების ყველა შეკითხვებზე, რომლებიც კი შეეხება კოლხელშეკრულებას უნდა გაეცეს ამომწურავი პასუხი. ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ როგორც პროფმუშაკები, ისე შრომის დაცვის ინსპექტორები და ადმინისტრატორებიც.

საღამოებზე გაშუქებული უნდა იქნეს მუშებს შრომის ხელფასის წყობის შეცვლის საკითხი. ამისათვის კარგი იქნება თუ კლუბებთან არსებულ სამკითხველოებში მოეწყობა შრომის ხელფასის რეფორმასთან დაკავშირებულ ლიტერატურის ხმამაღლა კითხვა. საჭიროა კლუბებში გამოკრული იქნეს აგრეთვე ცხრილი იმის შესახებ თუ რამდენად არის შესრულებული ძველი კოლექტიური ხელშეკრულება.

კლუბების გამგეობებმა უნდა ეცადონ მოაწყონ პატარ-პატარა სცენები შრომის ხელფასის რეფორმასთან და კოლექტიურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. პროფკავშირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კლუბების მუშაობას ამ დარგში და გამოიყენონ ისინი ხელფასის რეფორმასთან და კოლხელშეკრულების საკითხების გაშუქებაში. ამით ჩვენ გავტვირთავთ მუშათა საერთო კრებებს ბევრ ზედმეტ შეკითხვებიდან და გაუადვილებთ მუშებს კოლხელშეკრულების გაცნობას.

ვ.

შევიტანოთ ახალი მუხლი.

რკ. გზის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო საამქროში ითვლება 24-შავი მუშა. თითეული მათგანი აკეთებს თვეში 75-მანეთს. უფროსის მუშის ან ოსტატის ჯამაგირი კი 180—მანეთს უდრის თვეში. ეს იმ დროს როდესაც სამჭედლო საამქროს შავ მუშებს უფრო მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, ვიდრე სხვა საამქროს შავ მუშებსა და სამჭედლოს საამქროს უფროს მუშებს.

მთავარ სახელოსნოს ადგილკომმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნეს აღნიშნულ მუშების ხელფასის მომატების საკითხი.

ი. ოქაური.

ორი საკითხი

(მთავარი სახელოსნო)

მთავარ სახელოსნოს სადურგლო საამქროს მუშები საჭიროდ სცნობენ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილი იქნეს მხერხავებზე სპეცტანსაცმელის დარიგების მუხლი. დღემდე მხერხავები რკინისგზელთა კავშირის უკანასკნელი განრიგებით ღებულობდნენ მხოლოთ წინსაფარებსა და ხელთათმანებს. დურგლები კი ღებულობდნენ მთელ კასტიუმს. მხერხავები მუშაობენ ღია ცის ქვეშ. ხშირად ქარში, წვიმაში და თოვლ ჭყაპშიც უხდებათ მუშაობა. ამიტომ შრომის კოდექსის თანახმად მხერხავებს უნდა მიეცეთ სპეცტანსაცმელის მთელი კომპლექტი.

მეორე საკითხი, ეს არის ხელოსნების, თავისუფალი დაჯგუფების საკითხი. ამ უკანასკნელ ხანებში ალბად მთავარ-სახელოსნოს ადმინისტრაციის განკარგულებით, სადურგლო საამქროში შემოიღეს ე. წ. თავისუფალი დაჯგუფება. ხელოსნები თავიანთი სურვილისამებრ ჯგუფდებიან ერთად და ღებულობენ სამუშაოს. ყველა მუშა ცდილობს რაც შეიძლება კარგ ხელოსანთან დაიჭიროს კავშირი. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ყველა კარგი და ახალგაზრდა ხელოსნები ერთად ჯგუფდებიან, ხნიერები კი რჩებიან ჯგუფიდ გარეშე, რადგან მათ კარგი ხელოსნები არ ღებულობენ თავიანთ ჯგუფში. ამიტომ ხელფასსაც სხვადასხვაირს აკეთებენ.

ახალ ხელშეკრულების განხილვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ეს გარემოება და შევიტანოთ მუხლები სპეცტანსაცმელსა და თავისუფალ დაჯგუფების მოსაწესრიგებლად.

ფილმეხ.

სპეცტანსაცმელი თავის დროზე დაგვირიგეთ

მატარებლის მზეთავები სპეცტანსაცმელს ვერ ღებულობენ თავის დროზე. თითქმის მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ უსპეცტანსაცმლოდ, რაც დაუშვებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

რკ. გზის ადმინისტრაცია ისეთ დროს დაურიგებს ხოლმე მზეთავებს სპეცტანსაცმლებს როდესაც საკითხი ისმება სპეცტანსაცმლის მეორეხელ დარიგების შესახებ. ეს ალბად იმიტომ ხდება, რომ ადმინისტრაცია სცდილობს მზეთავები ამუშაოს ერთი ხელი სპეცტანსაცმელით.

პროფკავშირმა უნდა შესძლოს ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეიტანოს მუხლი სპეცტანსაცმლის თავის დროზე დარიგების შესახებ.

მზეთავი.

სპეცტანსაცმელს არ ვღებულობთ.

(მოწამეთის კირის ქარხანა).

მოწამეთის კირის ქარხნის მუშები დღემდე არ ღებულობენ სპეცტანსაცმელს. მუშებს უმთავრესად მუშაობა უხდებათ ღია ცის ქვეშ, მაშინაც კი, როდესაც თოვლჭყაპი და წვიმების გამო შეუძლებელია გავლა.

გარდა ამისა კირის გამოწვაზე მუშაობა არ არის ადვილი საქმე. კირი სწვავს მუშის ტანსაცმელს და თვით მუშასაც ჯანმრთელობას უზიანებს. რამოდენიმეჯერ მოითხოვეს მუშებმა სპეცტანსაცმელი, მაგრამ ყურადღება არავინ არ მიაქცია.

ხელშეკრულების დადების დროს პროფკავშირმა უნდა ეცადოს შეიტანოს მუხლი სპეცტანსაცმლის დარიგების შესახებ მოწამეთის კირის ქარხნის მუშებზე.

კირელი.

როგორ მიმდინარეობს კოლხელშეკ. გადასინჯვა

ხელოვნების კავშირში

საქართველოს ხელოვნების პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიის ჩატარების შესახებ, როგორც ამხ. შესტოვმა აღნიშნა კოლხელშეკრულებების პროექტები ყველა წარმოებ, დაწესებულებებთა უკვე მზათ არის და განხილულია როგორც ადგილკომების, ისე სამეურნეო ორგანიზაციების მიერ. საერთო კრებების მიერ დამტკიცებულია და ხელმოწერილია კოლხელშეკრულებები რუსთაველის თეატრის დირექციასთან, წითელი არმიის და ფლოტის სახლის ადმინისტრაციასთან და სომხური, თურქული დრამების და ცირკის ადმინისტრაციასთან.

საოპერო თეატრის შესახებ ხელშეკრულების ათი მუხლი გადატანილია შემარიგებელ კამერაში და სამედიატორო სასამართლოში. საკინმრეწვის დირექცია კოლხელშეკრულების თოთხმეტი მუხლის შესახებ მოითხოვს, რომ ზოგიერთი მუხლი შესწორებულ იქნას და ზოგი სრულიადა ამოშლილი. საკინმრეწვთან საბოლოოდ კოლხელშეკრულების დადება შესაძლებელია დასრულდეს 20 დეკემბერს.

ძალიან ცუდი მდგომარეობაა მუშათა თეატრის კოლხელშეკრულების დადების საკითხი. აქ შესაძლებელია განმეორდეს წარსულ წლის ისტორია, როდესაც მუშათა თეატრის გამგეობას არ შეეძლო გამოეყო რწმუნებული ხელშეკრულების მოსაწერათ, რის გამო ქართული სექტორი წარსული წლის სეზონში მუშაობდა ისე, რომ კოლხელშეკრულება ძალში არ იყო დადებული და ხელმოწერილი. ეს საკითხი ცენტრალურმა გამგეობამ სამჯავროს დასვა მუშათა თეატრის გამგეობის სხდომაზე.

20 დეკემბრისათვის ხელმოწერილი იქნება ხელშეკრულებანი კონსერვატორიის, სამხატვრო აკადემიის ადმინისტრაციასთან და ა. ჰ. ქ. ს. კინო-თეატრებთან.

ვ. ხ.

სახალხო კვების წარმოებებში

სახალხო კვების კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ხანია, რაც გადმოგზავნა ახალი კოლხელშეკრულების პროექტი, მაგრამ ჯერ ამ პროექტის განხილვას და ფართო მასებში გადატანას არ შესდგომია სახალხო კვების კავშირის ადგილობრივი გამგეობა

წარმოება-დაწესებულებებში კოლხელშეკრულების გადასინჯვის კამპანია დაიწყო იანვრის პირველ რიცხვებში. ამჟამად კავშირის ცენტრალური გამგეობა აწარმოებს გამოკვლევას იმის შესახებ, თუ როგორ გატარდა ცხოვრებაში ძველი კოლხელშეკრულების მუხლები. ამის შემდეგ განხილულ იქნება ახალი კოლხელშეკრულების პროექტი და შეგუებული ადგილობრივი პირობებთან.

ქალაქის სასაკლაო

ქალაქის სასაკლაოში, 10 დეკემბერს, მუშების მასიურ კრებაზე განხილულ იქნა ახალი კოლხელშეკრულების პროექტი, თათბირში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა მუშამ. მუშები გამოეხმაურენ ახალ კოლხელშეკრულების პროექტს. ისინი გამოდიოდენ სიტყვებით და აყენებდნენ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებებს როგორც მაგალითად: ტრამვაის უფასო ბილეთები, საცხოვრებელ შენობების შეკეთება და სხვა. ყველა ეს განცხადებები მუშებისა შეტანილ იქნა მუხლებით ახალ კოლხელშეკრულების პროექტში.

მუშკოოპში

11 დეკემბერს, საქ. პროფსაბჭოს მცირე დარბაზში, შესდგა მუშათა კოოპერატივების მუშა-მოსამსახურეების კრება, სადაც განიხილეს ახალი კოლხელშეკრულების პროექტი და ახალი სატარიფო ცხრილი. მუშები უმთავრესად აღნიშნავდენ კვირა - უქმე დღეებში [illegible] დასვენებას. აგრეთვე მოითხოვდენ მუშა-მოსამსახურეების ჩამორჩენილ ხელფასის გადიდებას.

ნ. ჯ.

ყრილობები და თათბირები

სას.-სამ. ბანკების თავმჯდომარეთა თათბირი

პირველი დღე

კვირას გაიხსნა ა.-კ. რესპუბლიკების სასოფ.-სამ. ბანკების თავმჯდომარეების მეშვიდე თათბირი.

თათბირის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანები, 1927—28 წლის საფინანსო და საკრედიტო გეგმის განხილვა, სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის საპროცენტო განაკვეთების გადასინჯვა, ნედლეულ კულტურებისა და მელიორაციის საქმისათვის კრედიტების მიწოდების წესი, სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების წევრთა ხელახალი რეგისტრაციის საკით- გაწოთა კლბთრდ სუვოზგ აენმის კლბთრდ ხი, სასოფ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობების ახალ წესდებაზე გადაყვანა და სისტემის უმაღლეს ორგანოთა შორის გენერალური ხელშეკრულებების პროექტის განხილვა.

პირველ სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. კ. ჩხენკელი, რომელიც შეეხო სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის საკრედიტო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს, სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის და რეკონსტრუქციის პერიოდში.

ამხ. კ. ჩხენკელის მოხსენება

სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის სამი წლის არსებობა — ამბობს ამხ. ჩხენკელი საშუალებას გვაძლევს გამოვააშკარაოთ მისი ყველა მტკივნეული მხარეები და აღვნიშნოთ მიღწევები.

გვაქვს თუ არა მიღწევები? — ძალიან ცოტა. ეს აიხსნება იმით, რომ სუსტია სოფლის მეურნეობის კოოპერატიულად შეკავშირება. მთელს ამ.-კ. შეკავშირებულთა რიცხვი (1927 წელში) არ აღემატება მთელი სოფლის მოსახლეობის 21,5 პროცენტს. რესპუბლიკების მიხედვით: საქართველოში 21 პროც., აფხაზეთში 37, აზერბეიჯანში 21. ნახიჩევანში 41,3 და სომხეთში 16,7 პროც. აქვს ადგილი ზრდას, მაგრამ იგი უმნიშვნელოა. ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ვეძებოთ სასოფ. სამ. კოოპერაციის სუსტ ორგანიზაციულ მუშაობაში.

ამიტომ განსაკუთრებით სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საკითხს. გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირება უნდა მიმდინარეობდეს არა სესხების გაცემის, არამედ სასოფლო მეურნეობისათვის სამსახურის გაწევის ხაზით.

ძალზე სუსტად ვითარდებიან საზოგადოებრივი მეურნეობანიც (კოლექტიური, კომუნები, არტელები და სხვა). ლტოლვას მათდამი გლეხობის მხრივ უთუოდ აქვს ადგილი.

ამ საქმეში ადგილი აქვს არა სასურველ მოვლენას. სახელდობრ იმას, რომ კრედიტებს აძლევენ მხოლოდ ძლიერ მეურნეობებს, ისეთებს, რომელთაც შეუძლიათ მისი თავის დროზე დაბრუნება. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა დასაგმობია. კრედიტები უნდა მიეცეს ისეთ ამხანაგობებს, რომლებიც შეძლებენ თავის მეურნეობის აღდგენას და შემდეგ ამ კრედიტის დაბრუნებას. ერთი სიტყვით საჭიროა ამ საქმეში გლეხობისადმი კლასიური თვალსაზრისით მიდგომა. კულაკურ მეურნეობებს კრედიტები არ უნდა მიეცეს და თუ მათ აქვთ მიღებული ასეთები — უნდა ჩამოერთვას.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ერთეულ ღარიბ და საშუალო, შეძლების მეურნეობათა კოლექტიურად განვითარებას და დაქირავებულ შრომის ლიკვიდაციას.

ღარიბ მეურნეობათა კოოპერატიულად შეკავშირების დროს ბუნებრივად ისმება საკითხი შეუძლიათ თუ რაა მათ პაის და საწევრო გადასახადის შეტანა? — ამისათვის შექმნილია სპეციალური ღარიბთა ფონდი. ამ ფონდს ხშირად ვერ იყენებენ ისე, როგორც საჭიროა. არის შემთხვევები, როდესაც მას ხარჯავენ მთლიანად. გლეხს ეს არავითარ სარგებლობას არ აძლევს. გლეხს უნდა მიეცეს თანხა საწევრო და საპაიო გადასახადის ნაწილის შესატანად. საკრედიტო ამხანაგობამ კი თვალყური უნდა ადევნოს იმას, თუ რა გაუმჯობესება დაეტყო გლეხის მეურნეობას ამხანაგობაში. წევრად ჩაწერის შემდეგ. თუ კიდევ შეიქნება საჭირო ამ გლეხისათვის დახმარების აღმოჩენა, მაშინ ღარიბთა ფონდიდან შეტანილი უნდა იქნეს მისი საწევრო და საპაიო გადასახადის დარჩენილი ნაწილი, თუ არა და გლეხი თვით გადაიხდის ამ დარჩენილ ნაწილს.

დასახელებულ მიზნის მისაღწევად უნდა გაძლიერდეს ეს ფონდი, რისთვისაც ა.-კ. და რესპუბლიკანურ ბანკებმა თავის 1926—27 წლის მოგებიდან უნდა გადადონ ათი პროცენტი. ამაში სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემას უნდა დაეხმარონ სასოფლო მეურნეობასთან ახლო მდგომი ორგანოებიც.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სასოფლო მეურნეობის მანქანებით მომარაგების საკითხს. ის ამბობს, რომ სოფლის მანქანებით მომარაგება უნდა გახდეს იარაღი ღარიბ გლეხობის ორგანიზაციულად შეკავშირებისათვის. ერთხელ და სამუდამოდ უარყოფილი უნდა იქნეს ერთეულ მეურნეობათა მომარაგება მსხვილ მანქანებით, რათა ეს იარაღ - მანქანები მათ ხელში არ გადაიქცენ გლეხურ მეურნეობათა ექსპლოატაციის საშუალებად.

ეხება რა გლეხობისათვის კრედიტების მიწოდების საკითხს ამხ. ჩხენკელი აღნიშნავს, რომ საკრედიტო სისტემის ქსელი მას ვერ იყენებს სათანადოდ. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რათა საწარმოო კრედიტები ატარებდენ გრძელ ვადიან კრედიტების ხასიათს. საჭიროა გრძელ ვადიან კრედიტების გადიდება და ეს კი მოითხოვს გრძელ ვადიან სესხების და ბანკების ძირითად თანხების გამოყენებას. მიმდინარე სამეურნეო წელს ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული რესპუბლიკანურ ბანკების ძირითადი თანხები არა ნაკლებ 50 პრ.-ც. და ა.-კ. ბანკის ძირ თანხების — 80 პროცენტი.

ამასთანავე ნედლეულ და საექსპორტო კულტურების წარმოებისათვის ფინანსების მიწოდების საქმე შეკავშირებულ უნდა იქნეს სასოფ.-სამ. საკრედიტო სისტემის ხელში. ისე, რომ მიმდინარე 1927—28 წელში სისტემამ ფინანსები მიაწოდოს ისეთ ძვირფას კულტურების წარმოებას, როგორიცაა: ბამბა, მატყლი, თამბაქო, აბრეშუმი და სხვა.

ზოგიერთ ბანკების დეფიციტიანობა მომხსენებელმა ახსნა მათი დიდი ხარჯებით და გაატარა ის აზრი რომ მომავალში საჭიროა ამ ხარჯების მაქსიმალური შემცირება და აპარატის გადახალისება. ამისათვის მომხსენებელმა მიუთითა მთელ რიგ ღონისძიებებზე.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მე-5 ყრილობა

18 დეკემბრის დილის სხდომა

სახელმწიფო გამომცემლობის მუშაობა

(ამხ. ბ. ბიბინეიშვილის მოხსენება)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ერთ ორი წლის წინად სახელგამის მუშაობა სწარმოებდა უგეგმოდ და, რაც მთავარია, ეს მუშაობა არ იყო შეფარდებული სახელგამის ფინანსიურ რესურსებთან ამჟამად კი ეს დეფექტები გასწორებულია. მიმდინარე წელს ყველა სკოლები უზრუნველყოფილი იქნა სახელმძღვანელო წიგნები [illegible] გამოცემული წიგნის ღირსება.

მომხსენებელი ეხება რა წიგნების გავრცელების საქმეს ამბობს,—რომ ამ საქმეში ჩაბმული იქნა კოოპერატიული ორგანიზაციები რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო.

მომხსენებლის სიტყვით, მომავალ წელში გამოცემული იქნება 400 სხვადასხვა სახელწოდების წიგნები ერთნახევარ მილიონი ტირაჟით.

გადადის რა ფინანსიურ მდგომარეობის დახასიათებაზე,—მომხსენებელი ამბობს, რომ სახელგამი ეხლა ფინანსიურად შევიწროვებულია. ეს გარემოება კი ხელს უშლის მის ნაყოფიერ მუშაობას. მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სახელგამის საბრუნავი თანხის გადიდება.

ამხ. ბიბინეიშვილის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საღამოს სხდომა

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს მუშაობა

(ამხ. გიულუმიანის მოხსენება)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის მეოთხე ყრილობიდან დღემდე გავიდა თითქმის ორი წელი. ამ ხნის განმავლობაში ბეჭდვითი მუშაკთა სექციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. ყველაზე უფრო საგულისხმო მოვლენას სექციის ცხოვრებაში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ განათლების მუშაკთა კავშირიდან ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექცია გადავიდა პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშაკთა სექციაში.

პირველ დეკემბრისათვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრებათ თბილისში ირიცხებოდა 542 კაცი, მაზრებში, ქუთაისის გამოკლებით, 46 კაცი. სულ კი 588 კაცი.

მომხსენებლის სიტყვით, ცენტრალურ ბიუროს კავშირი ადგილებთან მოისუსტებს. ამ ნაკლის გამოსასწორებლად მიმდინარე წელს ცენტრალურმა ბიურომ მოახდინა ბათომის და სოხუმის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციების გამოკვლევა. შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად მათ მიეცათ სათანადო დარიგებანი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა სექციის მიღწევები საორგანიზაციო, სატარიფო ეკონომიურ და კულტურულ დარგში.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციაში უმუშევრობა არსებობს მხოლოდ ტექნიკურ მომუშავეთა (შიკრიკები, ექსპედიტორები და კანტორის მოხელეები) შორის. რაც შეეხება ჟურნალისტებსა და ლიტერატორებს, მათ შორის უმუშევარი თითქმის არავინ არის.

დასასრულ, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის უმუშევართა მდგომარეობას საგრძნობლად გაუმჯობესდა მას შემდეგ, რაც აღნიშნული სექცია განათლების მუშაკთა კავშირიდან გადავიდა პოლიგრაფიულ მრეწველობის მუშაკთა სექციაში.

ამხ. გიულუმიანის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კამათში მონაწილეები აღნიშნავდენ ნაკლულოვანებებსა და მიღწევებს ამ დარგში.

ყრილობამ ცენტრალურ ბიუროს მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ ყრილობამ დეტალურად განიხილა პრაქტიკული წინადადებანი ამხ. ბიბინეიშვილის და გიულუმიანის მოხსენების გარშემო და მიიღო სათანადო რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებების შესახებ.

სხვათა შორის, ამხ. გულუმიანის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში შეტანილ იქნა მუხლი, რომლითაც ყრილობა სასურველად და მიზანშეწონილად სცნობს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან ჟურნალისტების და წიგნების მუშაკების მოსამზადებელ კურსების გახსნას.

არჩევნები

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროში ყრილობამ წევრებათ აირჩია ამხ. ნიკო კიკნაძე, აკაკი ჭყონია, გიულუმიანი, გალკინი, მინასბეკოვი, დანილოვი, იოვსი; რამიშვილი;; ტიტე სიხარულიძე; (ბათომი), მარტიროსიანი; და ნატროშვილი. კანდიდატებათ: ხეიფი, პორტუგიმოვი, დერმიშევი და ბაქრაძე.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. აკ. ჭყონია მდივნად კი გიულუმიანი.

ცენტრალური ბიურო არჩეულ იქნა ერთნახევარი წლით.

შემდეგ ყრილობამ აირჩია დელეგატები ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის საკავშირო ყრილობაზე დასასწრებლად მოსკოვში.

დელეგატებათ არჩეულ იქნენ. ამხ. აკაკი ჭყონია, რახმანი და ბიჭიკაშვილი. კანდიდატებათ ამხ. გიულუმიანი და მინასბეკოვი.

ყრილობის დახურვა

ყრილობის დახურვის წინ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პოლიგრაფიულ წარმოების მუშაკთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ფანცულაიამ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ყრილობის ნაყოფიერი მუშაობა და უსურვა ახალ ბიუროს მასზე დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება.

ამხ. ფანცულაიას სიტყვის შემდეგ ყრილობა დაიხურა.

აფთიაქებში მომუშავეთა ყრილობა

ყრილობის გახსნა

18 დეკემბერს, პროფკავშირთა მცირე დარბაზში გაიხსნა სრულიად საქართველოს აფთიაქებში მომუშავეთა მესამე ყრილობა. ყრილობაზე პროვინციიდან ჩამოსულია 100-მდე დელეგატი.

პრეზიდიუმის არჩევისა და დღის წესრიგის მიღების შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარშემო მოხსენებების მოსმენაზე.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაობა-საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვ. ანდღულაძე.

მომხსენებელი დაწვრილებით ეხება იმ საქმიანობას, რომელიც ჩაატარა ც. გამგეობამ გასული 8 თვის განმავლობაში. უკანასკნელი აღწერის თანახმად, ოქტომბრისათვის მედსანშრომის კავშირში ითვლებოდა 11.000 კაცი. ცენტრალური გამგეობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ადგილებთან ცოცხალი კავშირის გაბმას. ამ მიზნით ადგილებზე ეწყობოდა ცენტ. გამგეობის სესიები, იწვევდენ პლენუმებს სამაზრო პროფორგანოების მონაწილეობით, ეწყობოდა პროფრწმუნებულებისა და ადგილკომების წარმომადგენელთა თათბირები და სხ.

საანგარიშო ხნის განმავლობაში ჩატარდა მედსანშრომის სამაზრო განყოფილებათა და ავტონომიურ რესპუბლიკების მედსანშრომ. ორგანიზაციების გამოკვლევები. თბილისში ცენტრ. გამგეობის ინიციატივით გაიხსნა ფარმაცევტული ტეხნიკუმი და მოკლევადიანი საფარმაცევტო კურსები.

კულტმუშაობის მხრივ მომხსენებლის სიტყვით, გასული საანგარიშო პერიოდი უნდა ჩაითვალოს დიდ მიღწევათა პერიოდათ.

დასასრულ მომხსენებელი ჩერდება სატარიფო-ეკონომიურ საქმიანობაზე, კავშირის წევრთა მუშაობის პირობებზე, ხელფასის ზრდაზე და სხ.

მეორე სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი ცენტრალური გამგეობის საანგარიშო მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტმა დელეგატმა.

ორატორები აღნიშნავდენ ც. გამგეობის მუშაობის დადებით მხარეებს და საჭიროდ თვლიდენ, რათა გამგეობამ თავის საქმიანობა განაგრძოს აღებული კურსის მიხედვით. გარდა ამისა ორატორები გამოთქვამდენ სურვილს, რომ პროვინციაში მომუშავეთა ხელფასი გათანასწორებულ იქნას თბილისში მომუშავეთა ხელფასთან.

კამათის დროს გამოითქვა აგრეთვე აზრი, სახმედაფთიაქოსა და ცენტრალურ სააფთიაქო სამმართველოს გაერთიანების შესახებ, ვინაიდან ზოგიერთი ორატორის აზრით ორივე ეს დაწესებულება ემსახურება თითქმის ერთსა და იმავე მიზანს და ამიტომ მათი ცალ-ცალკე არსებობა უნდა ჩაითვალოს მიზანშეუწონლად.

მესამე სხდომა

19 დეკემბრის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ჯანსახკომის ფარმაცევტიულ განყოფილებათა წარმომადგენლის ამხ. ა. მშვიდობაძის მოხსენება განყოფილების მუშაობა-საქმიანობის შესახებ. მომხსენებელმა გააშუქა რესპუბლიკის სამკურნალო დაწესებულებათ. მდგომარეობა მედიკამენტების მხრივ და აღნიშნა თუ რა სიძნელეები ელობება ფარმაცევტიულ განყოფილებას ამ დარგში.

თანამომხსენებლათ ამავე საკითხზე გამოვიდნენ სახმედაფთიაქოს წარმომადგენელი ამხ. მ. ხაბაშვილი და სააფთიაქო სამმართველოდან —ამხ. ა. კობალაძე.

სასკოლო აღწერა

განათლების სახალხო კომისარიატის ცნობით სასკოლო აღწერა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მთელ საქართველოში და ავტონომიურ რესპუბლიკებში.

მაზრებიდან მიღებული ცნობებით, სენაკის, ოზურგეთის და აგრეთვე ზოგიერთ სხვა მაზრაში აღწერა დამთავრდა. აღწერა სავსებით დამთავრდა თბილისსა და მის მაზრაშიაც. ზოგიერთ რაიონებში აღწერას ხელი შეუშალა ცუდმა ამინდებმა, მაგრამ აღწერა მაინც დამთავრდება ყველგან განსაზღვრულ დროზე.

სახელმწ.ფო პოლიტსამმართველოს ათი წლისთავს

ბრძანება

სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოსი

მოსკოვი, 19 დეკმ. გამოქვეყნებულია საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება ამხ. ვოროშილოვის ხელის მოწერით.

„საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭო მუშურ - გლეხური წითელი არმიის სახელით, ნათქვამია ბრძანებაში,— გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ათი წლის იუბილეს გამო, მხურვალე სალამს უძღვნის თავის სახელოვან თანამებრძოლს პროლეტარული სახელმწიფოს დაცვის საქმეში. ეს უდიდესი დამსახურება მუშათა რევოლიუციის წინაშე სამართლიანათ აღნიშნულია ცაკის მიერ, რომელმაც გაერთიანებული პოლიტიკური სამმართველო დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით, საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის სიმბოლოთი. სამხედრო რევოლიუციონური საბჭო ესალმება ჯარებს და გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოებს ათი წლის სახელოვანი არსებობის გამო და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას მათ შემდგომ თავდადებაში პროლეტარული საქმისათვის, მსოფლიო რევოლიუციისთვის. საუკუნო ხსენება ტანჯულ გმირებს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის—გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მუშაკებს, რომელნიც დაიღუპენ მძიმე პოსტზე თავის მოვალეობის შესრულების დროს. გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციის ბასრ მახვილს, მუშების და გლეხების ერთგულ მეგობარს — გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს. (ადს).

მისალმებები

ს. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისაგან

მოსკოვი, 19 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტი გაერთიანებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველოს არსებობის ათი წლის თავზე მხურვალეთ ესალმება მის გმირულ ბრძოლას სოციალიზმის და პროლეტარული დიქტატურის ურიცხვ მტრებთან.

„დეე დარჩეს,—ნათქვამია მისალმებაში,—სიტყვა „ჩეკისტი" ყველაზე საძულველ სიტყვათ პროლეტარული დიქტატურის მტრებისათვის, დეე გაერთიანებულ სახელმწიფო-პოლიტიკურ სამმართველომ გამოიწვიოს მათში შიში და სიძულვილი,—მუშათა კლასი და მშრომელთა მასები პატივისცემით და სიყვარულით მოეპყრობიან ამ რევოლიუციონური ხელისუფლების პირმშო შვილს და ყოველგვარ საშუალებით დაეხმარებიან მას საპასუხისმგებლო ჩეკისტურ მუშაობაში" (ადს).

დროშის გადაცემა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს № ლეგიონისათვის

ა.-კ. ცაკისაგან

სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს 10 წლის თავის გამო, ამ.-კავკ. ცაკის პრეზიდიუმის მიერ გაგზავნილია ამ.-კავ. სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს თავმჯდომარის სახელზე შემდეგი მისალმება:

„ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი ამიერკავკასიის მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს—გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს სახელოვან მედროშეს ამიერ-კავკასიაში. ათი წლის მუშაობამ პროლეტარული რევოლიუციის დაცვის პოსტზე სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს ორგანოებიდან შექმნა ურყევი ციხე-სიმაგრე, რომლის კალავანზე იმსხვრევა საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან მტრების ყველა ცდები, მიმართული მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს განადგურებისაკენ. პირველი ათი წელი სახელმწიფო პოლიტ. სამმართველოსი, რომელიც გადაკეთებულია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიიდან, სამუდამოდ შევიდა საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიაში: უაღრესად მძიმე ხანებში, როდესაც სისხლიანი რკალი გარს ერტყმოდა საბჭოთა მიწა-წყალს, გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ორგანოები შეუპოვარი ენერგიით იგერიებდენ რევოლიუციისადმი მტრულად განწყობილ ძალთა ყველა იერიშებს. ამიერ-კავკასიის სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს ამ მუშაობაში ხვდა უმძიმესი ამოცანა—დაეცვა ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი ორ მსოფლიოს მიჯნაზე საბჭოთა მსოფლიოს და კაპიტალისტური მსოფლიოს მიჯნაზე.

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ათი წლის თავზე ამიერ-კავკასიის ცაკი გამოსთქვამს იმედს, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო და ყველა მისი ორგანოები მომავალშიაც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ხელისუფლების მტრებს და არ დაუშვებენ ახალ თავდასხმებს მის არსებობაზე". (ადს).

ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს. მისალმებაში ნათქვამია:

„ა.-კ. სახ. კომ. საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის სრ. რუსეთის საგანგებო კომისიას—გაერთიანებულ სახ. პოლიტიკურ სამმართველოს, მისი არსებობის სახელოვან ათი წლისთავის შესრულების გამო, საბჭოთა ხელისუფლება რუსეთში იშვა, როგორც მსოფლიოში პირველი პროლეტარული რესპუბლიკა, როგორც ოქტომბრის რევოლიუციის ნაყოფი, ერთი მხრივ—რუსეთის კაპიტალისტებთან და მემამულეებთან და მეორე მხრივ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან გააფთრებულ ბრძოლაში. საგანგებო კომისიის—გაერთიანებულ სახ. პოლიტ. სამმართველოს ძლევამოსილმა ბრძოლამ კონტრ-რევოლიუციასთან, საბოტაჟთან და პროლეტარიატის დიქტატურის დასამხობად წარმოებულ სხვა მუშაობასთან სამუდამოდ უზრუნველყო ყველა მშრომელთათვის, განურჩევლად რასისა და ეროვნებისა, თავისუფალი მშვიდობიანი ცხოვრება.

მხოლოდ დაუღალავი ფხიზელი თვალის —გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს და წითელი არმიის ძლიერების იმედით საბჭოთა კავშირის მშრომელთ შეუძლიათ მშვიდობიანად განაგრძონ თავისი სოციალისტური მშენებლობა კომუნიზმის საბოლოო გასამარჯვებლად ჩვენში და მთელს მსოფლიოში. გაუმარჯოს საგანგებო კომისიას —გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს, — პროლეტარიატის დიქტატურის ერთგულ დარაჯს! გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას—კომუნიზმის გამარჯვების საწინდარს!

ა.-კ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მუსაბეკოვი

საქ. ცაკისაგან

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი საქართველოს მშრომელთა სახელით მხურვალეთ მიესალმება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს,—დიდი ოქტომბრის მონაპოვართა ღირსეულ დარაჯს.

საქართველოს ცაკი, სიამაყით აღნიშნავს, რომ პროლეტარიატმა 10 წლის განმავლობაში შექმნა ისეთი მტკიცე ციხე-სიმაგრე პოლიტიკურ სამმართველოს სახით, რომელზედაც იმსხვრეოდა და იმსხვრევა საბჭოთა კავშირის მტრების ყოველგვარი ცდა და განზრახვა მიმართული მსოფლიოში ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს დამხობისაკენ.

პოლიტიკური სამმართველო საბჭოთა კავშირის მძიმე მომენტებში, სამოქალაქო ომის დროს ეწეოდა ფრიად საპასუხისმგებლო მუშაობას და თავის შორსმჭვრეტელი მოქმედებით საშუალებას უსპობდა მტრებს განეხორციელებიათ თავიანთი განზრახვები მშრომელთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

სამოქალ. ომში სასტიკი დამარცხების შემდეგ კონტრ-რევოლიუციამ დაიწყო ბრძოლის ახალი მეთოდების და გზის გამონახვა პროლეტარულ ხელისუფლების დასამხობათ. მაგრამ, პოლიტიკური სამმართველო აქაც თავის მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და კონტრ-რევოლიუციის ზრახვებს—ხელი შეეშალათ ჩვენი მშვიდობიანი და სოციალისტური აღმშენებლობისათვის, ძირშივე სპობდა.

პოლიტიკურ სამართველოს 10 წლის თავზე საქართველოს ცაკის პრეზიდიუმი გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ საქართველოს პოლიტიკური სამმართველო და მისი ორგანოები, კვლავ ენერგიულად დაიცავენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას—საბჭოთა ძალა-უფლებას.

საქართ. ცაკის პრეზიდიუმი.

სახ. პოლიტსამმართველოს ნაწილების აღლუმი

„დინამოს" სტადიონზე

კვირას, 18 დეკემბერს, „დინამო"-ს სტადიონზე სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ათი წლის თავის დღესასწაულის გამო გაიმართა ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოების ჯარის ნაწილების აღლუმი, რომელსაც დაესწრენ ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოების და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდიუმის წევრები, პარტიული, პროფესიონალური, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა წარმოებათა მუშათა დელეგაციები, პიონერთა რაზმები და მრავალი მოქალაქეები.

აღლუმის მიღება

დილის 10 საათისათვის სტადიონის ფართო მოედანზე საალლუმოდ უკვე ჩამწკრივებული იყვნენ ა.-კ. და საქ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოების ჯარის ყველა ნაწილები. სრულ 10 საათზე აღლუმი მიიღო საქ. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. სტანსკიმ.

საკავშირო მთავრობის ჯილდო

აღლუმის მიღების შემდეგ ამხ. იაკუბოვმა სრულიად საკავშირო ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სახელით პოლიტიკურ სამმართველოს ერთ-ერთ პოლკს გადასცა წითელი დროშა და თან შემდეგი სიტყვებით მიმართა: „საბჭოთა კავშირის მთავრობა, მუშურ-გლეხური მასსები დარწმუნებული არიან, რომ სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს სამხედრო ნაწილები ისეთივე გულმოდგინეობით და თავდადებით შეასრულებენ დიდ მასწავლებლის—ვლადიმერ ილიჩის და რევოლიუციის მებრძოლ სახელოვან ჯარისკაცის ფ. ძერჟინსკის ანდერძს, როგორც ასრულებდნენ მას სოციალისტური სამშობლოს უდიდესი განსაცდელის დროს. საკავშირო ცაკი სახელით გამოვსთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ჯარის ნაწილები მუშათა კლასის მოსისხლე მტრების სასტიკ შემოტევის დროს არ დახრიან რევოლიუციონური ბრძოლის დროშას და გმირულად მიიტანენ მას საბოლოო გამარჯვებამდე. გასწით წინ! იბრძოლეთ ისე, როგორც დღემდე გიბრძოლიათ და საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანეთ ოქტომბრის რევოლიუციით მიერ დაწყებული დიდი საქმე.

თბილისის პროლეტარიატის სალამი

თბილისის საბჭოს სახელით ჯარის ნაწილებს მიესალმა ამხ. ვ. მესხი და გადასცა თბილისის პროლეტარიატისაგან მიძღვნილი წითელი დროშა. ამხ. მესხმა გამოსთქვა რწმენა, რომ სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ერთგული მუშაკები შემდეგშიაც გმირულად შეასრულებენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიერ მათზე დაკისრებულ რევოლიუციის ფხიზელ დარაჯის მძიმე და თან საპატიო მოვალეობას.

ამხ. სტანსკის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. სტანსკიმ, რომელმაც განაცხადა შემდეგი:

— სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო არის საკავშირო პროლეტარიატის ბასრი მახვილი, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა—აი ის დიდი ღვაწლი, რომელიც მიუძღვის სრ. რუსეთის საგანგებო კომისიას საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასსების წინაშე. არა ნაკლები დამსახურება აქვს საგანგებო კომისიას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, რომლებიც დაშნაკების, მენშევიკების და მუსავატელების დროს წარმოადგენდენ კონტრ-რევოლიუციის ბუდეს და მოწამლული იყვნენ ნაციონალისტური შხამით. საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მუშაკები მომავალშიდაც მტკიცეთ დაიცავენ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარს და არასდეს ძირს არ დახრიან კომუნისტურ წითელ დროშას.

—:—

აღლუმის დამთავრების შემდეგ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრი სროლაში და სასპორტო წრეების გამოსვლა.

6.539.500 მანეთი

მრეწველობის განსავითარებლათ

მოსკოვიდან დაბრუნდა ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წევრი ამხ. სააკიანი, რომელიც მივლინებული იყო იქ საქართველოს მრეწველობისათვის საჭირო სამრეწველო-საფინანსო გეგმის დამტკიცებაში მონაწილეობის მისაღებათ და ახალი მშენებლობის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად

ჩვენს თანამშრომელს ამხ. სააკიანმა განაცხადა:

— საქართველოს მრეწველობის საკონტროლო ციფრები დამტკიცებული იყო ცენტრში ჯერ კიდევ გასულ ზაფხულზე.ეს თანხა ამჟამად დატოვებულია თითქმის უცვლელად.სულ 1927—28 საბიუჯეტო წლის განმავლობაში მთელ რესპუბლიკანურ მრეწველობაზე, გარდა ელექტროფიკაციო სამუშაოებისა, დახარჯული იქნება 6.539.500 მანეთი.

ეს თანხა ნაწილდება 19 ძირითად სამრეწველო ერთეულზე შემდეგნაირად: სატყეო მრეწველობის ტრესტს—1,873.000 მან., ბზიბის სახერხ ქარხანას—390.000 მან., ცხინვალის სახერხ ქარხანას—144.000 მან., აჭარისტანის სატყეო მრეწველობას—105,000 მან., სატყეო-ქიმიური ქარხნის პროექტის შესადგენათ—40.000 მან., ლითოგრაფიულ ქვების სამუშაოთათვის—7.000 მან., ბარიტის მრეწველობისათვის—160.000 მან., ცემენტის ფაბრიკის ასაგებათ—760.000 მან., სანიფუზორიო მიწის დასამუშავებლათ—55.000 მან., აგურ-კრამიტის ქარხნების ასაგებათ—175,000 მან., საბრეშუმო მრეწველობისათვის—300.000 მან., მაუდის ფაბრიკის ასაგებათ—1.700.000 მანეთი, საკონსერვო ფაბრიკის ასაგებათ გორში—250.000 მან., ტყავტრესტს—85.000 მან., ლითონტრესტს—275.000 მან., ტყიბულის მაღაროებში რაციონალიზაციის ჩასატარებლათ—460000 მან. და ტყვარჩელის საქვანახშირო რაიონის გამოსაკვლევად—200.000 მანეთი.

პოეტ ბაჩანას გარდაცვალების გამო

(მოკლე ბიოგრაფია)

პოეტი ნიკოლოზ პავლეს ძე რაზიკაშვილი — ბაჩანა (ვაჟა ფშაველას ძმა) დაიბადა 1866 წელს სოფ. ჩარგალში (ფშავში). პირველდაწყებითი სწავლა მიიღო მშობლების ოჯახში, ხოლო შემდეგში იგი სწავლობდა გორის სემინარიაში. კურსი დაამთავრა 1885 წელს.

პირველი მისი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში" 1884 წელს. ამ დროიდან იგი ხსენებულ გაზეთის მუდმივი თანამშრომელი ხდება.

მან დასწერა ლექსებისა და პოემების მთელი სერია რეაქციის მიერ განადგურებულ მთიელთა ცხოვრებაზე. მაშინდელ მისი პოემებიდან აღსანიშნავია „თაღლაურა", „გასამართლებული მყინვარი", „ორმუზი და ამირანი" და მრავალი სხვა ლექსები.

1902 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მისი პოემა „დიაკვნიანი". ამავე ხანებში დაიბეჭდა მისი ლექსები „მუხას", „გზა აბნეული", „სიზმრად" და სხ.

ამას გარდა, პოეტს დაუბეჭდავი დარჩა დიდი ანტირელიგიური პოემა „წალობა", „ციხელა" და მრავალი პატარ-პატარა მოთხრობები.

უკანასკნელ ხანებში მუშაობდა თავისი ნაწარმოებების სრული კრებულის გამოსაცემად.

1924 წელს გამართული იქნა მისი 40 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე. მოხუცი პოეტის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა მისი ამაგი ლიტერატურისა და განათლების ფრონტზე.

ჟურნალ - გაზეთებში თანამშრომლობის გარდა, პოეტი ერთგულად ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს. სასწავლებლის დამთავრების დღიდან განუწყვეტლივ მასწავლებლობდა ხევსურეთში, კახეთში, ფშავში და აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ სოფლებში და დაბა-ქალაქებში.

ბოლო ხანებში ძალიან დაიმორჩილა ავადმყოფობამ. ქრონიკული ბრონხიტი საშუალებას არ აძლევდა ისევ ემუშავნა მისი საყვარელი საქმისათვის. ექიმობდა თბილისში.

ვ. ღ—ლი.

დამკრძალავი კომიტეტი

პოეტ ნიკოლოზ პავლესძე რაზიკაშვილი-ბაჩანას გარდაცვალების გამო, გუშინ, 19 დეკემბერს ხელოვნების სასახლეში შესდგა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის საგანგებო სხდომა. სხდომამ აირჩია განსვენებულის დამკრძალავი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ს. თოდრია, ს. აბაშელი, ტ. ტაბიძე, კ. ლორთქიფანიძე. პ. იაშვილი, ს. შანშიაშვილი, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, გ. ბუაჩიძე, ს. თოხაძე, ლ. ჯაფარიძე, ვ. კოტეტიშვილი, არ. ჭუმბაძე, პლ. კეშელავა, შიო მღვიმელი, ვ. ტუხაშვილი, და ა. ქუთათელაძე.

სხდომის დადგენილებით ბაჩანას ნეშთი დაიკრძალება ხუთშაბათს, 22 დეკემბერს ქართველ მოღვაწეთა პანთეონში—დიდუბეში.

დღეს, 20 დეკემბერს დღის 1 საათზე ხელოვნების სასახლეში მოწვეულია დამკრძალავ კომიტეტის სხდომა, რომელიც შეიმუშავებს საპროცესიო გეგმას.

განსვენებულის დაკრძალვისათვის საჭირო ხარჯები გაიღო სახკომსაბჭომ და განათლების სახ. კომისარიატმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. ა. უსუბოვის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილების გამგეთ და ა.-კ. საბამბო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის მეორე კანდიდატათ დაინიშნა ამხ. აბდულ უსუბოვი.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება ამიერ-კავკასიის იმ დაწესებულებებში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან დაიწყება 1928 წლის 1 იანვრიდან.

ამჟამად ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების გასატარებლად.

შრომის პირობების გაუმჯობესება

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილება ახლო ხანში შეუდგება მუშაობას შრომის პირობების რადიკალურად გაუმჯობესებისათვის ამიერ-კავკასიის ყველა წარმოებებში. ამ მიზნით განყოფილება ამჟამად იმუშავებს სათანადო ინსტრუქციას და ამზადებს სხვა მასალებს, რომლებიც საფუძვლად დაედება აღნიშნულ მუშაობას.

მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ

შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით სახელმწიფო, საზოგადო, კოოპერატიულ და კერძო წარმოება-დაწესებულებებს წინადადება ეძლევათ დათხოვნის ან შემცირების გამო სამუშაოდან მოხსნილ მუშა-მოსამსახურეებს მისცენ მოწმობა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იქნას: სამუშაოდან მოხსნილის 1) გვარი, სახელი და მამის სახელი, 2) სად და რამდენ ხანს მუშაობდა, 3) პროფესია, 4) თანამდებობა, 5) ხელფასის განაკვეთი, 6) საშუალო ხელფასი უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში, 7) დათხოვნის დღემდე მიცემული ხელფასი, სალიკვიდაციო დახმარება და სხვ.

საორგანიზაციო განყოფილებათა თათბირი

დეკემბრის მეორე ნახევარში თბილისში მოწვეულია საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების და ამიერ-კავკასიის დედა-ქალაქების და სამაზრო ქალაქების საბჭოების საორგანიზაციო განყოფილებათა მუშაკების თათბირი.

თათბირზე განხილული იქნება საკითხი ქალაქის საბჭოების დებულების შესახებ და აგრეთვე გამომუშავებული იქნება ღონისძიებები საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად.

სამეცნიერო ლიტერატურის შემოტანა საზღვარგარეთიდან

საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების საკონტროლო და საცდელ სათესლე სადგურებს უფლება ეძლევათ უბაჟოთ შემოიტანონ საზღვარგარეთიდან სამეცნიერო მუშაობისთვის სამეცნიერო ლიტერატურა, აპარატები, ხელსაწყოები და ინსტრუმენტები.

აგრონომიული კონფერენცია

წინანდალის სახალხო მამულში 15 დეკემბერს, მოწვეული იყო აგრონომიული კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 50 სპეციალისტი. კონფერენციაზე განხილული იქნა აგრონომების მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი, შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები მევენახეობა-მეღვინეობის, ტყის მეურნეობის და მიწათმოწყობის შესახებ. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხს ყველა საკითხებზე კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლიუციები და გამოიმუშავა ღონისძიებები მათ გასატარებლად ცხოვრებაში.

აგრონომები

სიღნაღის მაზრაში აგრონომიული მუშაობის გასაძლიერებლად მოწვეული იქნა დამატებით 8 აგრონომი. ამჟამად მაზრაში სულ მუშაობს 12 აგრონომი. თითო აგრონომს თვეში ეძლევა 130 მანეთი, უფასო ბინა განათება-გათბობით და ცხენი თავის რაიონების შემოსავლელად.

აბრეშუმის თესლი

საქციო საზ-ბა „საქართველოს აბრეშუმის" და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით ქუთაისში მოეწყო აბრეშუმის თესლის დამამზადებელი სადგური-სათბური.

მიწსახკომმა ამ სათბურის მუშაობის გამოსაკვლევად ქუთაისში მიავლინა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო სადგურის მუშაობა.

წელს აღნიშნული სათბური დაამზადებს 60.000 კოლოფ თესლს. ქუთაისის სააბრეშუმო სადგურს დაევალა ამ სათბურში დამზადებული თესლი შესამოწმებლად გადმოუგზავნოს რესპუბლიკის ცენტრალურ სადგურს—თბილისში.

კულტმუშაობა ქურთ-ეზიდებს შორის

თბილისის პოლიტგანი შეუდგა კულტმუშაობის წარმოებას ქურთ-ეზიდებს შორის, რომელთა რიცხვი თბილისში უდრის 8.000 კაცს. ლუკაშინის სახელობის ქურთ-ეზიდების კლუბში ეწყობა რადიო, საბუნებისმეტყველო და წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები რუსულ და სომხურ ენებზე, ცნობათა ბიურო, ლექციები და გამოკვლევები სანიტარულ-ჰიგიენურ საკითხებზე და სხვა.

კლუბს დაუკავშირდება სომხური და თურქული დრამატიული წრეები. ქალთა შორის მასიური მუშაობის საწარმოებლად მოწვეული არიან საქ. კ. პ. (ბ) ცეკასთან არსებულ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების თანამშრომლები. მოეწყობა საჩვენებელი გასამართლება იმ ქურთებისა, რომლებიც მასიურ ჩხუბს აწყობენ ქურთებს შორის.

თბილისის აღმასკომში

◆ წყალსადენის ქსელის შესაკეთებლად გადადებულია 33.280 მან.,

◆ სახლების შემოწმება. თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა გამოიკვლიოს კერძო პირთ მფლობელობაში მყოფ სახლების მდგომარეობა,

◆ ტრამვაის ახალი ხაზების გასაყვანად გადადებულია 40.000 მანეთი.

◆ შრომის ბირჟასთან უმუშევრებისათვის აღმასკომი აწყობს სასადილოს,

◆ ტყეების გაშენება. სატყეო სექციამ გადასწყვიტა წელს მაზრაში შეუდგეს ახალი ტყეების გაშენებას.

◆ საკურორტო სექციას დაევალა შეადგინოს თბ. მაზრის კურორტების კეთილმოწყობის ფართე გეგმა.

მიწსახკომში

◆ ხეხილის ნერგები. მუხრანის სახალხო მამულმა დაამზადა 30 ათასამდე ძირი სხვადასხვა ხეხილის ნერგი მეურნე გლეხებს შორის გასანაწილებლად.

◆ ჯიშიანი ძროხები. მიწსახკომმა დუშეთის მაზრაში—გუდაურში მოაწყო ჯიშიან ძროხების მოსაშენებელი სადგური.

სხვადასხვა

◆ პენსიების დარიგება. ცაკთან არსებულ სოციალურუზრუნველყოფის განყოფილებამ გადასწყვიტა პენსიონერებს პენსიები დაურიგოს ფოსტის საშუალებით.

◆ სას.-სამ. გადასახადი. მიმდინარე წლის დასაწყისიდან დღემდე საქართველოში სას.-სამ. გადასახადის სახით აკრეფილი იქნა 730.000 მანეთი.

◆ თათბირი. 27 დეკემბერს თბილისში გაიხსნება თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკთა ამ.-კავკასიის თათბირი.

შემთხვევები

მოწამვლა ღორის ხორცით

კვირას, 18 დეკემბერს, ღამით ღორის ხორცით მოიწამლა ვასილ გოდერძაშვილის (ნოვოროსიის ქ. № 10 ნაძალადევი) მთელი ოჯახი (9 კაცი.) და ამ ოჯახში სტუმრათ მყოფნი: ქეთო ტარიაშვილი და ლიზა გოგოლაძე.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდა გამომძიებელი შ. ზედგენიძე.

გამოძიებით გამოირკვა შემდეგი:

შაბათს, 17 დეკემბერს, გოდერძაშვილს თავის ოჯახში გაუმართავს ლხინი, ქეიფი მეორე დღესაც გრძელდებოდა. კვირას ნაშუადღევს სტუმრები (გარდა ორი კაცისა) ყველანი წავიდნენ თავიანთ ბინებზე. წინა დღის ნარჩენი მოხარშული ღორის ხორცი მეორე დღეს უჭამია გოდერძაშვილის ოჯახობას და ორ სტუმარს.

ცოტა ხნის შემდეგ გოდერძაშვილის ერთ-ერთ შვილს დედისთვის უთქვამს, რომ იგი ცუდათ გრძნობს თავს და გული ერევა. საჩქაროთ მოიწვიეს ექიმი. ამ დროს მთელი ოჯახის წევრებსა და ორ სტუმარსაც დაუწყო გულის რევა.

მოწვეულმა ექიმმა მოწამვლის ფაქტი დაადასტურა.

მოწამლული პირები გადაგზავნეს კამოს სახელობის საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, მოწამვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ღორის ხორცი ღამით შეუნახავთ ბინძურ ჭურჭელში.

გამომძიებლის განკარგულებით, ღორის ხორცის ნიმუში საანალიზოთ გადაიგზავნა ჯანსახკომის ქიმიურ ლაბორატორიაში.

თავდასხმა მაღაზიაზე

გუშინ, დღისით აკოფ საფარიანცის მაღაზიაში (საბჭოს ქ. № 5) შეიჭრა ორი ქალი და ორი კაცი და გაიტაცეს 5 საათი. მოქ. საფარიანცმა მომხდარი ამბის შესახებ აცნობა საგუშაგოზე მდგომ მილიციელს. ერთი თავდამსხმელთაგანი დააპატიმრეს. იგი აღმოჩნდა ნ. ბრო. დანარჩენი ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

თვითმკვლელობის განზრახვა

გუშინ, თვითმკვლელობის მიზნით სულემის ხსნარით თავი მოიწამლა ელენე მოსეს ასულმა ჯიქიამ.

ჯიქიას ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ქურდი-რეციდივისტი: არმენ ამოევი, იაკობ ასლანოვი, მარტიროს სარქისისძე პაპაიანცი, ი. ბაშიანცი, მნაცაკან სტეფანიანცი, ვლადიმერ მიხაილოვი და ფორის ნაუმისძე ფრიდმანი.

ზემოთ ჩამოთვლილი პირები თბილისში ეწეოდენ საცხოვრებელი ბინებისა და მაღაზიების სისტემატიურ გაქურდვას.

ქურდობა

გუშინ, ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 25 შემთხვევას.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„კარმენსიტა"

(ბალეტმეისტერი ლუკინის, პირველი დადგმა)

„კარმენსიტა"—ბრწყინვალე და კოლორიტული მიმოდრამაა, მისი შინაარსი აღებულია პროსპერ მერიმეს ცნობილ რომანიდან (აქედანვეა აღებული ოპერა „კარმენის" სიუჟეტი). ყველა ძირითადი მომენტები იგივეა, რაც ოპერაში. კარმენი—ნატურალისტური დრამაა, ასევე ნატურალისტურია დრამის ყველა მოქმედი პირი, ამიტომ ამ დრამის განსახიერება საბალეტო ხასიათის მიმოდრამად, ასახვა ისე, რომ წარმოდგენისადმი ინტერესი იზრდებოდეს მოქმედების განვითარებასთან ერთად თავის-თავად დიდი დამსახურებაა ბალეტმეისტერ ლუკინის, რომელიც ამ მიმოდრამის ავტორია. მიმოდრამის დედააზრად აღებულია რწმენა ბედისწერისადმი; რწმენა იმის, რომ ყოველ ადამიანს არ ასცილდება ის, რაც მას ბედით უწერია. ამ შემთხვევაში ბედისწერამ მთლიანად დაიპყრო დრამის გმირი ქალი კარმენსიტა.

მთავარი იმპულსია მის მოქმედებაში — თავისუფლება სულის; კარმენსიტა ინტუიტურად მიილტვის დასახულ მიზნისკენ, ანგრევს მის გზაზე აღმართულ დაბრკოლებებს და მიდის წინ, სანამ არ ხდება ბედისწერის მსხვერპლი. ეს ძირითადი ხაზი უფრო ნათლად, უფრო დინამიურადაა გატარებული ლუკინის მიმოდრამაში, ვიდრე ოპერაში. დადგმაში ცოტაა ცეკვა, უფრო სჭარბობს ჯგუფური სცენა. (ახალი მიმართულება ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში).

ბალეტის ყველა მსახიობნი ხელს უწყობდენ დრამის განვითარებას, ამაში მათ ეხმარებოდენ კორდებალეტის ზოგიერთი მოცეკვავე ქალები და პერინის სკოლის სტუდიელები.

როგორც სჩანს ლუკინს ბევრი შრომა დაუხარჯავს იმაზე, რომ ყოველ ფიგურანტს განეცადა სცენა და დრამაში მიეღო მონაწილეობა. აი რატომ სტოვებს წარმოდგენა მთლიან შთაბეჭდილებას.

დადგმა კოლორიტული და მხატვრულია. ეტყობა კარგი მომზადება.

ცენტრალურ ფიგურის—კარმენსიტას გარკვეულ სახეს იძლევა თამარ ჭაბუკიანი. ის პლასტიურია, კარგია მიმიკა, მსახიობი-ქალი განიცდის სცენას. მის შესრულებაში საუკეთესო მომენტებია შეხვედრა დონ-ხოზესთან, მკითხაობა, ყველა სცენები ლუკას ესკამილიოსთან და სიკვდილის სცენა.

დონ-ხოზეს სრულ განსახიერებას იძლევა გულულოვი. მის შესრულებაში მრავალია განცდა, მდიდარია მიმიკა, რაც შეეფერება დრამის ყველა მომენტებს.

ესკამილიოს მთლიან სახეს და სტილს იძლევა გორსკი.

მოხუცი ბოში ქალის დამახასიათებელ სახეს ჰქმნის გრუზოვა; ის კარგია და პლასტიური აგრეთვე ახალგაზრდა ესპანელის ქალის როლში. თავისუფლად და მოხდენილად ცეკვავენ ესპანურ სერენადის ბაუერი, გრუზოვა, ბელოუსოვა და დმიტრიევა. უკანასკნელის გრიმი მშვენიერია.

ბელოუსოვამ, გორსკიმ, ჭაბუკიანმა და გულულოვმა მშვენივრად შეასრულეს „სევიდილია" და „ფანდანგო" (ესპანური ცეკვა).

ჯგუფურ სცენებში ყურადღებას იპყრობენ განგებლოვა, ბეგთაბეგოვა, ლასკარი, მყონია, სემიონოვა; მურადოვი; სულხანიშვილი, დავიდოვი. ეს ნიჭიერი ახალგაზრდებია.

დრამის მომენტებს ნათლად ახასიათებს მუსიკალური ილიუსტრაცია სიმფონიური ლიტერატურის ნაწყვეტებიდან.

ალაგ-ალაგ ძალიან ლამაზია დეკორაცია. მაგრამ უზარმაზარი ბადრი მთვარე 1-ლ მოქმედებაში სრულიად არ ვარგა. კარგია სინათლის ეფექტები.

მუსიკალური პროგრამის ნაწილი (ნოვატორ რაველის მუსიკა) შესრულებულ იქნა ფორტეპიანოზე; კარგად ჩაატარა ეს ილიუსტრაცია პირუმოვამ, კორდებალეტი არა დამაკმაყოფილებლად ცეკვავს პირველ სცენაში, აკლია რიტმი, არ არის კონტაქტი ორკესტრთან. მშვენივრად ცეკვავს მიკაელლას-გვარამაძე. სრულიად დაუშვებელია ნაწყვეტი მიმოდრამები ოპერა კარმენიდან. წარმოდგენაში ჩართულია სიმღერა კულისებს იქით. ეს სიმღერა ბედისწერის განმსახიერებელია. მაღალ რეგისტრებში სიმკვეთრე აკლია შემსრულებელ ბლანკმანს.

ვ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სოფლის პატიოსნება" და „ჯამბაზები".

◆ რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „ამერიკელი ძიის გასაბჭოება"

◆ მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ჯენტლმენ"

◆ „საიდუმლოებათა კუნძული" დღეიდან კინო „პალასში" დაიწყება ახალი სურათის „საიდუმლოებათა კუნძულის" ჩვენება.

სასამართლო

ერთი ქალი 6 შეიარაღებული მამაკაცის წინააღმდეგ

(საჩვენებელი პროცესი).

დღეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევში პლეხანოვის სახელობის თეატრში დაიწყება ხულიგნების: გიორგი ქვასროლიაშვილის, გ. მერაბიშვილის, კ. ხულხანიანის, სამადაშვილის და მ. კაპიანიძის საჯარო გასამართლება.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—ამხ. ბერიშვილი, სახალხო მსაჯულები—ჯიბალაშვილი და ბერძენიშვილი, პროკურორი—ამხ. ულენტი, მდივანი—დ. ხბუა.

ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: შანშიაშვილი, ჩაჩავა, ტყემალაძე, ჯაფარიძე და ჩარექოვი.

პროცესზე დასწრება შეიძლება მხოლოდ ბილეთებით.

ადათი

ეზიდებს ერთი უცნაური ადათი აქვთ. თუ რომელიმე ეზიდს ცოლმა უღალატა, ქმარმას გაეყრება და მამაკაცს, რომელთანაც კავშირს დაიჭერს ქალი, ევალება ქალის ცოლად შერთვა. მამაკაცმა აგრეთვე ჯილდო უნდა გადაიხადოს ყოფილი ქმრის სასარგებლოდ. ჯილდოს რაოდენობას განსაზღვრავს უცოლოდ დარჩენილი მამაკაცი. ახალმა ქმარმა ყოფილ ქმარს ამასთან ერთად ცოლად უნდა შერთოს თავისიანი (ან და, ან ბიძაშვილი, ერთი სიტყვით, ახლო ნათესავი). ეს ადათი „წმიდათა-წმიდათ" ითვლება და ყველა ეზიდისათვის სავალდებულოა მისი შესრულება. თუ რომელიმემ ეს არ შეასრულა, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია შური იძიოს.

ერთი ასეთი ამბავი მოხდა თბილისში გასულ წელს. ეზიდი შამილ შაიბაზოვის ცოლმა ამალია სანდარ ყიზიმ შეიყვარა ვინმე დავრიშევი (ეზიდი). შამილმა გაიგო ეს ამბავი.

შაიბაზოვმა იმ დღესვე თავი განება ცოლს და დავრიშევს შეუთვალა:

- ამიერიდან ამალია შენი ცოლია. გამომიგზავნე 2.000 მანეთი და შენი უმცროსი და, თორემ, ვფიცავ ალახს, შავ დღეს დაგაყენებ.

— 500 მანეთის მეტი მე არ მაქვს, თუ გსურს ინებე, რაც შეეხება ჩემს დას, მას ვერ მოგათხოვებ, რადგან უკვე დანიშნულია,—ასე შემოუთვალა დავრიშევმა შაიბაზოვს.

შაიბაზოვს ბრაზით დორბლები მოადგა პირზე, აიღო ხანჯალი და გაიქცა სახლიდან დავრიშევის მოსაკლავად. დიდხანს დასდევდა დავრიშევს სასიკვდილოდ, მაგრამ ვერსად წააწყდა.

დაბოლოს შაიბაზოვმა დავრიშევის ნათესავებზე გადაიტანა იერიში. ერთ დღეს მიუხტა დავრიშევის ბიძას და ხანჯლით 13 ადგილას დასჭრა სასიკვდილოდ.

შაიბაზოვი გაასამართლა თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. მ. კაჭარავას თავმჯდომარეობით.

შაიბაზოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით.

ერთი კვარტი ღვინის გულისთვის

მოქალაქე ბაგრატ მანუკოვი ჩვენს მკითხველებს ემახსოვრებათ.

გუშინ მაზრის სასამართლომ გაასამართლა მანუკოვი.

რა გამოირკვა სასამართლოში?

მანუკოვი ა. წ. 11 სექტემბერს შესულა აბულიანის ღვინის სარდაფში, სადაც მას პირველად მიუმართავს მოსამსახურისათვის წინადადებით, რომ მისთვის დაელევინებიათ ერთი ჭიქა ღვინო.

აღნიშნულ სარდაფში ღვინის სმა აკრძალული იყო და ამიტომ მოსამსახურემ ღვინის დალევინებაზე უარი უთხრა. მანუკოვმა ასტეხა ყვირილი და მოსამსახურე იძულებული გახდა მიეცა მისთვის ღვინო.

ღვინის დალევის შემდეგ მანუკოვმა მოითხოვა ერთი კვარტი ღვინო სახლში წასაღებათ. ღვინო გაუხვიეს და მისცეს მანუკოვს, რომელიც კარებისკენ გაეშურა და „ხაზეინს" დაუძახა „ჩემზე დასწერეო".

ალბად, „ჩაწერა" ცუდათ ჰქონდა დაცდილი სარდაფის მეპატრონეს—აბულიანცს, რომელიც გამოუდგა მანუკოვს და გააჩერა კარებში. მანუკოვმა ამოიღო ჯიბიდან მოწმობა და უთხრა აბულიანცს: „ეს ბეთ მიიღეო".

აბულიანცმა გასინჯა მოწმობა, რომელშიაც ეწერა მხოლოდ ის, რომ მანუკოვი „თბილისის მოქალაქეა". ეს მოწმობა რაში გამოადგებოდა აბულიანცს. მან უკანვე დაუბრუნა მოწმობა.

ამ დროს მანუკოვმა იძრო დანა ჯიბიდან ჩაჰკრა მუცელში აბულიანცს, რომელიც მძიმედ დაჭრილი იქვე დაეცა. მანუკოვმა გასწმინდა სისხლიანი დანა, ჩაიდო ჯიბეში და გამოვიდა ნელის ნაბიჯით გარეთ.

— რას მორბიხართ, ვის დაეძებთ, მე გახლავარ მკვლელი, უყვიროდა მანუკოვი მილიციელებს, რომლებიც გარბოდენ შემთხვევის ადგილისაკენ.

მანუკოვი დააპატიმრეს.

სასამართლოში მანუკოვმა განაცხადა, რომ ის სულით ავადმყოფია, რაც არ დამტკიცდა.

მანუკოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

პოეტი—ხულიგანი

17 დეკემბერს ტერენტი გრანელმა რუსთაველის პროსპექტზე სილა გააწნა მილიციელს, რომელიც მას წესრიგისაკენ მოუწოდებდა უშვერი სიტყვებისა და მოქალაქეების ლანძღვა-გინებისათვის.

მორიგმა კამერამ ამხ. გაბუნიას თავმჯდომარეობით სამი თვის ციხე მიუსაჯა ტერენტი გრანელს.

ვ.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

40.000 მანეთი აბჰესისათვის

ცენტრალურ სასოფ.-სამ. ბანკის და აბაშის ჰიდროელსადგურის (აბჰესი) შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად ბანკი ვალდებულია მისცეს აბჰესის სამშენებლო კომიტეტს სადგურის საამშენებლო მიზნებისათვის კრედიტი 125.000 მანეთის რაოდენობით.

სამშენებლო კომიტეტის მიერ მთავრობის წინაშე აღძრული იყო საკითხი ამ კრედიტის ნაწილის ეხლავე მიღების შესახებ.

საკითხი განიხილა ამ.-კავკ. სახკომსაბჭომ და დაადგინა 125.000 მანეთიდან მიეცეს აბჰესს 40.000 მანეთი.

უკანასკნელად ეს საკითხი განიხილა ამ.-კავ. სასოფ.-სამ. ბანკის გამგეობამ და დაადგინა, აბჰესისათვის 40.000 მანეთის მიცემა.

კრედიტები მელიორაციისათვის

ამ.-კავკ. სას.-სამ. ბანკის გამგეობამ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის სასოფ.-სამ. ბანკებს შორის გაანაწილა კრედიტები მელიორაციისათვის—170.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან აზერბეიჯანის ბანკს მიეცა 102.000 მანეთი, საქართველოსას—51.000 მან. და სომხეთისას—17.000 მანეთი.

ბანკის გამგეობამ ამასთანავე წინადადება მისცა თავის საინსპექციო განყოფილებას სასწრაფოდ გამოიმუშავოს მელიორაციისათვის 1927—28 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ კრედიტების განაწილების წესი.

ღვინის გადაზიდვის ტარიფი

21 დეკემბერს შესდგება ა.-კ. რკ. გზის სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნება ღვინის გადაზიდვის ადგილობრივი ტარიფი.

ამავე საკითხს საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირი არჩევდა 7 დეკემბერს. აღნიშნულ სხდომაზე ა.-კ. გზათა სამმართველომ შეიტანა წინადადება, რომ ღვინის გადაზიდვის ადგილობრივი ტარიფი გადიდებული იქნეს 100 პროცენტით. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი და ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებული საქართველოში ღვინის გადაზიდვის ტარიფის გადიდებას მიზანშეუწონლათ სთვლიან, ვინაიდან: 1) მევენახეობა-მეღვინეობას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია ომის წინა დროის დონემდე. ამ მეურნეობის აღდგენას მიქცეული აქვს სადირექტივო ორგანოების დიდი ყურადღება, რაც გამოიხატება საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ მევენახე-მეღვინეთათვის შეღავათების მინიჭებაში, 2) ომის წინადროსთან შედარებით ღვინის დამზადების თვითღირებულება უფრო მეტათ არის გაზრდილი, ვიდრე ღვინის ფასი და ღვინის რეალიზაციის საქმე იმყოფება ცუდ პირობებში.

გარდა ამისა, მიწათმოქმედების და ვაჭრობის კომისარიატების წარმომადგენელთა განცხადებით, გადიდებული ტარიფით ღვინის გადმოზიდვა დაჯდება გაცილებით ძვირი, ვიდრე ურმით გადმოზიდვა და ტარიფის გადიდებამ მოსალოდნელია შეამციროს ღვინის გადაზიდვა რკინის გზით.

ვინაიდან 7 დეკემბრის სხდომაზე თათბირს არ მოეპოვებოდა მასალები სომხეთიდან და აზერბეიჯანიდან, საკითხი გადედებულ იქნა 21 დეკემბრისათვის.

მუშათა კრედიტი

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი შეეკითხა საქართველოს ვაჭრობის კომისარიატს, თუ რამდენი სამრეწველო საქონელი იქნება საჭირო საქართველოში მუშათა კრედიტის წესით გასანაწილებლათ. აღნიშნული ცნობები უკვე გაეგზავნა ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატს.

წინასწარი გამოანგარიშებით, საქართველოსთვის საჭიროა: ბამბეული მანუფაქტურა 43 ვაგონი, მატყლის ქსოვილები — 160.000 მანეთის, ფეხსაცმელები — 100.000 წყვილი, შეკერილი ტანისამოსი — 1.650.000 მანეთის, კალოშები — 47.000 წყვილი. გალანტერეია და ტრიკოტაჟის ნაწარმოები — 1.000.000 მანეთის, სილიკატები — 24 ვაგონი და ლითონის ჭურჭლეულობა — 16 ვაგონი. აღნიშნულ რაოდენობაში შედის აჭარისტანის და აფხაზეთის საჭიროებაც.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ეს ცნობები გადაგზავნა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში და შუამდგომლობა აღძრა, რომ საქონლის აღნიშნული რაოდენობა გამოგზავნილი იქნეს საქართველოსათვის.

ფიზკულტურა

მოწაფეთა ჯანმრთელობის გამოკვლევა

მოწაფეთა ჯანმრთელობის გამოკვლევის მიზნით, ამ დღეებში შესდგა სპეციალური კომისია განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისია უკვე შეუდგა სკოლებში არსებულ ფიზკულტურის წრეებში ჩაწერილ მოწაფეთა ფსიქო-ფიზიკურ გამოკვლევას და მოვარჯიშეთათვის შესაფერისი რჩევა დარიგების მიცემას. ჯერ-ჯერობით გამოკვლევა ჩატარდა მხოლოდ 20 სკოლაში.

თათბირი ფიზკულტურისა და გასამხედროების გარშემო

პროფკავშირებში ფიზკულტურის განვითარებისა და გასამხედროების გაძლიერების მიზნით, ა. წ. 23 დეკემბერს საქ. პროფსაბჭოს კულტ-განყოფილება თბილისში იწვევს ცენტრალურ გამგეობათა თავმჯდომარეებისა და კულტ-განყოფილებათა გამგეების თათბირს.

დღის წესრიგშია: 1) ფიზკულტურისა და გასამხედროების მუშაობის შედეგები და ამოცანები პროფკავშირებში, 2) საფიზკულტურო მშენებლობის გეგმა 1928 წლისათვის და 3) მიმდინარე საკითხები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 20 დეკემბერი

დღეს, 20 დეკემბერს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო სტუდიიდან გადაცემული იქნება:

გლეხების ახალ მიწებზე დასახლების საკითხები — ქართულ ენაზე.
როგორ დავიცვათ თავი ტიფისაგან — რუსულ ენაზე.
იყო თუ არა ქრისტე — რუსულ ენაზე.
წითელარმიელთა გაზეთი — რუსულ და ქართულ ენებზე.
გაზეთი „პროლეტარი" — სომხურ ენაზე.
ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობა—რუსულ ენაზე.
ობსერვატორიის ცნობა.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.
ტექნიკური კონსულტაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს 20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მესამე რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება ხელმეორედ სთხოვს ქვემოდდასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. თარხანოვთან (ოთახი № 54):.

ალექსანდრე ივანესძე ზამულენკო, გიორგი ალექსანდრესძე დავიდოვი, ნ. ალექსისძე როგავა, ვასილ პავლესძე კალანდაძე, ბორის ქაქთელაძე, სამსონ ზურაბისძე ჯანაშია, უშანგი სეფესძე ლორთქიფანიძე, ალფეზი კონსტანტინესძე ცომაია, მარკოზ გიორგისძე ხუბულაშვილი, ივანე დავითისძე ბაბენკოვი, გიგო ივანესძე მაისურაძე, ნადეჟდა დავითის ასული ბაგრაევა, კალენიკ კონსტანტინესძე ქადეიშვილი, ალექსანდრე თედორისძე ბედინაშვილი, ბაგრატ ისაკისძე მამაჯანოვი, თარხანიანცი, პრასკოვია გიორგის ასული იუსოვა, აბრამ ილიასძე ქვრივიშვილი, სიმონ მირონისძე ევლანოვი, ნიკოლოზ ივანეს პოზნარევი, ბესარიონ გრიგოლისძე კაჩეიშვილი.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული ამხანაგები თბილისში არ იმყოფებიან, ვთხოვთ სათანადო პარტორგანიზაციებს შეგვატყობინონ მისამართები ან სამსახურის ადგილი.

—საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დღეს, 20 დეკემბერს, თვითგანვითარების საკითხების გარშემო შესდგება თათბირი, რომელზედაც მოწვეული არიან: ვაწაძე, ორაგველიძე, კილაძე, კაკულია, კალანდაძე, მახარაძე, პიტოევი და ცქვიტინიძე.

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ამხ. ანდრო ლომიას, პროკოფი ჯანაშიას, კირილე კუჩაშვილს გამოცხადდენ დღეს, 20 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ., 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

— საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ: მიტროფანე მახარაძეს 20, 21 დეკემბრისათვის (დილის 10 საათზე), შემოიაროს ხსენებულ დაწესებულებაში ამხ. ფირცხალავასთან (ოთახი № 13).

— სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ამ. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 20 დეკემბერს, დილის 12 საათზე სტუდენტთა კლუბში შესდგება კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული დახურული კრება.

უჯრედების წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

— თბილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომ. უჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, (სამშაბათს), საღამოს 6 საათზე, უნ-ტის სტუდენტთა კლუბში მოწვეულია კომპარტიის და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

— სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. გაერთიანებული ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ, დღეს, სამშაბათს, დილის სრულ თერთმეტ (11) საათზე შესდგება ყველა ფაკულტეტებთან არსებულ უჯრედების ბიუროების გაერთიანებული სხდომა (სტუდენტთა კლუბში). ყველა უჯრედთა ბიუროს წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლათ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

თბილისის შრომის ბირჟა აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა საყურადღებოთ აცხადებს, რომ დღეს, 20 დეკემბერს, სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი პროფესიის უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშათა 1-ლ სექციიდან:** ივანე ლევანტისძე გულავაძე, პეტრე იოსებისძე ვასილიევსკი, სტეფანე ლევანისძე ალექოიანი მიხეილ პეტრესძე ლეიზინი, პავლე ნიკოლოზისძე პარტნოვი. **გონებრივ მუშაკთა მე 2 სექციიდან:** გიორგი თალაკვაძე, პავლე ბერიშვილი, არშაკ აისუმოვი, სიმონ პეტროსოვი, ავაქ ავაქოვი, გრიგოლ ჩიჟოვი, გიორგი სალამანინი და არშაკ ბალაიანცი. **მშენებელ მუშაკთა მე 5 სექციიდან:** იაგორ სურინი, ვლადიმერ ავანოვ, ბაგრატ პოლოსოვი და ფილიპე კოსტენკო.

მოთხოვნილება ექიმებზე.

შრომის ბირჟის მედიკურ მუშაკთა სექცია ყველა უმუშევარ ექიმებისა და ბებია ქალების და ექ. თანაშემწეების საყურადღებოთ აცხადებს, რომ მოთხოვნილებაა [illegible] მედიკურ [illegible] საქართველოს მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში გასაგზავნათ. საჭიროა: **თელავის მაზრაში** სანიტარულ—სამოსამართლო ექიმი და 2 ბებია ქალი, **დუშეთის მაზრაში:** ექიმი და მისი თანაშემწე, **სიღნაღის მაზრაში:** სამი ექიმი, ექიმის თანაშემწე 4 და ერთი ბებია ქალი. **სენაკის მაზრაში:** ოთხი ექიმი. **აჭარისტანში:** ოთხი ექიმი. **სვანეთში:** ექიმი დოსტაქარი (დ. მესტიაში), **ახალქალაქის მაზრაში:** ორი ექიმი და ორი ბებია ქალი. **შორაპნის მაზრაში:** 4 ექიმი. **ახალციხის:** 4 ექიმი ერთი თანაშემწე. და ერთი ბებია ქალი; **ქ. ფოთში:** 3 ექიმი (ყურის, თვალის და თერაპევტი); **რაჭაში:** ექ. თანაშემწე; **გორში:** ორი ექიმი და ერთი ბებია **სამხრეთ-ოსეთში:** ორი ექიმი (ყურის და ყელის); **ოზურგეთში:** ორი ექიმი. **ლეჩხუმში:** ორი ექიმი და ერთი თანაშემწე; **ზუგდიდში:** ხუთი ექიმი და **თბილისის მაზრაში:** ექვსი ექიმი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა. წ. დეკემბრის 17-ს საღამოს 8 საათზე თბილისში გარდაიცვალა კავშირის წევრი დამსახურებული პოეტი და სახალხო მასწავლებელი

გაჩანა
(ნიკო პავლეს-ძე რაზიკაშვილი)

დაკრძალვა — დიდუბის პანთეონში, ხუთშაბათს, 22 დეკემბერს. გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან 4 საათზე. 832

ხელოვნების სასახლე და სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დეკემბრის 17-ს, გარდაიცვალა კავშირის დამსახურებული წევრი პოეტი და პედაგოგი

გაჩანა
(ნიკო რაზიკაშვილი)

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში ხუთშაბათს, დეკემბრის 22-ს, გამოსვენება ხელოვნების სასახლიდან 4 საათზე. 832

ძმები რაჟდენი და რაფიელ გიორგისძე, რძალი ანნა (გუგუცა) ნესტორის ასული გამსახურდიები შვილებით გიორგი, თორნიკე, რაჟდენ, ძარიაძი და ლეილა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს

ბარნაბა გიორგის-ძე
გამსახურდიას

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დანიშნულია 21 დეკემბერს შუადღის 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე 834

ღრმად დამწუხრებულნი და გულმოკლულნი: შვილი მარო ძაჩიტაძისა, ძმა იოსებ ოსიყმესძე მგელაძე ცოლ-შვილით, დები: ბარბალე რამიშვილისა შვილებით, ეფემია ძარშანიასი, ნინო ბოლქვაძისა შვილებით, რისიმე ბერიშვილისა შვილებით და სიძე პავლე მარშანია, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 17 დეკემბერს ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა

ვერა ოსიყმეს ასული
მგელაძე-რამიშვილისა

გამოსვენება მოხდება სამშაბათს, 20 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე საკუთარ ბინიდან—მალაკანის ქუჩა № 25 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 830

ღრმა მწუხარებაში მყოფნი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები: ტარასი ვადაჭკორია, დომენტი მჟავია, ლადიკო ხინთიბიძე, ლუკა მაღლაფერიძე, გრიგოლ მჟავია, დიმიტრი შაფაქიძე, გრიგოლ მგელაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, ალექსანდრე ჩიტაიშვილი, ვანო შაფაქიძე, კარლო დარახველიძე, ივანე ელიაძე, ივანე ვიშნევსკი, სერგო ვადაჭკორია და ვიქტორ ქურიძე დავსტირით ძვირფასი მეგობრის სახ. უნივერსიტ. პედაგ ფაკ. მე-4 კურ. სტუდენტის და გლეხთა ახალგ. სკოლის მასწავლებლის

მელიტონ იასონისძე შაფაქიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 20 დეკემბერს სოფ. ჭალა (გურია) (ე)

აპოლო	მეორე კვირა	„პოეტი და მეფე"
არფასტო	ყოველდღიური ანშლაგები მეორე კვირა	„რა საჭიროა ცოლის გამოცვლა"
სოლეი	მილტონ სილს გრანდიოზულ სურათ. დადგმა გრძელდება მე-2-რე კვირას	ზღვის ქორი
დარბაზი	3 და 4 სერია.	„ПОХОЖДЕНИЯ ПОДКИДЫША"

0—15 ანონსი: მალე პრაზის უკანასკნელი სურათი „კულისებში"

ცირკი
„კოლოს"
ტელ. 1—29

სამშაბათს 20-ს და ოთხშაბათს 21 დეკემბერს
განსაკუთრებული სანახაობანი
დასის თითქმის მთელი შემადგენლობის შეცვლით
თბილისის, ბაქოს და ბათომის
ცირკების ძალების გაერთიანება დამსახ. მსახ. ძმ. ტანტების და დონატოს დასის ცნობილ მფრინავ ხალხის მეთაურობით.
დღეს ცირკში ათი ახალი ატრაქციონი !!!

ნ. 345 2—2

დირ. ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე

კინო-არფასტო

მონოპოლიურ. დადგმის
მე-2-ე
კვირა
ორიგინალური სურათი
რა საჭიროა ცოლის გამოცვლა
გლორია სვენსონის მონაწ.

პირველი სეანსი იწყება 6 საათ. 30 წუთზე.

ნ. 361

ახალი სათამასუქო ბლანკების გამოშვების შესახებ
საქარ. ფინსახკომისარიატი

აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1928 წ. იანვრის 1-დან სათამასუქო ვალდებულება დაწერილ უნდა იქნეს მხოლოდ სათანადო ღირებულების სათამასუქო ბლანკებზე, რომლებსაც გამოუშვებს ს.ს.რ. კავშირის ფინსახკომისარიატი. თამასუქი იბეგრება საღერბო გამოსაღებით 0,25%-ით, ამასთან არა სრული ასეული ჩაითვლება სრულ ასეულად. თამასუქების დამატებითი დაბეგვრა საღერბო ნიშნების ან ხაზინაში შეტანილი ნაღდი ფულის სახით დაუშვებელია. ამჟამად მოქმედი, 1924 წ. გამოშვებული, სათამასუქო ბლანკები 25 კაპ., 50 კაპ., 1 მან., 1 მ. 25 კ., 2 მ., 2 მ. 50 კ., 7 მ. 50 კ., 12 მ. 50 კ., 17 მ. 50 კ., 25 მ. და 75 მ. ღირებულებისა გამოიყენება 1928 წლის იანვრის 1-ლს შემდეგაც, ვიდრე ასეთები დაიხარჯება. 1924 წლ. გამოშვებული სათამასუქო ბლანკები 10 კ., 15 კ. და 40 კ. სათამასუქო ვალიუტაზე 40 მ. 60 მ. და 160 მ. 1928 წ. იანვრის 1-ს შემდეგ არ იხმარება, ვინაიდან მათი ღირებულება არ შეესაბამება თამასუქის ვალიუტის სრულ ასეულებს. გამოშვებული იქნება ზემოთ აღნიშნულ 1924 წელს გამოცემულ ბლანკებთან ერთად ხმარებისათვის ახალი ნიმუშების სათამასუქო ბლანკები მათი საფასურის და თამასუქის ვალიუტის აღნიშვნით.

1)	25 კ.	ვალიუტაზე	100	მანეთამდე
2)	50 კ.	„	200	„
3)	75 კ.	„	300	„
4)	1 მან.—	„	400	„
5)	1 „ 25 კ.	„	500	„
6)	2 „ —	„	800	„
7)	2 „ 50 კ.	„	1000	„
8)	5 „ —	„	2000	„
9)	7 „ 50 კ.	„	3000	„
10)	12 „ 50 კ.	„	5000	„
11)	17 „ 50 კ.	„	7000	„
12)	25 „ —	„	10000	„
13)	50 „ —	„	20000	„
14)	75 „ —	„	30000	„
15)	125 „ —	„	50000	„
16)	250 „ —	„	100000	„

საქართ. ფინანსთა სახ. კომისარი მგალობლიშვილი
საგადასახადო სამმართ. უფროსი ბეჟირგანიშვილი.

ნ. 358

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 27 დეკემბერს 1927 წელსა შუადღის 12 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში პროფ. მარის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, გაიყიდება მიხეილ აქსენტის-ძე ნიკოლაძის ქვიტკირის და აგურის სახლი № 53, აგებული საზოვე ნაკვეთ მიწაზე ზომით 80 კვად. საჟენი გიორგი აბესაძის და საქართველოს მ. უ. საბჭოს ტრესტების სავაჭრო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 800 მანეთად, საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%.

ნ. 360

ექიმი
ქ. ს. ზონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე 13—6

მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—1

ექიმი
არს. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ავადმყოფ ბს დილაობით 9—12 საათამდე, საღამოთი 4—6 საათამდე.
ლენინის ქ. № 35, ყოფ. ოლღას). 13—1

საქართ. სახალხო კომისართა საბჭოს
სამნეო ადმინისტრატიული განყოფილება
ა. წ. 21 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ნიშნავს

შეჯიბრს

15.000 ფუთი ყინულის მიწოდებაზე.

შეჯიბრში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება შემდეგი მისამართით:
831. სახსახლ. სამნეო ადმ. განყოფილებას.

დაიკარგა ს. კ. პ. საკანდიდატო პარტბილეთი № 14289, გიორგი ზაქარიას-ძე ჭუმბურიძის სახელზე, ჩ. გ. 833

დაიკარგა პირადობის მოწმობა და აღმშენებელთა კავშირის წ. წიგნაკი ალექსანდრე ივანეს-ძე სტეფანოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 360

დაიკარგა [illegible] კავშირის საწევრო წიგნაკი № 171564—გიორგი დიმიტრის-ძე კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ 827

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 308—სოფიო პეტრეს ასული ზახანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 824

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი

იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ.№ 1 (ყ. ფრეილინისა) 25—17

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 8—12 დილ. 7—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „6 თ ე"-ს პირდაპირ ტელ. 12—67. 25—2

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 6 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—9 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—18

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—15

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან.ტელ. № 15 № 07—8

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—7

ექიმი **მეგრაბიანცი**
დაბრუნდა და გახაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—21

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—9

დაიკარგა გასაწერი წიგნაკი № 58, მოცემული გურჯაანის რაისამს. მაგიდის მიერ, გიორგი სტეფანეს-ძე დემუროვის სახელზე, ჩ. გ. 826

დაიკარგა ქორწინების ქაღალდი მოცემული მმაჩიდან თანდილოვის სახელზე, ჩ. გ. 828

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 4960 სოფიო დავითის ასული კინწურაშვილი-ფაღავას სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა წიგნაკი № კავშირის 24 33 ნატალია ფაველენიშვილის სახელზე, ჩ. გ. 827

დაიკარგა ზაკტპოს წიგნაკი № 2993 ნოე კობახიძეს სახელზე, ჩ. გ. 830

დაიკარგა მეტყევეთა კავშირის წიგნაკი სერგო ძიძიელის-ძე კუტიფაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 360

დაიკარგა პირადობის მოწმობა—ნიკოლოზ ივანეს-ძე ომიაძეს სახელზე, ჩ. გ. 825

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 3678 მიხეილ სვიმონის-ძე ჯაჯანიას სახელზე, ჩ. გ. 825

პოლიგრაფტრესტის [illegible] სტამბა კამოს ქ. № 68